

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ონისე ალფენიძე

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი და
მისი სრულყოფის მიმართულებები საქართველოში

დისერტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ეკა ჩოხელი

| | |
|---|-----------|
| სარჩევი | |
| შესავალი | 4 |
| თავი 1. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის როლი და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები..... | 11 |
| 1.1 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის როლი განათლების სისტემაში | 12 |
| 1.2 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის მოდელები | 25 |
| 1.3 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, როგორც სტრატეგიული პროცესი..... | 40 |
| 1.4 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შეფასების თავისებურებები.... | 51 |
| თავი 2. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია თანამედროვე ეტაპზე..... | 58 |
| 2.1. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სინთეზური კონცეპტუალური მოდელი..... | 58 |
| 2.2 საერთაშორისო ორგანიზაციების როლი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში..... | 60 |
| 2.2.1 მსოფლიო ბანკი და უმაღლესი განათლება..... | 60 |
| 2.2.2 ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების სააგენტო (OECD)..... | 62 |
| 2.2.3 გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)..... | 64 |
| 2.2.4 ევროკავშირი (EU)..... | 66 |
| 2.2.5 ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე: ბოლონიის პროცესი..... | 69 |
| 2.3 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში . | 73 |
| 2.3.1 ხარისხის მაძიებელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობა | 73 |
| 2.3.2 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საზღვარგარეთის ფილიალების მეშვეობით..... | 78 |

| | | |
|---------|--|-----|
| 2.3.3 | ინტერნაციონალიზაცია თრმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამების მეშვეობით | 85 |
| 2.3.4 | უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო ქსელების (ასოციაციების) მეშვეობით | 98 |
| 2.3.5 | აკადემიური გაცვლები | 104 |
| 2.4 | ეგროპული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები | 114 |
| 2.5 | უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შეფასება საუნივერსიტეტო რეიტინგების მიხედვით | 123 |
| თავი 3. | უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში | 131 |
| 3.1 | ინტერნაციონალიზაციის გამოწვევები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში | 132 |
| 3.2. | საქართველო და ბოლონიის პროცესი | 134 |
| 3.3 | ქართული უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის ოპერაციონალიზაცია და მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე | 138 |
| | დასავანები და რეკომენდაციები | 170 |
| | გამოყენებული ლიტერატურა | 182 |
| | ინტერნეტ რესურსები | 187 |
| | ნაშრომში გამოყენებული ვიზუალური მასალა | 190 |
| | დანართები | 194 |

შესავალი

საკითხის აქტუალობა. უმაღლესი განათლების მიღება არა მხოლოდ სპეციალობის დაუფლებასთან არის ასოცირებული, არამედ ის განიხილება როგორც ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი მოქალაქის აღზრდის საქმეში. მეოცე საუკუნის ბოლოდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ისეთი მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც არა მარტო ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო საზოგადოების დირსეული წევრები იქნებიან. ამის უპირველესი მიზეზი მზარდი გლობალიზაციის პროცესია, რომელიც თანდათან ყველა სფეროში ახდენს საზღვრების წაშლას ქვეყნებს შორის. გლობალიზაციამ საერთაშორისო კონკურენცია არა მხოლოდ ბიზნეს-ორგანიზაციებს, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორისაც გამოიწვია, რადგან მათ კურსდამთავრებულებს უწევთ კონკურენციის გაწევა გლობალურ ბაზარზე. შესაბამისად, უნივერსიტეტების ძირითადი მისია შესრულება, რაც მოქალაქის აღზდაში გამოიხატება, ისეთი სტრატეგიების ჩამოყალიბებასა და შესრულებას მოითხოვს, რაც მათ მდგრად, წარმატებულ საქმიანობას უზრუნველყოფს.

აღნიშნულმა ცვლილებებმა პრიორიტეტული გახადა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვა ჭრილში განხილვა. კერძოდ, უნივერსიტეტები და კოლეჯები ამჟამად წარმოადგენენ არა მხოლოდ განათლების მიმწოდებელ ლოკალურ ორგანიზაციებს, არამედ სულ უფრო მზარდ კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირებად ბიზნეს-დაწესებულებებს, რომელთაც, ისევე როგორც სხვა ტიპის კომპანიებს, ბრძოლა უწევთ მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებისათვის და წარმატებული ფუნქციონირებისათვის. გლობალიზაციამ ავტომატურად გაზარდა კონკურენცია, რადგან სტუდენტები, ისევე როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი უფრო მობილური გახდნენ. გაზრდილი კონკურენცია მუდმივად ცვალებად, დინამიურ გარემოში, რა თქმა უნდა მეტ ყურადღებას ითხოვს უმაღლესი განათლების დაწესებულებებისაგან, რათა შესაბამისად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ისევე როგორც შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებსაც აღნიშნული დინამიური გარემო წარმოშობს.

თანამედროვე უმაღლესი განათლების დაწესებულებებში
ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე ერთ-ერთ ძლიერ კონკურენტულ
უპირატესობად არის მიჩნეული. საერთაშორისო პროგრამებსა და აქტივობებში
ჩართულ უნივერსიტეტს მეტი შანსი აქვს მოიზიდოს მეტი ადგილობრივი და
უცხოელი სტუდენტი, მეტი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართოს
გაცვლით პროგრამებში, იყოს ჩართული საერთაშორისო კვლევით პროექტებში და
შესაბამისად, მიიღოს მეტი სარგებელი თავისი სიცოცხლისუნარიანობის
გაძლიერებისათვის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს უმაღლესი განათლების
დაწესებულებები სულ რაღაც ორი ათეული წელია რაც ჩაეტნენ საბაზრო
ეკონომიკის ფერხულში, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი მხოლოდ 1990-იანი წლების
შემდეგ დაფუძნდა, მათთვის ორმაგად უფრო მნიშვნელოვანია გლობალიზაციის
გამოწვევებზე პასუხი. უპირველეს ყოვლისა, ამ ორგანიზაციებს მანამდე არ ჰქონიათ
შანსი სრულყოფილი კონკურენცია გაეწიათ უცხოური უნივერსიტეტებისათვის
განხვავებული პოლიტიკური სისტემის მიერ დაწესებული მკაცრი შეზღუდვების გამო
და შესაბამისად კონკურენტულ გარემოში ფუნქციონირების დიდი გამოცდილება არ
გააჩნიათ და მეორე, ამჟამად არსებული სტუდენტებისა და პერსონალის მზარდი
მობილობის გამო, მათ წინაშე დგას ამოცანა როგორ მოიზიდონ და შეინარჩუნონ
სტუდენტები და კვალიფიციური კადრები.

რადგანაც საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებს
ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო არენაზე კონკურენციის დიდი
გამოცდილება არ გააჩნიათ, მათ ასევე ამ პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების
მწირი გამოცდილება აქვთ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებული სიტუაციის
შეფასება, თანამედროვე ტენდენციებისა და მიმართულებების ცოდნა, მათი
საქართველოს რეალობისთვის მისადაგება და იმ პროექტების მენეჯმენტი, რაც მათ
კონკურენტუნარიანობას გაზრდის და სარგებელს მოუტანს როგორც ქართულ
უმაღლეს სასწავლებლებს, ასევე მთლიანად ქვეყანას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. მოცემული თემის კვლევის მიზანია თანამედროვე
ეტაპზე უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების
ფორმულირების, განვითარებისა და გამოყენების საკითხების შესწავლა და
შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ქართული უმაღლესი

სასწავლებლებისათვის. აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის თანამედროვე სტრატეგიებისა და მოდელების შესწავლა და დამუშავება;
- თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და მისი მენეჯმენტის ანალიზი;
- საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციისა და მისი მენეჯმენტის საკითხების მიმოხილვა და ანალიზი;
- შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელებისათვის.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. დასახული მიზნის მისაღწევად სამეცნიერო კვლევა ძირითადად დაფუძნებულ იქნა თეორიულ და ემპირიულ კვლევებზე, ასევე შემეცნების ზოგად მეთოდებზე. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო მეცნიერებაში არსებული თეორიული და პრაქტიკული მიღწევები, ქართველ და უცხოელ მკვლევართა სამეცნიერო მიღწევები, პრაქტიკული შრომები და გამოცდილება. კვლევის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენს UNESCO OECD-ის, მსოფლიო ბანკის, უკროკომისიის, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის, უკროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის, საერთაშორისო საგანმანათლებლო მობილობის სტანდარტების საბჭოს (CSIET) უახლესი სტატისტიკური მონაცემები. აგრეთვე, კვლევისას გაანალიზებულ იქნა შესაბამისი საერთაშორისო, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და უმაღლესი განათლების დაწესებულებების გებგვერდებზე განთავსებული ოფიციალური დოკუმენტები და ინფორმაცია. საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის კვლევისას პირველადი ემპირიული მონაცემების მისაღებად დამუშავდა სპეციალური კითხვარი, რომელიც რესპონდენტებს მიეწოდა და მიღებული მონაცემები დამუშავდა კვლევების სპეციალური კებ-პორტალის SurveyMonkey-ს მეშვეობით.

მიმდინარე კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დეფინიციების, მოდელების, სტრატეგიებისა და შეფასების

თანამედროვე ლიტერატურის მიმოხილვა, რამაც საშუალება მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა თეორიული სტრატეგიები, მოდელები და სქემები შემდგომი ემპირიული კვლევისათვის, მონაცემთა მიღებისათვის, ანალიზისათვის და შესაბამისი დასკვნების გამოტანისათვის. ლიტერატურის მოცემული კვლევა დაედო საფუძვლად კვლევის შემდგომ ეტაპებს. კერძოდ:

- ლიტერატურაში მოცემული თეორიების, სტრატეგიების და მოდელების სინთეზის საფუძველზე, შემუშავდა კომბინირებული კონცეპტუალური მოდელი, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვეფასებინა უმაღლესი განათლების დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია და მისი მენეჯმენტი თანამედროვე ეტაპზე;
- შემუშავებული მოდელის შესაბამისად ჩატარდა მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროპული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობის ანალიზი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებისა და სხვა დოკუმენტების საშუალებით;
- სპეციალური კითხვარისა და უნივერსიტეტების ვებგვერდებზე განთავსებული ოფიციალური ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე შესწავლილ იქნა საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ჩატარდა მისი შედარებითი ანალიზი შესაბამის მსოფლიო/ევროპულ გამოცდილებასთან და ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის წინასწარ შემუშავებულ სინთეზურ მოდელთან მიმართებაში;
- დადგინდა თანამედროვე ეტაპზე არსებულ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საერთაშორისო მოდელებთან მის სტრატეგიულ მენეჯმენტთან მიმართებაში ქართული რეალობის ხარვეზები;
- შესაბამისი დასკვნების საფუძველზე, შემუშავდა რეკომენდაციები საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავებისა და მისი ეფექტური მენეჯმენტის მიმართულებით.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მართვის სტრატეგიების, მოდელების, თანამედროვე ტენდენციების, და განვითარების პერსპექტივების შესწავლა.

კვლევის ობიექტია საქართველოში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, უფრო დეტალურად კი: სახელმწიფო უნივერსიტეტები.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეები უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მეცნიერული მოდელებისა და სტრატეგიების შემუშავება ქართული უმაღლესი განათლების სფეროსათვის, აღნიშნული მიმართულებით პკლევების დასაწყებად და განსავითარებლად ახალი სიტყვაა. შესაბამისად ნაშრომის მეცნიერული სიახლეები მდგომარეობს შემდეგში:

- დამუშავებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები;
- შემუშავებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სინთეზური კონცეპტუალური მოდელი;
- გაანალიზებულია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობა, განვითარების ტენდენციები და შემუშავებულია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები;

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კვლევაზე მსოფლიოში შეზღუდული რაოდენობის მეცნიერი მუშაობს. ეს სუბიექტური და ობიექტური ინტერესებით არის გამოწვეული. ობიექტურ მიზეზებს შორის შეიძლება დავასახელოთ უმაღლესი განათლების მენეჯმენტის სპეციალისტების ნაკლებობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. როგორც წესი, უნივერსიტეტებში უმაღლესი მენეჯერული პოზიციები აკადემიურ პერსონალს აქვთ შეთავსებული, რომელთაც ამ დარგის მენეჯმენტის შედარებით ნაკლები თეორიული ცოდნა გააჩნიათ. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ მსოფლიოს მასშტაბით ცოტა უნივერსიტეტს თუ გააჩნია განათლების მენეჯმენტის სასწავლო პროგრამები, მათ შორის არც ერთი უნივერსიტეტი არ არის განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის, როგორც ცალკე დისციპლინის, ან თუნდაც ვიწრო სპეციალობის მომწოდებული. სუბიექტური მიზეზებიდან ყველაზე მთავარს წარმოადგენს მეცნიერთა მცირე დაინტერესება განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტით. ამის მიზეზი უმთავრესად ისაა, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებები არ აღიქმებიან ტრადიციულ ბიზნეს-ორგანიზაციებად, რომლების ასეთი სახის კვლევებში დიდ ფინანსურ ინვესტიციებს დებენ. შესაბამისად, მეცნიერთა ანაზღაურება ამ დარგში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ტრადიციულ ბიზნეს სფეროების კვლევებში.

შესაბამისად, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მეცნიერული კვლევა, თავისთავად სიახლეს წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით და მხარდაჭერაა იმ მეცნიერებისადმი, რომლებიც აღნიშნულ სფეროში მიღვაწეობენ. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძირითადად ხორციელდება ზოგადი მენეჯმენტის პრინციპებით. ამის კიდევ უფრო ნათელი დასტურია საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები, სადაც ამ საკითხებზე მკვლევარები თითქმის არ მუშაობენ.

შესრულებული კვლევა მიეკუთვნება გამოყენებითი კვლევის სფეროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნაშრომში დამუშავებულ მოდელებსა და სტრატეგიებს ფართო პრაქტიკული გამოყენება შეიძლება მიეცეს საქართველოს უნივერსიტეტების მიერ, დაეხმარება მათ ინტერნაციონალიზაციის წარმატებით განხორციელებაში და მეტი სარგებლის მიღებაში თანამედროვე, გლობალიზებულ, კონკურენტულ გარემოში.

ნაშრომის პუბლიკაციები. აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი თეორიები და კვლევის საკითხები მოცემულია ავტორის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ სტატიებში:

1. ონისე ალფენიძე, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის ეპოქაში, ეკონომისტი, თსუ-ს ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №1, იანვარ-თებერვალი, 2014წ. გვ. 63-69;
2. ონისე ალფენიძე, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მოდელები, ეკონომისტი, თსუ-ს ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №2, მარტი-აპრილი, 2014წ. გვ. 58-69;
3. ონისე ალფენიძე, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი-სტრატეგიული პროცესი, ეკონომიკა და ბიზნესი, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №3, მაისი-ივნისი, 2014წ. გვ. 177-188.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია შედგა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და

ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის სხდომაზე 2014 წლის 23 დეკემბერს.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობაა 205 გვერდი. იგი შედგება შესავლის, სამი თავის, თორმეტი ქვეთავის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან. მასში მოცემულია 8 ცხრილი, 4 გრაფიკი, 47 დიაგრამა, 7 სქემა და 4 დანართი.

თავი 1. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის როლი და მენეჯმენტის თანამედროვე თეორიები

იმის გათვალისწინებით, რომ საკვლევი თემა მოიცავს საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის შეფასებას, ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე მოდელების შესწავლას და მათ მისადაგებას ქართული უმაღლესი სასწავლებლებისათვის, პირველ ყოფლისა აუცილებლად ჩავთვალეთ დრმად შეგვესწავლა ამ საკითხებზე არსებული თანამედროვე ლიტერატურა. რა არის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და რატომ არის ის სტრატეგიული პროცესი, ინტერნაციონალიზაციის რა სახის მოდელები არსებობს და როგორ ხდება არსებული ინტერნაციონალიზაციის დონის შეფასება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს შესაბამისი თეორიული და ემპირიული კვლევები აქვთ ჩატარებული. მიუხედავდ იმისა, რომ კვლევები სხვა დარგებთან შედარებით აღნიშნულ სფეროში მწირია, დარგის წამყვან მეცნიერებს საქმაოდ დრმა კვლევები აქვთ განხორციელებული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესასწავლად. მოცემულ თავში გადმოცემულია ის თეორიული მასალები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან გამოყენებული სამეცნიერო სტატიებსა და წიგნებში.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თეორიების შესახებ ძირითადად ინგლისურენოვანი ლიტერატურა მოიპოვება. შესაბამისად, აღნიშნული მასალები დამუშავებულია ორიგინალში, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს თეორიებისა და კონცეფციების არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე კვლევითი ნაშრომების უდიდესი ნაწილი შესრულებულია სწორედ ინგლისურ ენაზე, რაც საშუალებას იძლევა დამუშავდეს შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც შესრულებულია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერის მიერ, რაც თავის მხრივ გვეხმარება გავაანალიზოთ მეცნიერული ნაშრომების ფართო სპექტრი.

1.1 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის როლი განათლების სისტემაში

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია მეცნიერთა სულ უფრო მზარდ ინტერესს იწვევს. რადგანაც საკითხი შედარებით ახალია, ბუნებრივია ჯერ კიდევ მიმდინარეობს კალეგა-ძიება და აზრთა შეჯერება თვით ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრების ჩამოსაყალიბებლად. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა ასპექტიდან გამომდინარე ცდილობს ჩამოაყალიბოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დეფინიცია.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრებაზე საუბრისას, აიობი და ალ-ჰაბაიბი აღნიშნავენ, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული უნივერსიტეტების საერთაშორისო აქტივობა საგრძნობლად გაზრდილია, რაც გამოიხატება სტუდენტთა მობილობის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცემებისა და სასწავლო პროგრამებში ცვლილებების მატებაში¹. გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია თანამდევ პროცესებს წარმოადგენენ. როგორც მანინგი წერს, გლობალიზაციამ ზეგავლენა იქონია სწავლებასა და კვლევებზე ისევე როგორც ამ უკანასკნელებმა მოახდინეს გლობალიზაციის დაჩქარება. ავტორი აღწერს ინტერნაციონალიზაციას, როგორც გლობალიზაციის ერთერთ ასპექტს: ეს არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო კომპონენტების ინტეგრირება, რაც გულისხმობს გლობალური კულტურათაშორისი საკითხების წინ წამოწევას და მათ დანერგვას ძირითად საუნივერსიტეტო ფუნქციებსა და ქმედებებში².

იმავე აზრს ავითარებს ელინგბოე. მეცნიერი ინტერნაციონალიზაციას აღწერს, როგორც საერთაშორისო პერსპექტივების ინტეგრაციას კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სისტემაში. ავტორის აზრით, ინტერნაციონალიზაცია არის აქტიურად მიმდინარე პროცესი, რომელიც ორიენტირებულია მომავალზე და რომელსაც გააჩნია მრავალგანზომილებიანი და ინტერდისციპლინარული ელემენტები.

¹ Ayoubi, R.M. & Al-Habaibeh, A., 2006. An investigation into international Business collaboration in higher education organisations: A case study of international partnerships in four UK leading universities. *International Journal of Educational Management*, 20(5), pp. 380-396.

² Manning, K., 1999. Internationalising universities: a strategic framework. *Symposium 2001: The University in the New Corporate World, Critical Perspectives on Accounting Journal and School of Accounting and Information Systems Conference*. University of South Australia, Adelaide, 18 July 2001.

ავტორი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულია სხვადასხვა სტეიკოლდერი, რათა შეიცვალოს უნივერსიტეტების შიდა დინამიკა და შესაბამისი ადაპტირება მოახდინოს მუდმივად ცვალებად გარემოში³.

აღნიშნულ საკითხებზე მრავალი კვლევის ავტორია კანადული მეცნიერი ნაითი. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ნაითისეული განსაზღვრება გულისხმობს ინტერკულტურული და საერთაშორისო ელემენტების ინტეგრაციას უნივერსიტეტების სასწავლო პროცესში და კვლევების მიმართულებებში⁴.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრებისას, ვან დერ ვერდე საუბრობს შედეგობრივ მიღებობაზე. კერძოდ, მეცნიერი ინტერნაციონალიზაციას ხედავს, როგორც სისტემატურ მცდელობას უპასუხოს გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევებს როგორებიცაა ეკონომიკების, საზოგადოებებისა და ადამიანური რესურსების გლობალიზაცია-ინტერნაციონალიზაცია⁵.

ქიანგი ინტერნაციონალიზაციას ხედავს, როგორც უმაღლესი განათლების დაწესებულებების პასუხს მზარდ გლობალიზაციაზე. იდებს რა მხედველობაში სხვადასხვა მკვლევარის მიერ ჩამოყალიბებულ ინტერნაციონალიზაციის კომპლექსურ განსაზღვრებებს, მეცნიერი ხაზს უსვამს ეროვნულ იდენტობას და კულტურას, როგორც უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მთავარ ელემენტს. სხვადასხვა ქვეყანაში ინტერნაციონალიზაციაზე სხვადასხვა სახის ზეგავლენას ახდენენ ისტორია, კულტურა, რესურსები და სხვადასხვა კონცეფციები. შესაბამისად, არ არის შესაძლებელი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ერთნაირად განვსაზღვროთ და აღვწეროთ ყველა ქვეყნისათვის⁶. მიუხედავად ამისა, სტრომქვისტი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო დონეზე გლობალიზაცია დაყვანილია ინტერნაციონალიზაციის კონცეფციაზე, რომელიც

³ Ellingboe, B. J., 1998. Divisional strategies to internationalise a campus portrait: Results, resistance and recommendations from a case study at US universities. In: J. A. Mestenhauser & B. J. Ellingboe , eds. 1998. *Reforming the higher education curriculum: Internationalising the campus*, pp.198-228.

⁴ Knight, J., 1993. Internationalisation: management strategies and issues. *International Education Magazine*, 9, pp.6, 21-22.

⁵ Van der Wende, M. (1997). Missing links: the relationship between national policies for internationalization and those for higher education in general. In T. Kalvemark & van der Wende (Eds.), *National policies for the internationalization of higher education in Europe* (pp. 10-38). Stockholm: National Agency for Higher Education.

⁶ Qiang, Z., 2003. Internationalisation of higher education: towards a conceptual framework. *Policy Futures in Education*, 1(2), pp. 248-270.

ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ აკადემიურ პროგრამებზე, აკადემიურ პერსონალზე და სტუდენტებზე, არამედ ქმნის ახალ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს⁷. ელკინის მიხედვით, გლობალზაციის ზეგავლენით უმაღლესი განათლების ინსტიტუტები უკვე აღარ არიან მხოლოდ ადგილობრივი ‘საწარმოები’, არამედ ისინი ჩართული არიან საერთაშორისო ცვლილებების პროცესში, რაც მიმდინარეობს თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობაში⁸.

მკვლევარების განსაზღვრებებს უმაღლესი განათლების
ინტერნაციონალიზაციის შესახებ იზიარებენ საერთაშორისო გაერთიანებებიც.
საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაცია განსაზღვრავს
ინტერნაციონალიზაციას, როგორც პროცესების ერთობლიობას, რომლის შედეგადაც
უმაღლესი განათლება ხდება ნაკლებად ლოკალური და მეტად საერთაშორისოდ
ორიენტირებული⁹. ამ დეფინიციის მიხედვით ინტერნაციონალიზაცია დანახულია,
როგორც სტრატეგიული პროცესი, რომელსაც მივყავართ წინასწარ დასახულ
სტრატეგიულ მიზნამდე.

უმაღლესი განსაზღვრების ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრება გვეხმარება დავინახოთ უმაღლესი განათლების ეს მიმართულება პრაქტიკაში და შევაფასოთ მისი მნიშვნელობაც. გლობალური ცოდნისა და ტექნოლოგიების თანამედროვე ერაში, ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და ბაზრები კურსდამდათრებულებისაგან მოითხოვენ საერთაშორისო, უცხო ენის ცოდნისა და ინტერკულტურული ურთიერთობების გამოცდილებას, იმისათვის რომ მათ თანამშრომლებს ჰქონდეთ უნარი იმოქმედონ საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ინტერნაციონალიზაციას. სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2000-დან 2010 წლამდე გაორმაგდა და ეს ტენდენცია მზარდია. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა ყველაზე თვალში საცემი ფენომენია, ის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მხოლოდ ერთ-ერთი

⁷ Stromquist, N.P., 2007. Internationalisation as a response to globalization: radical shifts in university environments. *Higher Education*, 53, pp. 81–105.

⁸ Elkin, G., Devjee, F. & Farnsworth, J., 2005. Visualizing the 'internationalisation' of universities. *International Journal of Management Education*, 19(4), pp. 318-329.

⁹ De Wit, H., 2002. Internationalization of higher education on the United States of America and Europe. Westport, CT: Greenwood Publishing Group.

ასპექტია. გლობალიზაცია ახდენს უზარმაზარ ზეგავლენას სტუდენტებისა და პერსონალის კირტუალურ და ფიზიკურ მობილობაზე, განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის გაზიარებაზე¹⁰.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აღწერისას, გასელ-ავილა ხახს უსვამს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს კაცობრიობა შევიდა მრავალგანზომილებიანი ცვლილებების ეპოქაში, რომელმაც მოიცვა ეკონომიკა, ფინანსები, მეცნიერება, ტექნოლოგიები, კომინიკაციის საშუალებები, განათლება და პოლიტიკა. ეპოქის ახალი კონტექსტი გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნის სულ უფრო მზარდ ურთიერთდამოკიდებულებაში და კონკურენციაში ზემოთ ჩამოთვლილ უკელა სფეროში. ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო ამ პროცესისთვის გვერდის ავლა, შესაბამისად ისინი იძულებული შეიქმნენ მიეღოთ პარადიგმების მოდიფიცირება და გაზრდილი ურთიერთობები საერთაშორისო პარტნიორებთან. ამ ახალ რეალობაში, უნივერსიტეტების როლი განისაზღვრება, როგორც სტუდენტებისათვის გლობალური თვალსაწიერის მიმცემი საშუალება, რათა მათ უკეთ გაიგონ ერებისა და ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება, გამოიმუშაონ კულტურული განსხვავებებისა და პლურალიზმის მიმართ ტოლერანტობა. ამ კონტექსტში, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზანი უნდა იყოს აკადემიის იმგვარი განახლება, რომ არსებული გლობალური ფენომენი უფრო გასაგებად იყოს გამოხატული ინტერკულტურული ურთიერთობებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მეშვეობით¹¹.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობაზე საუბრობენ ნაითი და დე ვითი. ისინი აღწერენ ინტერნაციონალიზაციის პროცესის სხვადასხვა მიზეზს, არგუმენტს და მასტიმულირებელ ფაქტორს¹². ავტორები გამოყოფენ არგუმენტებს, მიზეზებს და მოლოდინს, რომლებითაც აიხსნება უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის სურვილი. ნაშრომში აღწერილია სხვადასხვა

¹⁰ Henard F., Diamond L. & Roseveare D. 2012. Aproaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institution Practice. OECD Hiegher Eucation Programme.

¹¹ Gacel-Avila, J., 2005. The Internationalization of Higher Education: A Paradigm for Global Citizenship. *Journal Of International Education.*, 9(2). pp. 121-136

¹² Knight, J., Wit, H. 1995. Strategies for internationalization of higher education: Historical and conceptual perspectives. In: Wit, H. eds. *Strategies for Internationalization of Higher Education: A Comparative Study of Australia, Canada, Europe and the United States of America*. EAIE, Amsterdam

სტეიპლოდერის არგუმენტები, როგორებიცაა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები, ასევე კულტურული და საგანმანათლებლო მიზეზები.

ეკონომიკურ-პოლიტიკურ არგუმენტებზე საუბრისას გამოიყოფა შემდეგი არგუმენტები და მიმართულებები:

- ეკონომიკური ზრდა და მომავლის ეკონომიკაში ინვესტიცია. აღნიშნული არგუმენტის მიხედვით, განათლების ინტერნაციონალიზაციას პოზიტიური ეფექტი ექნება ტექნოლოგიურ განვითარებაზე და ეკონომიკის ზრდაზე. ამავე მიზანს ემსახურება მრავალი მთავრობის მიერ უცხოელი სტუდენტებისათვის სტიპენდიების გამოყოფა, რომლის მიზანიცაა მომავალში კურსდამთავრებულების მიერ მასპინძელი ქვეყნისადმი ლოიალობა და მათთან ეკონომიკური და ბიზნეს კავშირ-ურთიერთობების დამყარება და განვითარება.
- დასაქმების ბაზარი. ინტერნაციონალიზაციის ეს არგუმენტი ძალიან ახლოსაა ეკონომიკურ არგუმენტთან. ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაში მეტი ჩართვა იწვევს დასაქმებულთა ინტერნაციონალიზაციას. შესაბამისად უფრო მეტ კურსდამთავრებულს უწევს კონკურენცია გაუწიოს უცხოელ კადრებს. აღნიშნული მიზეზი ქვეყნების მთავრობებისა და თვით უმაღლესი განათლების დაწესებულებები მიერ ცხადდება ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობის ხაზგასასმელად.
- საგარეო პოლიტიკა. აღნიშნული არგუმენტი განიხილება, როგორც დიპლომატიური ინვესტიცია მომავალი პოლიტიკური ურთიერთობებისათვის. ამ არგუმეტებით სარგებლობენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და სხვა ქვეყნები, როდესაც მხარს უჭერენ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას.
- ფინანსური მოლოდინი. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აქტივობები, შესაძლოა უნივერსიტეტებმა გამოიყენონ დამატებითი ფინანსური რესურსების მოსაზიდად.
- ეროვნული საგანმანათლებლო მოთხოვნა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი არგუმენტია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდასაჭერად. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნა დიდია, შესაბამისად მთავრობები მხარს უჭერენ რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა მიიღოს

განათლება საზღვარგარეთ, ზოგიერთ ქვეყანაში საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურა ნაკლებად განვითარებულია, შესაბამისად სტუდენტებს ახალისებენ მიიღონ განათლება საზღვარგარეთ.

კულტურულ-საგანმანათლებლო მიზეზები და არგუმენტები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- კულტურული ფუნქცია. მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ეს ფუნქცია არის მნიშვნელოვანი ფაქტორი განათლების ინტერნაციონალიზაციისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად როგორიცაა აშშ და საფრანგეთი, ინტერნაციონალიზაცია მიზნად ისახავს ეროვნული დირექტულებებისა და ფასეულობების ექსპორტს. ასევე კვლევები აჩვენებენ, რომ (მაგალითად კანადის კოლეჯებისა და უნივერსიტეტების ასოციაციის) ინტერნაციონალიზაციის მიზეზს წარმოადგენს სურვილი გაიზარდოს სტუდენტებს შორის ინტერნაციონალური და ინტერკულტურული ცოდნა და კომპეტენციები, რითაც ხელი შეუწყოს ერებს შორის კულტურულ, ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და პოლიტიკურ კავშირებს.
- პიროვნების განვითარება. ინტერნაციონალიზაციის მომდევნო არგუმენტია პიროვნების განვითარებისთვის ხელშეწყობა. ეს ხელს უწყობს სტუდენტის განვითარებას სხვა კულტურებთან შეხების საშუალებით. ხშირად დისკუსიის საგანი ხდება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები, რომლებიც მიიჩნევა მეტი პიროვნული განვითარების მომტანად სტუდენტისთვის. ამერიკულ უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციას განიხილავენ, როგორც მძლავრიად არა განვითარების განვითარებისათვის. ევროპაში ინტერნაციონალიზაციას ნაკლებ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ სტუდენტის პიროვნული განვითარებისათვის ვიდრე ამერიკაში. ევროპაში ინტერნაციონალიზაცია მიიჩნევა როგორც დამატებითი დირექტულების მომტანი პიროვნებისათვის.
- კვლევასა და სწავლებაში საერთაშორისო მიმართულებების ჩართვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინტერნაციონალიზაციის განხორციელება განათლებაში ეჭვსგარეშეა, ვინაიდან ცოდნის გაუმჯობესება გლობალური პროცესია, რომელიც საზღვრებს არ ცნობს. აქედან გამომდინარე ის არ ცნობს პაროქიალიზმსაც და შესაბამისად ახალისებს კრიტიკულად აზროვნებას. ის სტუდენტებიც კი, რომლებიც არასდროს ტოვებენ თავიანთ ქვეყნებს, განიცდიან

ინტერნაციონალიზაციის გავლენას. ძირითადად ეს ხდება სწავლებასა და კვლევებში საერთაშორისო ასპექტების ჩართვით, როგორებიცაა კურიკულუმის ინოვაცია, საზღვარგარეთ სასწავლო პროგრამები, გაცვლითი პროგრამები, უცხო ენების სწავლება, და ა.შ.

- **ინსტიტუციონალური ზრდა.** მკვლევარებს მოჰყავთ არგუმენტები იმის სასარგებლოდ, რომ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი სტრუქტურებისა და საქმიანობების გაძლიერებას. თანამედროვე ცოდნის მიღება მოითხოვს მეტ რესურსს, ვიდრე ეს ერთ კონკრეტულ უნივერსიტეტს შეიძლება გააჩნდეს. შესაბამისად, ინტერნაციონალიზაცია მოითხოვს უნივერსიტეტებისაგან კოოპერაციას, რაც მათ სტრუქტურებსა და საქმიანობებში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასა და განვითარებას იწვევს.
- **კვლევებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.** თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა უნივერსიტეტებში კვლევებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მათ შორის ინტერნაციონალიზაციის შეფასებაც შეუქცევადად მკვიდრდება¹³. აქვე ავტორებს მოჰყავთ მეცნიერ სმიტის ხედვა, რომ ეს ასპექტი შეიძლება განვიხილოთ ორი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით: საერთაშორისო განათლების მიწოდების ხარისხი და არსებული ხარისხის გაუმჯობესება ინტერნაციონალიზაციის გზით¹⁴.

საყურადღებოა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხები ეკროპაში, სადაც მსოფლიოს სხვა რეგიონებთან შედარებით ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობას და სისტემის პარმონიზაციას დიდი ყურადღება ეთმობა. საინტერესოა ადამსის ნაშრომი, რომელიც ეხება ეკროპაში საერთაშორისო უმაღლესი განათლების საკითხებს. ეკროპული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აღწერისას, მკვლევარი იყენებს ტერმინს ტრანსნაციონალური, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში განათლების ინტერნაციონალიზაციის კონტექსტშია განხილული. ავტორი აღნიშნავს, რომ

¹³ Knight, J., Wit, H. 1995. Strategies for internationalization of higher education: Historical and conceptual perspectives. In: Wit, H. eds. *Strategies for Internationalization of Higher Education: A Comparative Study of Australia, Canada, Europe and the United States of America*. EAIE, Amsterdam.

¹⁴ Smith, A., 1994. Quality and International Higher Education, EAIE, Amsterdam, 13, pg.17

ტრანსნაციონალური განათლება მჯიდრო ურთიერთკავშირშია ბოლონიის დეკლარაციასთან, მის შესრულებასთან და შესაბამის მიზნებთან. მეცნიერის აზრით, ‘ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე’ პირდაპირ კავშირშია ტრანსნაციონალურ განათლებასთან თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ტრანსნაციონალურ განათლებას უნივერსიტეტებისათვის მოაქვს შესაძლებლობები, ისევე როგორც საფრთხეები. ამის უპირველესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებს არ შეუძლიათ იზოლაცია მოახდინონ სხვა არაევროპული უმაღლესი განათლების დაწესებულებებისაგან. კონკურენცია თვით ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის, ისევე როგორც არაევროპულ უმაღლეს სასწავლებლებთან საგარაუდოდ გაიზრდება. უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნა დაფუძნებულია უმაღლესი განათლების ერთიანი არქიტექტურის ხედვაზე. პროცესი მიზნად ისახავს გააძლიეროს ევროპული ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები, ამავე დროს ემსახურება ურთიერთკავშირების გაძლიერებას, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. ევროპულ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს მართებთ იყვნენ უფრო მოქნილები, რათა არაევროპელი სტუდენტებიც მოიზიდონ. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ისინი კულტივირებას გაუკეთებენ ახალ იდეებს. მეცნიერის აზრით, ტრანსნაციონალური განათლება უნდა იყოს მიჩნეული პოზიტიურ შესაძლებლობად, რომელიც აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული. ამავე დროს, აღნიშნავს მკვლევარი, შესაბამისი საფრთხეებიც სწორად უნდა იყოს გაანალიზებული და სტრატეგიები შემუშავებული. ადამსის დასკვნებით, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას შემდეგი დადგებითი მხარეები გააჩნია:

- სწავლის შესაძლებლობების გაფართოება მოქალაქეებისათვის მეტი არჩევანის მიცემის გზით,
- ტრადიციულ საგანმანათლებლო სისტემებს აყენებს თანამედროვე გამოწვევების წინაშე, რათა მეტი ინოვაციური სასწავლო პროგრამები იყოს დანერგილი,
- ებმარება ევროპულ განათლებას მეტი კონკურენტუნარიანობის მოპოვებაში,
- სარგებელი მოაქვს ადგილობრივი უნივერსიტეტებისათვის პრესტიჟულ უცხოურ უნივერსიტეტებთან დამყარებული კავშირ-ურთიერთობების მეშვეობით,
- აძლევს უნივერსიტეტს საშუალებას ხელმისაწვდომი გახადოს შემოსავლის ახალი წყაროები.

მეცნიერის აზრით აღნიშნული ჩამონათვალი არის საგრძნობი სარგებელი უნივერსიტეტებისათვის, რომლებიც ეხმარება ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებს მოდერნიზებაში. მეცნიერის მიერ გაკეთებული კვლევიდან, ევროპული ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში აღნიშნული პუნქტები მიჩნეულ იქნა სარგებლად მათი საგანმანათლებლო სისტემებისათვის. ისევე როგორც სხვა ნებისმიერ პროცესს, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასაც ახლავს რა თქმა უნდა ნებატიური ასპექტებიც, როგორებიცაა:

- პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია არაოფიციალური განათლების მომწოდებელ ინსტიტუტებთან, რომლებიც რჩებიან ეროვნული ხარისხის კონტროლის სისტემის მიღმა,
- მომხმარებელთა დაცვის პრობლემები, რაც დაკავშირებულია პოტენციური სტუდენტებისათვის და დამსაქმებლებისათვის აღექვაზური ინფორმაციის არარსებობასთან,
- სირთულეები ისეთ ინსტიტუტებთან, რომლებიც ხარისხის ნაცვლად მხოლოდ დიპლომების გაცემით არიან დაკავებული,
- საერთაშორისო ინსტიტუტები შესაძლოა ჩაყენებულ იქნას არათანაბარ კონკურენციაში ადგილობრივ, მკაცრად რეგულირებულ ინსტიტუტებთან,
- ინფორმაციის ნაკლებობამ შესაძლოა გაართულოს კარგი და ცუდი უნივერსიტეტების ერთმანეთისგან გარჩევა¹⁵.

ამავე დროს, ნათელია, რომ ნებატიური ასპექტები უმნიშვნელოა ინტერნაციონალიზაციის სარგებელთან შედარებით, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ნებატიური ასპექტების გამოსწორება და მათთან გამკვლავება შესაძლებელია სწორი პოლიტიკისა და სტრატეგიის გატარების შემთხვევაში.

სხვადასხვა ლიტერატურის განხილვის შემდეგ გასელ-ავილა აკოთებს დასკვნებს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია აღქმული უნდა იყოს როგორც ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც რელევანტური იქნება საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებთან სამ ძირითად ფაქტორზე კონცენტრირებით:

¹⁵ Adams, S.,2001. Transnational education project report and recommendations. Confederation of European Rectors' Conferences, March 2001.

- ის უნდა იყოს მიღებული, როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკის ცენტრალური, ფუნდამენტური შემადგენელი ნაწილი, რომელსაც შეუძლია განათლების ხარისხის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო სისტემის იმგვარი ტრანსფორმირება, რომელიც უპასუხებს გლობალურ მოთხოვნებს,
- დანახული უნდა იყოს საერთაშორისო კოოპერაციის სტრატეგიული როლი მსოფლიო მოქალაქის აღზრდის საქმეში,
- მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის საკითხების განათლების კვლევებში¹⁶.

უმაღლესი განთლების ინტერნაციონალიზაციის მოტივაციებს და მიზანებს ეხებიან აგრეთვე ალტბახი და ნაითი. იმისათვის, რომ ინტერნაციონალიზაციის ანალიზი გაკეთდეს, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ინტერნაციონალიზაციის მასტიმულირებელი ფაქტორები, როგორებიცაა:

- **მოგება.** ინტერნაციონალიზაციის პროცესის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა დამატებითი შემოსავლების მიღების სურვილი. ეს ეხება როგორც კერძო, მომგებიან უნივერსიტეტებს, ასევე არამომგებიან უნივერსიტეტებს, რომელთაც ფინანსური პრობლემები გააჩნიათ. ზოგიერთი კომპანია პირდაპირ ყიდულობს უცხოურ უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს, დამატებითი შემოსავლის გენერირების მიზნით. მაგალითად შეიძლება დასახელდეს ლორეტი (Laureate) და აპლო ჯგუფი (Apollo Group, ფენიქსის უნივერსიტეტის სათავო კომპანია), რომლებიც საერთაშორისო ბაზარზე შევიდნენ ახალი ინსტიტუტების დაარსებით, არსებული ინსტიტუტების შესყიდვით, და სხვა ქვეყნების საგანმანათლებლო ინსტიტუტების მფლობელებთან პარტნიორობით. ბევრ ქვეყანაშია ახალი უნივერსიტეტი დაფუძნებული საერთაშორისო პარტნიორობით. მრავალი უნივერსიტეტი იყენებს ამერიკულ, ბრიტანულ, გერმანულ და სხვა ქვეყნების კურიკულიმს. მრავალი მათგანის სწავლების ენა ინგლისურიცაა, ზოგიერთი მათგანი აკრედიტებულია სხვა ქვეყნებში. ტრადიციული, არამომგებიანი უნივერსიტეტებიც შედიან საერთაშორისო ბაზარზე. ვინაიდან მრავალ ქვეყანაში ტრადიციული უნივერსიტეტების სუბსიდირება მცირდება (მაგალითად ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი), ასეთი უნივერსიტეტები გარდა წმინდა საერთაშორისო საკვლევი და

¹⁶ Gacel-Avila, J., 2005. The Internationalization of Higher Education: A Paradigm for Global Citizenship. *Journal Of International Education.*, 9(2). pp. 121-136

სწავლების ინტერესებისა, ფიქრობენ ინტერნაციონალიზაციაზე, როგორც დამატებითი დაფინანსების წყაროზე. უმრავლესობა ამას ახორციელებს საზღვარგარეთ ფილიალების გახსნით და ადგილობრივ უნივერსიტეტებთან პარტნიორობით. ეს უნივერსიტეტები ძირითადად ფოკუსს აკეთებენ საშუალო შემოსავლიან ქვეყნებზე. რთულია მსჯელობა უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის რაოდენობრივ საზომებზე, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავ ციფრებთან გვაქვს საქმე, რადგან ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკებში, უმაღლესი განათლების დაწესებულებებს დიდი ხვედრითი წილი გააჩნიათ.

- საერთაშორისო განათლების ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო განათლებაზე მოთხოვნა ახალგაზრდებს შორის სწრაფად იზრდება იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მსურველი ახალგაზრდების 20%-ზე ნაკლები სწავლობს უნივერსიტეტებში (მაგალითად ჩინეთი, ინდოეთი, აფრიკის უმრავლესი ქვეყნები). ის უმაღლესი განათლების დაწესებულებები, რომლებიც დამატებითი შემოსავლის წყაროებს ეძებენ, სტუდენტებს აძლევენ წვდომას უმაღლესი განათლებისადმი ქვეყნებში, სადაც მოთხოვნა ჭარბობს მიწოდებას. ასეთი სახის წვდომა შესაძლოა მრავალნაირი იყოს: ფილიალები, უცხოური აკადემიური პროგრამების და მისანიჭებელი ხარისხების ფრანჩიზა, ან თუნდაც დამოუკიდებელი დაწესებულებების გახსნა უცხოური მოდელით.

- ტრადიცია. ბევრ უნივერსიტეტს საერთაშორისო აქტივობები გააჩნია ათწლეულების განმავლობაში, ზოგიერთ მათგანს საუცნებებიც კი. ამ უნივერსიტეტებს გააჩნიათ უცხოური სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და მათი განხორციელების, უცხოური ენების საწვლების და უცხოურ ენებზე დისკიპლინების სწავლების დიდი ტრადიცია. როგორც წესი, ასეთი უნივერსიტეტებისათვის ინტერნაციონალიზაცია დიდი შემოსავლის მომტანი არ არის ხოლმე.

- ევროპული ინტერნაციონალიზმი. უკვე ორი ათწლეულია ევროპავშირის მმართველი ორგანოები ხელს უწყობენ აკადემიურ ინტერნაციონალიზაციას. მაგალითისათვის შესაძლებელია დასახელდეს ERASMUS პროგრამა, რომლებიც ევროპავშირის წევრი ქვეყნების სტუდენტებს ხელს უწყობს სწავლების გარკვეული ნაწილი გაიაროს საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს რეგიონის ინტეგრაციას. ევროპული რეგიონალიზაციის ფარგლები გაფართოვდა ბოლონიის ხელშეკრულებით, რომელიც გულისხმობს მთლიანი

აკადემიური სისტემების ჰარმონიზაცია. ბოლონიის პროცესი ძირითადად მოიცავს უკროკავშირის ქვეყნებს, თუმცა სხვა არაწევრი უკროპული ქვეყნებიც არიან ჩართული ამ პროცესში. უკროკავშირი ასევე აფართოებს თავის ინტერნაციონალიზაციის არეალს შორეული აღმოსავლეთის აზიის ქვეყნებში და ლათინურ ამერიკაში. ეს აქტივობები ძირითადად შეეხება რეგიონალურ და ინსტიტუციონალურ კავშირებს და ასევე სტიპენდიების პროგრამებს.

- განვითარებადი ქვეყნების ინტერნაციონალიზაცია. განვითარებად ქვეყნებში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა შთამბეჭდავია. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ქვეყნების უნივერსიტეტებს უნდათ მოიზიდონ უცხოელი სტუდენტები უფრო მეტად, რადგან მუდმივად იზრუნონ ხარისხის გაუმჯობესებაზე, სტუდენტთა ეროვნული შემადგენლობის მრავალფეროვნებას შეუწყონ ხელი, გახდნენ უფრო პრესტიულები. მაგალითისათვის ავტორებს მოჰყავთ ინდოეთისა და ფილიპინების მაგალითი, სადაც სხვა განვითარებადი ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტების ხვედრითი წილი დიდია. ამავე დროს, ჩინეთი, ინდოეთი და მალაიზია ქმნიან ეროვნულ სტრატეგიებს საკუთარი განათლების ექსპორტისათვისაც.

- ინდივიდუალების ინტერნაციონალიზაცია. ინდივიდუალები თვითონ იღებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როდესაც საკითხი ეხება სწავლის ადგილისა და სპეციალობის შერჩევას. ისინი ინდივიდუალურად წყვეტის უცხოეთში განათლების მიღების, სწავლის დამთავრების შემდეგ უკან დაბრუნების თუ საერთოდ საკუთარი ქვეყნებიდან უცხოურ დაწესებულებებში დისტანციურ სწავლის საკითხებს. სოფლიოს საერთაშორისო სტუდენტის დიდი რაოდანება თვით-დაფინანსებით სწავლობს, რაც გულისხმობს მათ საკუთარ, ან მათი ოჯახების მიერ დაფინასებას. შესაბამისად, საერთაშორისო განათლების დაფინანსების უდიდესი წყარო სტუდენტებზე მოდის¹⁷.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საჭიროებებზე საუბრობს ბერტელი თავის სტატიაში. ავტორს მოჰყავს სამი ძირითადი არგუმენტი, რაც წარმოაჩენს დისტანციული მიმართულებების, კურიკულურების დიზაინისა და შინაარსის ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობას:

¹⁷ Altbach, P.G., Knight J., 2007. The Internationalization of Higher Education: Motivations and Realities. *Journal of Studies in International Education*, 11(3/4), Fall/Winter. pp. 290-305.

- თანამედროვე ეტაპზე არაუინ დაობს და აქსიომად არის მიღებული კომუნიკაციისა და ტრანსპორტირების განვითარების, ინფორმაციის გაცვლის მკეთრად გაუმჯობესების ფენომენი ქვეყნებს შორის. თუ დღევანდელობას შევადარებო კაცობრიობის განვითარების ისტორიას, დღეს ცოდნის გავრცელება და ქვეყნებს შორის დიფუზია ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვიდრე ოდესმე. შესაბამისად, უმაღლესი განათლება და მისი დირებულებები უკვე მხოლოდ რიგორიკულ დონეზე ვერ იქნება დაფუძნებული, არამედ მან ხელი უნდა შეუწყოს კულტურათაშორის და ინტერპერსონალური ურთიერთგაბეჭდის ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარებით.
- მედიის საერთაშორისო სისტემა, განსაკუთრებით სატელიტური ტელემაუწყებლობა, ხელს უწყობს კულტურების სწრაფ გაზიარებას და შერევას. ადრე ურთიერთდაშორებული ქვეყნები, დღეს აქტიურად მონაწილეობენ და თანამშრომლობენ დანარჩენ სამყაროსთან იდეოლოგიების დაახლოების პუთხით, განსაკუთრებით მოდერნიზაციისა და დემოკრატიის დამკვიდრების და გაუმჯობესების მიმართულებით.
- მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულებში დაფიქსირდა ზიარი ეკონომიკებისა და სისტემების ზრდა, რამაც გამოიწვია ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ საკითხებში და ა.შ. შესაბამისად უფრო ინტენსიური გახდა საერთაშორისო კონკურენციაც. ადრე რეგულირებული ეკონომიკების დერეგულაცია განხორციელდა. გაფორმდა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები ჩრდილოეთ ამერიკაში (NAFTA), სამხრეთ ამერიკაში (LAFTA) შეიქმნა ევროპის კავშირი (EU). რა თქმა უნდა ზემოთადწერილი მოვლენები პირველ რიგში ეხება როგორც საერთაშორისო, ასევე ცალკე აღებული ქვეყნების საწარმოებს, უნივერსიტეტებს და კოლეჯებს, რომლებმაც ვეხი უნდა აუბან არსებულ რეალობას¹⁸.

მიმდინარე ქვეთავში განხილული განსაზღვრებები, ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა და შესაძლო მოტივაციები მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტების ცხოვრებაში ჩამოყალიბდა

¹⁸ Bartell, M., 2003. Internationalization of Universities: A University Culture-Based Framework. Higher Education, 45, pp. 43-70. Kluwer Academic Publishers. Netherlands.

როგორც მისი ერთერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც მიუხედავად გარკვეული საშიშროებებისა, უფრო დიდი სარგებელი მოაქვს მათთვის. შესაბამისად ეს საკითხები ითხოვენ მეტ ყურადღებას და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მენეჯერულ მიდგომებს. შემდეგი ქვეთავები ეხება სწორედ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მოდელების და სტრატეგიების და მათი მენეჯმენტის თეორიების განხილვას.

12 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის მოდელები

მას შემდეგ რაც დავადგინეთ თუ რას წარმოადგენს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, აღვწერეთ შესაბამისი დეფინიციები, მოტივაციები და ფაქტორები ინტერნაციონალიზაციისათვის, მიზნად დავსახეთ შეგვესწავლა ის მოდელები, რომლებსაც გვთავაზობენ მეცნიერები ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის. ამ მოდელების დამუშავებას ორმაგი დანიშნულება გააჩნია მიმდინარე პვლევისათვის. პირველი, ისინი საშუალებას გვაძლევენ დავინახოთ ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ასპექტები და მიმართულებები და მეორე, გამოვიყენოთ ისინი შემდგომი ემპირიული პვლევებისათვის აღნიშნული თეორიული მოდელების პრაქტიკაში არსებულ რეალობასთან შესადარებლად და შესაბამისი დასკვნების გამოსატანად. ამ ქვეთაგში განხილული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თეორიული მოდელები, გამოიყენება შემდგომი ემპირიული პვლევების ჩატარებისას, ისევე როგორც მათ აქვთ პრაქტიკული გამოყენება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებების განსაზღვრის, დონის, შეფასებისა და შემდგომი დახვეწისათვის.

ფეიჯმა შეისწავლა და გააანალიზა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მოდელი, რომლების მანამდე ჰქონდა შემუშავებული სხვადასხვა მეცნიერს, როგორებიცაა ელინგბოე¹⁹, ნაითი და დე ვიტ²⁰,

¹⁹ Ellingboe, B. J., 1998. Divisional strategies to internationalise a campus portrait: Results, resistance and recommendations from a case study at US universities. In: J. A. Mestenhauser & B. J. Ellingboe , eds. 1998. *Reforming the higher education curriculum: Internationalising the campus*, pp.198-228.

²⁰ Knight, J., & de Wit (ed.) ,1999. Quality and Internationalization in Higher Education , OECD.

ფეიჯი და მესტენჰაუზერი²¹, მესტენჰაუზერი²², გრინი და ოლსონი²³, ფეიჯი²⁴, მარდენი და ენგერმანი²⁵, ნილსონი²⁶. აღნიშნული შრომების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ, ფეიჯმა მოახდინა მიღებული შედეგების სინთეზი და წარმოადგინა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მოდელი, რომელიც გამოყოფილია შემდეგი ათი კომპონენტი:

- **უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა:** სხვადასხვა დონის მენეჯერებისა და ლიდერების მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისათვის. მაღალი დონის მენეჯერების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, თუმცა ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საშუალო რანგის მენეჯერები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში.
- **სტრატეგიული გეგმა:** ინტერნაციონალიზაციის სტარტეგიული დაგეგმარება ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სტრატეგიული გეგმა მოიცავს მიზნებს, ძალისხმევას, ქმედებებს და წინასწარ გაწერილ დროის მონაკვეთებს. კარგად შემუშავებული სტრატეგიული გეგმა წარმატებული ინტერნაციონალიზაციის წინაპირობას წარმოადგენს.
- **ინსტიტუციონალიზაცია:** უმაღლესი განათლების ინსტიტუციონალიზაცია მნიშვნელოვანია, რადგან ის ამ პროცესს ხდის მდგრადს. მმართველობის შესაბამისი ფორმების არსებობა უზრუნველყოფს პროცესის წარმატებას.
- **ინფრასტრუქტურა:** ინტერნაციონალიზაციის მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც მოიცავს პროფესიონალ გუნდს და სტრუქტურულ დანაყოფებს, რომლების

²¹ Paige, R. M. & Mestenhauser, J. A.,1999. Internationalizing Educational Administration., *Education Administration Quarterly* , vol.35, pp. 500-517.

²² Mestenhauser, J. A.,2002. In Search of a Comprehensive Approach to International Education: A Systems Perspective, Grünzweig, W. &Rinehart, N.(ed.), *Rockin'in Red Square: Critical Approaches to International Education in the Age of Cyberspace* , Lit Verlag, pp. 165-213.

²³ Green, M. F., & Olson, C., 2003. Internationalizing the Campus: A User's Guide , *American Council on Education*.

²⁴ Paige, R. M.,2003. The American Case: The University of Minnesota,*Journal of Studies in International Education* , vol.7, pp. 52-63.

²⁵ Marden, P. G. & Engerman, D. C.,1992, International Interest: Liberal Arts Colleges Take the High Road, *Educational Record* , Spring, pp. 42-46.

²⁶ Nilsson, B. ,2003. Internationalisation at Home from a Swedish Perspective:The Case of Malmö, *Journal of Studies in International Education*, vol.7, pp. 27-40.

პასუხისმგებელი არიან ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ასპექტებზე, როგორებიცაა უცხოელი სტუდენტები, უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები, საზღვარგარეთ სასწავლო პროგრამები, აკადემიური პერსონალის განვითარება, გრანტები და ხელშეკრულებები.

- **კურიკულუმი:** ინტერნაციონალიზებული სასწავლო პროგრამები მთავარი ფაქტორია ინტერნაციონალიზაციის პროცესში. კურიკულუმი წარმოადგენს უნივერსიტეტის ფილოსოფიას, რამეთუ ასეთი სახის კურიკულუმი უადგილებს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროგრამაში შინ თუ საზღვარგარეთ.
- **უცხოელი სტუდენტები და მკვლევარები:** უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში უცხოელ სტუდენტებსა და მკვლევარებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ, რადგან მათ აქვთ კომუნიკაცია და უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას ადგილობრივ სტუდენტებს და მკვლევარებს.
- **უცხოეთში სწავლა:** მკვლევარები და უნივერსიტეტები ადიარებენ უცხოეთის სასწავლო პროგრამებს, როგორც ინტერნაციონალიზაციის ძირითად კომპონენტს. აქვე მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ უცხოეთში სწავლა უნდა იყოს არსებული კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი და არა დამოუკიდებლად ჩამოყალიბებული პროგრამა.
- **აკადემიური პერსონალის ჩართულობა:** აკადემიური პერსონალი კურიკულიმის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად რაც უფრო მეტი პროფესორ-მასწავლებელია ჩართული საერთაშორისო აქტივობებში, მით მეტია საერთაშორისო ასპექტები მათ მუშაობაში.
- **საუნივერსიტეტო ცხოვრება:** არააკადემიური, ექსტრა-კურიკულუმის საქმიანობა ასევე მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციისათვის. სხვადასხვა საერთაშორისო კულტურული თუ სპორტული ღონისძიება და სოციალური ასპექტები, ხელს უწყობს სწრაფ ინტერნაციონალიზაციას.
- **მონიტორინგი:** ინტერნაციონალიზაციის პროგრესის მუდმივი შემოწმება მნიშვნელოვანია. შესრულებული სამუშაოების მკაფიო ინდიკატორები წინასწარ უნდა იყოს შემუშავებული, ძირითადი პერსონალი წინასწარ უნდა იქნას

შერჩეული ამ მონიტორინგის განსახორციელებლად, რომლის მიზანია დაკვირვება, შეფასება და შენიშვნების შემუშავება²⁷.

ფეიჯის მოდელის სქემაზე გამოსახვა შესაძლებელია შემდეგნაირად:

სქემა 1.1: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ფეიჯის მოდელი

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ფეიჯის მოდელი-სქემა

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა

სტრატეგიული გეგმა

ინსტიტუციონალიზაცია

ინფრასტრუქტურა

კურიკულუმი

უცხოელი სტუდენტები და მკვლევარები

უცხოეთში სწავლა

აკადემიური პერსონალის ჩართულობა

საუნივერსიტეტო ცხოვრება

მონიტორინგი

წყარო: Paige, R.M., 2005. Internationalisation of higher education: performance assessment and indicators

ფეიჯის მოდელის შესწავლა იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მოდელში მოცემული კომპონენტები მნიშვნელოვანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში შესაძლოა ყველა კომპონენტი ერთდროულად არ იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, ზოგიერთ უნივერსიტეტში შესაძლოა მხოლოდ რამოდენიმე კომპონენტი ფუნქციონირებდეს, მაშინ როდესაც სხვა უნივერსიტეტები სხვა კომპონენტებს აქცევდნენ მეტ ყურადღებას. მაგრამ ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ და ზეგავლენას ახდენენ

²⁷ Paige, R.M., 2005. Internationalisation of higher education: performance assessment and indicators. *Nagoya Higher Education Research*, 5, pp. 99-122.

ინტერნაციონალიზაციის მოდელების იმპლემენტაციაზე, შესაძლოა საერთო იქის სხვადასხვა უნივერსიტეტისათვის. შესაბამისად უმაღლესი განათლების მენეჯმენტის მოდელების შესწავლა დაგვეხმარება დაგინახოთ, თუ როგორი მიღებომა არსებობს ამ საკითხისადმი მენეჯმენტის თვალსაზრისით. აღნიშნული საკითხი შესწავლილია და მოცემულია ქვემოთ.

სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მეცნიერს გამოკვეყნებული და გამოქვეყნებული აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის მოდელები. მათ შორის აღსანიშნავია ნაითის²⁸, ქიანგის²⁹, ფეიჯის³⁰, რუდზეის³¹, ნიიგის³², ნაითისა და დე ვითის³³, დევისის³⁴, ვან დეიკისა და მეიერის³⁵ შრომები. აღნიშნულმა მეცნიერებმა თავი მოუყარეს ამ სფეროში ჩატარებული თეორიული და ემპირიული კვლევების უმეტესობას, მოახდინეს ძირითადი ელემენტების კომბინირება, რათა ეჩვენებინათ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კომპლექსური მოდელები.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის საკითხისათვის, ნაითი გამოყოფს ოთხ სხვადასხვა მიღებას და ახასიათებს თითოეულ მათგანს:

- საქმიანობით მიღება. ასეთი სახის მიღება, წარმოაჩენს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას, როგორც საერთაშორისო საქმიანობების ურთობლიობას. აქ შეიძლება გავაერთიანოთ როგორც აკადემიური ასევე არასასწავლო, დამხმარე საქმიანობები, როგორებიცაა: სასწავლო გეგმების შემუშავება, მკვლევარების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის

²⁸ Knight, J., 1994. Internationalisation: Elements and Checkpoint. *CBIE Research*, 7, pp.1-15.

²⁹ Qiang, Z., 2003. Internationalisation of higher education: towards a conceptual framework. *Policy Futures in Education*, 1(2), pp. 248-270.

³⁰ Paige, R.M., 2005. Internationalisation of higher education: performance assessment and indicators. *Nagoya Higher Education Research*, 5, pp. 99-122.

³¹ Rudzki, R., 1995. The application of a strategic management model to the internationalisation of higher education institutions. *Higher Education*, 29, pp. 421-441.

³² Neave, G., 1992. Managing Higher Education International Cooperation: Strategies and Solutions, Reference Document, UNESCO, pp.166-69

³³ Knight, J., Wit, H. 1995. Strategies for internationalization of higher education: Historical and conceptual perspectives. In: Wit, H. eds. *Strategies for Internationalization of Higher Education: A Comparative Study of Australia, Canada, Europe and the United States of America*. EAIE, Amsterdam;

³⁴ Davies, J.L., 1992. Developing a Strategy for Internationalization in Universities: Towards a Conceptual Framework. IMHE Conference, Paris. Published in Bridges to the Future: Strategies for Internationalizing Higher Education, ed. C.B Klasek, AIEA, Carbondale, 1992.


³⁵ Van Dijk, H. and Mijer, C., 1994. Internationalization of Higher Education in the Netherlands, an Exploratory study of Organizational Designs, EAIR conference in Amsterdam.

გაცვლები, სპეციფიკური დარგების სწავლებები, ტექნიკური დახმარება, ინტერკულტურული ტრენინგი, და ა.შ.

- **კომპეტენციებით მიდგომა.** აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის განხილვას ახალი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების შემუშავების ჭრილში როგორც სტუდენტებისათვის ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.
- **პროცესით მიდგომა.** ეს მიდგომა გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის ელემენტების ინტეგრირებას უნივერსიტეტის ფუნქციონირების პროცესში. ამ პროცესის ნაწილია აკადემიური პროცესი, ორგანიზაციული წესები, პროცედურები და სტრატეგიები.
- **ორგანიზაციული მიდგომა,** რაც მოიცავს შესაბამისი კულტურის, ეთოსის შექმნას, რომელიც აფასებს და მსარს უჭერს ინტერკულტურულ და საერთაშორისო პერსპექტივას³⁶.

აღნიშნული მოდელი შესაძლოა შემდეგი სქემით გამოისახოს:

სქემა 1.2: უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ნაითის მოდელი



წყარო: Knight, J., 1994. Internationalisation: Elements and Checkpoints.

³⁶ Knight, J., 1994. Internationalisation: Elements and Checkpoint. *CBIE Research*, 7, pp.1-15.

ნაითი და დე ვითი მიმოიხილავენ ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის სხვადასხვა მოდელს, რომლებიც სხვადასხვა მკლევარის მიერ არის ჩამოყალიბებული, მათ შორისაა ნიივის³⁷, დევისის³⁸, ვან დეიკისა და მეიერის³⁹, რუდზკის⁴⁰ მოდელები. თითოეული მკვლევარი წარმოადგენს სხვადასხვა ასპექტიდან დანახულ ინტერნაციონალიზაციის მოდელს⁴¹.

ნიივმა შეიმუშავა ორი პარადიგმული მოდელი, რომელიც იუნესკოსთვის შესწავლილ ქეისებს დაუყრდნო. ერთი მოდელი ეფუძნება უნივერსიტეტის ‘ლიდერშიფს’ (ხელმძღვანელობას), ხოლო მეორე - საბაზისო სტრუქტურულ ქვედანაყოფებს. პირველი მოდელი ხედავს ინტერნაციონალიზაციას, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრალური ადმინისტრაცია, ხოლო მეორე მოდელი ცენტრალური ადმინისტრაციის როლს ხედავს მხოლოდ იმ საქმიანობის კოორდინაციაში, რომელიც ქვედა რგოლებიდან მოდის. ნუ, ნიივის ეს ორი მოდელი (მიდგომა) ძირითადად შეეხება ინტერნაციონალიზაციის გადაწყვეტილებების მიღების ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ მიდგომას⁴².

დევისმა შეიმუშავა მოდელი, რომელშიც ნათლადაა ხაზგასმული მომავლის ხედვა და ასპექტები. ავტორის მიხედვით, უნივერსიტეტს, რომელიც ინტერნაციონალიზაციას აპირებს, გარკვევით უნდა ჰქონდეს ფორმულირებული თუ რა ეტაპზე იმუოფება ამ საკითხთან მიმართებაში, ვინაიდან მისიამ უნდა განსაზღვროს დაგეგმვის პროცესი და დღის წესრიგი, რესურსების გამოყოფის კრიტერიუმები.

³⁷ Neave, G., 1992. Managing Higher Education International Cooperation: Strategies and Solutions, Reference Document, UNESCO, pp.166-69;

³⁸ Davies, J.L., 1992. Developing a Strategy for Internationalization in Universities: Towards a Conceptual Framework. IMHE Conference, Paris. Published in Bridges to the Future: Strategies for Internationalizing Higher Education, ed. C.B Klasek, AIEA, Carbondale, 1992.


³⁹ Van Dijk, H. and Mijer, C., 1994. Internationalization of Higher Education in the Netherlands, an Exploratory study of Organizational Designs, EAIR conference in Amsterdam.

⁴⁰ Rudzki, R., 1995. The application of a strategic management model to the internationalisation of higher education institutions. *Higher Education*, 29, pp. 421-441.

⁴¹ Knight, J., Wit, H. 1995. Strategies for internationalization of higher education: Historical and conceptual perspectives. In: Wit, H. eds. *Strategies for Internationalization of Higher Education: A Comparative Study of Australia, Canada, Europe and the United States of America*. EAIE, Amsterdam

⁴² Neave, G., 1992. Managing Higher Education International Cooperation: Strategies and Solutions, Reference Document, UNESCO, pp.166-69

სქემა 13: დევისის მოდელი



წყარო: Davies, J.L., 1992. Developing a Strategy for Internationalization in Universities: Towards a Conceptual Framework

დევისის მიხედვით უნივერსიტეტს ინტერნაციონალიზაციის მიზნის განსახორციელებლად შესაძლოა ჰქონდეს:

- ცენტრალურ-სისტემატური სტრატეგია, რაც იმას ნიშნავს რომ უნივერსიტეტში არის სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობა და მათ შორის მიმდინარეობს კოორდინაცია და ისინი ერთმანეთს აძლიერებენ.
- სპონტანურ-ცენტრალური სტრატეგია, რომლის თანახმად გარკვეული, მკაფიოდ ჩამოუყალიბებელი დიდი მოცულობის საქმიანობა იყოს მხარდაჭერილი და შესრულებული უნივერსიტეტის მასშტაბით.
- სისტემატურ-მარგინალური სტრატეგია, რაც გულისხმობს შეზღუდული რაოდენობის საქმიანობის შესრულებას მაგრამ მკაფიოდ და კარგად ორგანიზებულად.
- სპონტანურ-მარგინალური სტრატეგია, სადაც მცირე აქტივობებს აქვს ადგილი, მაგრამ მკაფიო გადაწყვეტილებების გარეშე⁴³.

⁴³ Davies, J.L., 1992. Developing a Strategy for Internationalization in Universities: Towards a Conceptual Framework. IMHE Conference, Paris. Published in Bridges to the Future: Strategies for Internationalizing Higher Education, ed. C.B Klasek, AIEA, Carbondale, 1992.

ვან დეიკისა და მეიერის მიერ ჩამოყალიბებული მოდელი წარმოადგენს დევისის მოდელის განვრცობას. დევისის მოდელის კომპონენტებს, მეცნიერები უმატებენ სამ განზომილებას, როგორებიცაა პოლიტიკა, მხარდაჭერა და იმპლემენტაცია. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა შესაძლებელია იყოს მარგინალური ან პრიორიტიზებული, მხარდაჭერა შესაძლებელია იყოს მხოლოდ ერთი მხრიდან ან ინტერაქტიული, ხოლო იმპლემენტაცია ასევე შესაძლებელია მოხდეს სპონტანურად ან სისტემურად⁴⁴.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ოთხ განზომილებას ეყრდნობა რუდზკის მოდელი. აღნიშნული მოდელი ხახს უსვამს

- სტუდენტების მობილობას,
- პერსონალის განვითარებას,
- კურიკულუმის განახლებას და
- ორგანიზაციულ ცვლილებებს.

სქემა 14: რუდზკის მოდელი

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის რუდზკის მოდელი

| რეაქტიული რეჟიმი | პროაქტიული რეჟიმი |
|-------------------------------------|----------------------------|
| ფაზა 1 • კონტაქტი | ფაზა 1 • ანალიზი |
| ფაზა 2 • ფორმალიზაცია | ფაზა 2 • არჩევანი |
| ფაზა 3 • ცენტრალიზებული კონტროლი | ფაზა 3 • იმპლემენტაცია |
| ფაზა 4 • კონფლიქტი | ფაზა 4 • შეფასება-განხილვა |
| ფაზა 5 • მწვერვალი-დაღმასვლა | ფაზა 5 • განახლება |

წყარო: Rudzki, R., 1995. The application of a strategic management model to the internationalisation of higher education institutions.

⁴⁴ Van Dijk, H. and Mijer, C., 1994. Internationalization of Higher Education in the Netherlands, an Exploratory study of Organizational Designs, EAIR conference in Amsterdam.

რუდზების მოდელი განიხილავს ინტერნაციონალიზაციის ორ რეჟიმს: რეაქტიულს და პროაქტიულს. თითოეული რეჟიმი შედგება ხუთი ფაზისგან:

- რეაქტიული რეჟიმი:

- I ფაზა- კონტაქტი: აკადემიური პერსონალი ჩართულია უცხოელ კოლეგებთან კონტაქტებში, კურიკულუმის განვითარებაში, მობილობა ლიმიტირებულია, მკაფიოდ არაა გამოხატული მიზნები და ხანგრძლივობა.
- II ფაზა- ფორმალიზაცია: ზოგიერთი კავშირი ფორმალიზებულია/ოფიციალურადაა გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულებების მეშვეობით, თუმცა შესაძლოა საკმარისი რესურსები არ არსებობდეს.
- III ფაზა- ცენტრალიზებული კონტროლი: აქტივობების ზრდა და მმართველი ადმინისტრაციის სურვილი კონტროლი გაუწიოს ამ აქტივობებს.
- IV ფაზა- კონფლიქტი: ორგანიზაციული კონფლიქტი თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის, რაც იწვევს თანამშრომლების მხრიდან ენთუზიაზმის დაკარგვას და საქმიანობის შესაძლო შემცირებას.
- V ფაზა- მწვერვალი და დაღმასვლა: შესაძლო სვლა უფრო მომგებიან, გაწონასწორებულ რეჟიმზე, მაგალითად პროაქტიულ რეჟიმზე.

- პროაქტიული რეჟიმი:

- I ფაზა- ანალიზი: მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნების სტრატეგიული ანალიზი, პერსონალის ტრეინინგი, შიდა აუდიტის მოწყობა, ხარჯებისა და მოგების ანალიზი.
- II ფაზა- არჩევანი: სტრატეგიული გეგმისა და პოლიტიკის შემუშავება დრმა და ყოვლისმომცველი კონსულტაციების მეშვეობით ქსელებთან, შესრულებული საქმიანობის გაზომვის კრიტერიუმების დადგენა, რესურსების გამოყოფა.
- III ფაზა- განხორციელება/იმპლემენტაცია.
- IV ფაზა- შეფასება-განხილვა: შესრულებული სამუშაოს შედარება გეგმასთან და მისი ანალიზი.

- V ფაზა-მიზნების, გეგმების, პოლიტიკის განახლება: დროში განგრძობითი გაუმჯობესების პროცესის უზრუნველყოფა⁴⁵.

რუდზკის მოდელის ორი რეჟიმი ინტერნაციონალიზაციის განსხვავებულ მიღებებს ეფუძნება: პირველი რეჟიმი უფრო სპონსორული საქმიანობების ხასიათს ატარებს, ხოლო მეორე ორგამიზებულია სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

ნაითი ამტკიცებს, რომ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციისკენ სწრაფვა არის ძალიან ძლიერი, მაგრამ ხშირად ოპტიმიზმი სჭარბობს რეალიზმს. შესაბამისად, რეალისტური მიზნებისა და ვადების დასახვა მნიშვნელოვანია. იმისათვის რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ მიზანს მივაღწიოთ, ავტორი გვირჩევს ექსკომპონენტიან მოდელ-სქემას. სქემის ყოველ კომპონენტს მეცნიერი აღწერს შემდეგნაირად:

- **გაცნობიერება:** მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობის გაცნობიერება უნივერსიტეტის ლიდერებისა და პერსონალის მიერ. თუმცა, მხოლოდ საკითხის გაცნობიერება საკმარისი არ არის წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ინიციორება უნდა გაუკეთოს დისკუსიებს დაწესებულების შიგნით სადაც იმსჯელებენ საჭიროების, მიზნების, სადაც საკითხების შესახებ, რადგან ინტერნაციონალიზაცია ეხება უნივერსიტეტის ყველა ფუნქციას და ქვედანაყოფს.
- **მიზანსწრაფვა:** წარმატებული ინტერნაციონალიზაციის მისაღწევად, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მაღალი რანგის მენეჯერებმა უჩვენონ საშუალო და დაბალი რანგის მენეჯერებსა და პერსონალს მკაფიო მიზანსწრაფვა ინტერნაციონალიზაციისაკენ. მიზანსწრაფვის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია შესაბამისი ფონდების გამოყოფა საერთაშორისო საქმიანობებისათვის. მიუხედავად ამისა, წარმატების მიღწევა შესაძლებელია განსაკუთრებით დიდი დანახარჯებისა და ფინანსების ახალი წყაროების გარეშეც. მნიშვნელოვანია მიზანსწრაფვა დადასტურებული იყოს საერთაშორისო აქტივობებში ჩართული

⁴⁵ Rudzki, R., 1995. The application of a strategic management model to the internationalisation of higher education institutions. *Higher Education*, 29, pp. 421-441.

პერსონალის წახალისებითა და სხვადასხვა ფინანსური თუ არაფინანსური ჯილდოებით.


- **დაგეგმვა:** აუცილებელია კომპლექსური გეგმის შემუშავება. გეგმის პირველი ნაწილი უნდა მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის მიზნებისა და მოტივების განსაზღვრას, მოსალოდნელ შედეგებს, მკაფიო მისიას რომელიც მხარს უჭერს ინტერნაციონალიზაციას. დაგეგმვა უნდა მოხდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სხვადასხვა დონეზე. უნდა არსებობდეს ინტერნაციონალიზაციის ერთიანი საუნივერსიტეტო ინსტიტუციონალური გეგმა, ასევე სადეპარტამენტო გეგმებიც. ინსტიტუციონალური გეგმა უნდა მოიცავდეს დაწესებულების ძირითად მიზნებს, რომლებიც მიმართულებას მისცემენ დეპარტამენტებისა და სტრუქტურული ერთეულების გეგმებს. დაგეგმვის პროცესში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის საკითხებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. ინტერნაციონალიზაციის გეგმების წარმატებით შესასრულებლად დაბალი რანგის მენეჯერების ინიციატივები უნდა იქნას დანახული და გათვალისწინებული. დაგეგმვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ოპტიმიზმი რეალისტური გემებით იყოს გამყარებული.
- **თპერაციონალიზაცია:** თპერაციონალიზაცია მოიცავს სტრატეგიის შესრულება-იმპლემენტაციას და დამხმარე ინფრასტრუქტურის შექმნას. თპერაციონალიზაციის მიღწევა შესაძლებელია სამი ძირითადი კომპონენტის მეშვეობით: საგანმანათლებლო საქმიანობა, საორგანიზაციო საკითხები და სახელმძღვანელო ინსტრუქციების შექმნით. საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებების შექმნა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგები, საპარტნიორო ქსელების ჩამოყალიბება ინტერნაციონალიზაციის თპერაციონალიზების მთავარი კომპონენტებია.
- **შეფასება:** აღნიშნული კონცეფციის განხორციელება უნდა წარმოებდეს ორი სხვადასხვა მიმართულებით. პირველი, ინტერნაციონალიზაციის საკითხის სისტემატური განხილვა და მეორე, ინტერნაციონალიზაციის საკითხების გათვალისწინება ბიუჯეტირების პროცესში. ასეთი სახის შეფასება აუცილებელია, რათა მოხდეს ინტერნაციონალიზაციის ინტეგრირება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

- **მხარდაჭერა-გაძლიერება:** ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერებისა და მეტი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია პროცესში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის აღიარება და წახალისება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი მიზანსწრაფვის ჩამოსაყალიბებლად. როგორც ნაითი აღნიშნავს, ინტერნაციონალიზაციის პროცესი არ არის წრფივი, ეს არის ციკლი, სადაც მხარდაჭერილი მიზანსწრაფვა არის გარანტი ახალი გეგმების შექმნისა და მათი განხორციელებისა.

სქემა 1.5: ნაითის (ქცევითი) მოდელი

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის

ნაითის მოდელი (ქცევითი მოდელი)



წყარო: Knight, J., 1994. Internationalisation: Elements and Checkpoints

როგორც ნაითი უსვამს ხაზს, წარმოდგენილი ექსფაზიანი ციკლი ყოველი უმაღლესი განათლების დაწესებულებისათვის იქნება სხვადასხვაგვარი. მიუხედავად

ამისა, თითოეული ფაზა და მათ შორის კავშირები კრიტიკულ როლს ითამაშებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის წარმატებით განხორციელებაში⁴⁶.

ქიანგი აჯამებს სხვადასხვა მეცნიერის კვლევებს რომლებიც სწავლობენ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალურ ასპექტებს. მკვლევარი გამოყოფს ინტერნაციონალიზაციის წარმატებით განხორციელების სამ ძირითად ასპექტს და აღწერს მათ:

➤ სელმძღვანელობა

- მაღალი რანგის მენეჯერების მხრიდან მკვეთრად გამოხატული მიზანსწრაფვა,
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობა,
- საერთაშორისო მიმართულებებით მუშაობის ასახვა უნივერსიტეტის მისიასა და სხვა ნორმატიულ დოკუმენტებში.

➤ ოპერაციონალიზაცია

- ინტერნაციონალიზაციის საკითხების ინტეგრაცია ზოგად საუნივერსიტეტო და სტრუქტურული ქვედანაყოფების დაეგბმვის, ბიუჯეტირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში,
- შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა,
- ოფიციალური და არაოფიციალური საკომუნიკაციო სისტემები,
- ურთიერთობებისა და კოორდინაციისათვის,
- ადგენატური ფინანსური მხარდაჭერა და რესურსების გამოყოფა,
- დაბალანსებული ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

➤ დამხმარე სერვისი

- უნივერსიტეტის სხვადასხვა ქვედანაყოფებისაგან მხარდაჭერა,
- სტუდენტთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა,
- რეგისტრატურა,
- კონსულტაციები,
- ფონდების მოძიება და სხვ. ⁴⁷

⁴⁶ Knight, J., 1994. Internationalisation: Elements and Checkpoints. *CBIE Research*, 7, pp.1-15.

⁴⁷ Qiang, Z., 2003. Internationalisation of higher education: towards a conceptual framework. *Policy Futures in Education*, 1(2), pp. 248-270.

ქიანგის სქემა აჩვენებს ხელმძღვანელობის, ოპერაციებისა და დამხმარე სერვისების მნიშვნელობას ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ქიანგის ნაშრომი თავსებადია ნაითის სქემასთან⁴⁸, თუმცა დამატებული აქვს დამხმარე სერვისების მნიშვნელობა, როგორებიცაა სტუდენტთა რეგისტრაცია, კონსულტაცია, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ა.შ.

ფეიჯის⁴⁹, ქიანგის⁵⁰ და ნაითის⁵¹ ნაშრომების გაცნობა და ანალიზი გვაჩვენებს, რომ მათ მიერ ჩამოყალიბებული სქემები წარმოადგენენ სხვადასხვა მოდელის სინთეზს, რომლებიც აღწერილია მოცემულ ნაშრომებში. ფეიჯის სქემა გვიჩვენებს უნადლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის რაობას და კომპონენტებს, მაშინ როდესაც ნაითისა და ქიანგის მოდელები გვაჩვენებენ იმ ძირითად ასპექტებს, რომლებიც აუცილებელია წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის.

მიმდინარე ქვეთავში განხილული იყო უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და მისი მენეჯმენტის მოდელები, რაც გამოყენებული იქნება შემდგომი ემპირიული კვლებებისათვის იმის დასადგენად, თუ რამდენად მუშაობს ეს მოდელები პრაქტიკაში და რა როგორ შეიძლება მათი გამოყენება უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში. ქვეთავში განხილული მოდელები, მკაფიოდ აჩვენებენ, რომ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია არის გრძელვადიანი პროცესი, რომელსაც შესაბამისი დაგეგმვა სჭირდება. აქედან გამომდინარე, აუცილებლად ჩავთვალეთ შეგვესწავლა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია სტრატეგიული მენეჯმენტის ჭრილში. აღნიშნული თეორიებისა და სტრატეგიების განხილვა მოცემულია შემდეგ ქვეთავში.

⁴⁸ Knight, J., 1994. Internationalisation: Elements and Checkpoint. *CBIE Research*, 7, pp.1-15.

⁴⁹ Paige, R.M., 2005. Internationalisation of higher education: performance assessment and indicators. *Nagoya Higher Education Research*, 5, pp. 99-122.

⁵⁰ Qiang, Z., 2003. Internationalisation of higher education: towards a conceptual framework. *Policy Futures in Education*, 1(2), pp. 248-270.

⁵¹ Knight, J., 1994. Internationalisation: Elements and Checkpoint. *CBIE Research*, 7, pp.1-15.

1.3 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, როგორც სტრატეგიული პროცესი.

დღვენანდელ ბიზნეს გარემოში, სტარტეგიული დაგეგმარების მნიშვნელობაზე არავინ დაობს. შესაბამისად საკმაოდ მდიდარი კვლევითი მასალა გაგვაჩნია კორპორატიულ და ბიზნეს სტრატეგიებზე. სტრატეგიული მენეჯმენტი ცალკე დისციპლინებად ისწავლება უკლებლივ ყველა ბიზნესის სკოლასა თუ ფაკულტეტზე. სტრატეგიული მენეჯმენტის არსისა და ამოცანების ჩამოყალიბებისას, ჩოხელი თავის წიგნში ‘სტრატეგიული მენეჯმენტი’ აღნიშნავს, რომ ‘სტრატეგიული მენეჯმენტი ასრულებს უზარმაზარ როლს ნებისმიერი კომპანიის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. მხოლოდ კარგად შემუშავებულ სტრატეგიას შეუძლია კომპანიას მოუტანოს წარმატება გრძელვადიან პერსპექტივაში’⁵². აღნიშნული მტკიცებულება თანამედროვე ეტაპზე აქსიომად არის მიჩნეული, რასაც სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხებზე მომუშავე მრავალი მკვლევარის მეცნიერული სტატია თუ სახელმძღვანელოები ადასტურებენ. ამ მეცნიერების შრომებიდან აღსანიშნავია კარპენტერის და სანდერსის⁵³, ლინჩის⁵⁴, კილენის და ჰანგერის⁵⁵, დევიდის⁵⁶, კოლტერის⁵⁷ ნაშრომები. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ შრომებისა, რომლებიც თანამედროვე სტრატეგიულ მენეჯმენტში მთავარ დასაყრდენ ლიტერატურას წარმოადგენენ. რა თქმა უნდა თითოეულ მათგანს საკუთარი, სპეციფიური ხედვა გააჩნია სტრატეგიების ჩამოყალიბებისა და მათი განხორციელების საკითხებში, თუმცა თვით სტარტეგიული მენეჯმენტის პროცესი ძირითადად ერთნაირადაა აღწერილი. ყველა მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ კორპორატიული სტრატეგიები შედგება ბიზნეს სტრატეგიებისაგან. ბიზნეს სტარტეგიად შესაძლებელია განვიხილოთ სტრატეგიები ცალკეული პროდუქტებისათვის ან სერვის-მიმართულებებისათვის. რა თქმა უნდა, კორპორატიული სტრატეგია, არის ქოლგა-სტრატეგია ყველა იმ პროდუქტის თუ სერვისის ბიზნეს-სტრატეგიებისა, რასაც კომპანია ახორციელებს.

⁵² ჩოხელი, ქ., 2013. სტრატეგიული მენეჯმენტი. გამომცემლობა ‘უნივერსალი’. გვ. 11.

⁵³ Carpenter, M, Sanders, G., 2007. Strategic Management, 2nd ed, Pearson Education.

⁵⁴ Lynch, R., 2011, Strategic Management. 6th ed. Pearson Education.

⁵⁵ Wheelen, T., Hunger, J., 2012. Strategic Management and Business Policy, 13th ed. Pearson Education.

⁵⁶ David, F., 2011, Strategic Management, 13th ed. Pearson Education.

⁵⁷ Coulter, M., 2013, Strategic Management in Action, 6th ed. Prentice Hall.

სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერები აღწერენ, თავისუფლად შეიძლება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციასაც მივუსადაგოთ. ამიტომაც, სანამ უშუალოდ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სპეციფიკურ სტრატეგიებს მიმოვისილავთ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გვესაუბრა ზოგადად სტრატეგიებზე და მათ მენეჯმენტზე. სტრატეგიული მენეჯმენტის პროცესი შესაძლოა შემდეგ ეტაპებად ან საფეხურებად დავყოთ:

1. სტრატეგიული ხედვის, მიზნისა და მისის ფორმირება,
2. კომპანიის შიდა და გარე გარემოს ანალიზი,
3. სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება,
4. საუკეთესო სტრატეგიის არჩევა,
5. არჩეული სტრატეგიის განხორციელება/იმპლემენტაცია,
6. შერულებული სამუშაოების/სტრატეგიის შეფასება.

ზემოთ მოყვანილი ექვსსაფეხურიანი პროცესი რა თქმა უნდა წრფივი არ არის. ის უფრო შეიძლება ჩაითვალოს ციკლად, რადგან ყოველი საფეხურისას, კომპანიას შესაძლებელია მოუწიოს წინა საფეხურების კორექტირება იმის მიხედვით თუ როგორ გარემოში უწევს მას ამ სტრატეგიის განხორციელება. როგორც წესი მდგრად გარემოში უფრო ადვილია საბოლოო შედეგის გათვლა, ვიდრე დინამიურ, სწრაფად ცვალებად გარემოში. შესაბამისად დინამიურ გარემოში სტრატეგიული პროცესიც დინამიური და უფრო მოქნილია და ხშირად ითხოვს სწრაფი, დეცენტარლიზებული გადაწყვეტილებების მიღებას. მიუხედავად გარემოს ცვალებადობია, თვით პროცესის შემადგენელი ექვსი კომპონენტი უცვლელია:

- კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, რა არის მისის სტრატეგიული, გრძელვადიანი მიზანი, როგორია მისი მისია და რა ხედვა გააჩნია მას მიზნის მისაღწევად;
- შემდეგ ეტაპზე კომპანიამ უნდა მოახდინოს შიდა რესურსების ანალიზი, რათა შესაბამისად დაადგინოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. პარალელურად კომპანიამ უნდა ჩაატაროს გარე ფაქტორების ანალიზი, რის შედეგადაც ნათლად გამოჩნდება ის შესაძლებლობები და საფრთხეები, რასაც შეიძლება გარემო უქმნიდეს კომპანიას.
- აღნიშნული ანალიზის შედეგად კომპანიას შეუძლია გადავიდეს შემდეგ ეტაპზე და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების

გათვალისწინებით ჩამოყალიბის ის სტრატეგიული მიმართულებები, რომელთა განხორციელება კომპანიას შეუძლია.

- იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიისთვის რამოდენიმე სტრატეგიის განხორციელება ერთდროულად აღემატება მის ძალებს, და ხშირ შემთხვევაში სტრატეგიული მიმართულებები ურთიერთგამომრიცხავიც კია, კომპანიამ უნდა შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც დაადგენს საუკეთესო სტარტეგიულ მიმართულებას.
- შემდგომ ეტაპზე კომპანია განახორციელებს შერჩეულ სტრატეგიას და მისი დასრულებისთანავე, ხშირ შემთხვევაში მიმინარეობის პროცესშიც, კომპანია იწყებს სტრატეგიისა და მისი განხორციელების შეფასებას, რათა კორექტივები შეიტანოს მასში ან ჩამოყალიბოს სრულიად ახალი სტრატეგია.

სტრატეგიული მენეჯმენტის ზოგადი მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ჩვენი საკვლევი თემა სტრატეგიული მენეჯმენტის ჭრილში უფრო დეტალურად. ლიტერატურის მიმოხილვა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტარტეგიულ მენეჯმენტში გვიჩვენებს, რომ ის ძალიან ახლოს არის სხვა დანარჩენი ბიზნეს-სფეროების სტრატეგიულ პროცესებთან, რა თქმა უნდა თავისი სპეციფიკაციებით. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას აღნიშნული დარგის მკლევარები მიიჩნევენ სტრატეგიულ პროცესად. შურმანი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაციის მიღწევა შეიძლება სტრატეგიული დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც დაფუძნებული იქნება მოკლე და გრძელვადიან მიზნებზე⁵⁸. მრავალი უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინტერნაციონალიზაციას. აიობი და ალ-ჯაბაიბები საუნივერსიტეტო ლიდერებს და მენეჯერებს განიხილავენ, როგორც ძირითად ძალას, რომელთაც შეუძლიათ უნივერსიტეტების გაძლოლა საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრისკენ სტრატეგიული მენეჯმენტის მიღებით⁵⁹. საუნივერსიტეტო ლიდერებისათვის საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტი ნიშნავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის მიღებას.

⁵⁸ Schoorman, D., 1999. The pedagogical implications of diverse conceptualizations of internationalisation: A U.S. based case study. *Journal of Studies in International Education*, Fall, 3, pp. 19-46.

⁵⁹ Ayoubi, R.M. & Al-Habaibeh, A., 2006. An investigation into international Business collaboration in higher education organisations: A case study of international partnerships in four UK leading universities. *International Journal of Educational Management*, 20(5), pp. 380-396.

ტეილორი აღნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და მისი შემდგომი განხორციელება არის დროში განგრძობადი პროცესი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დაბეგმის პროცესი. ავტორის აზრით, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია არ არის განცალკევებული პროცესი: მისი შემუშავებისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ გარემოს ფაქტორები, არამედ უნივერსიტეტის შიდა მოწყობა და შესაძლებლობები. მენეჯერებს, რომლებიც ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავებაში, პირველ რიგში უნდა გააჩნდეთ ძლიერი შიდა ორიენტაცია. მკვლევარი აქვთ მიუთითებს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება არის მუდმივად მიმდინარე პროცესი, ისევე როგორც სხვა სტრატეგიული დაბეგმის პროცესი⁶⁰. მეცნიერმა უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ოთხ უნივერსიტეტში ჩაატარა კვლევა. ეს უნივერსიტეტები მდებარეობენ აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიაში და შვედეთში. ესენი არიან ამ ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტები: ბრიტანული კოლუმბიის უნივერსიტეტი, ჩიკაგოს უნივერსიტეტი, დასავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი და უფსალას უნივერსიტეტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს უნივერსიტეტები სხვადასხვანაირად ფიქრობდნენ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ჩამოყალიბებაზე და განხორციელებაზე, მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ შეფასდეს ინტერნაციონალიზაციის გავლენა უნივერსიტეტის ზოგად სტრატეგიებზე და მენეჯმენტზე. ყველა შემთხვევაში, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება უნივერსიტეტებისათვის წარმოადგენს ერთერთ ძლიერ მამოძრავებელ ძალას უნივერსიტეტების გარდაქმნის პროცესში, რომელსაც ყველა უნივერსიტეტი აწყდება XXI საუკუნის დასაწყისში, რაც თავისთავად მძაფრ გამოწვევას წარმოადგენს ტრადიციული უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის. ასეთი სახის გამოწვევების ფაქტორებს შორის მოიაზრება:

- ინტერდისციპლინარული სწავლებისა და კვლევების აუცილებლობა,
- სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა,

⁶⁰ Taylor, J., 2004. Toward a strategy for internationalisation: lessons and practice from four universities. *Journal of Studies in International Education*, 8(2), pp. 149-171.

- მომხმარებლზე ზრუნვის აუცილებლობის გათვითცნობიერება, რაც გამოიხატება უცხოელი სტუდენტების, სტუმრების და მათი ოჯახებისადმი უურადღების გამოჩენით,
- ცენტრალიზებული მენეჯმენტის, მენეჯმენტის პროცესის და ლიდერობის მნიშვნელობის ზრდა,
- ხარჯების ეფექტურობის გათვითცნობიერება, ინვესტიციებისა და რისკების შეფასება,
- მარკეტინგის როლის გათვითცნობიერება,
- დეპარტამენტთმორისი მუშაობის, სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობის აუცილებლობის აღიარება,
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა,
- ფონდების მოძიების მნიშვნელობა, განსაკუთრებული ურთიერთობები კურსდამთავრებულებთან,
- სხვა ინსტიტუტებთან კავშირ-ურთიერთობების გაღრმავება,
- უმაღლეს განათლებაში კონკურენტული მაღლების შეფასება, განსაკუთრებით სტუდენტთა შერჩევა-მოზიდვაში,
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგის აუცილებლობის დანახვა.

აღნიშნული ძირითადი ფაქტორები და კიდევ მრავალი სხვა განაპირობებს ინსტუტუციონალურ ცვლილებებს და სტრატეგიების ჩამოყალიბებას აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მენეჯმენტისათვის ძირითად ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ეფექტური სტრატეგიების შექმნა და მისი სწორი მენეჯმენტი. მკვლევარი, ხაზს უსვამს, რომ ისევე როგორც სხვა სფეროებში, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების კვლევა კარგად ხორციელდება ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ-კანადა), უფრო ნაკლები ინტენსივობით მსოფლიოს სხვა რეგიონებში. შესაბამისად კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ ნათლად ჩამოყალიბდეს კვლევის მიმართულებები უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად⁶¹.

⁶¹ Taylor, J., 2004. Toward a strategy for internationalisation: lessons and practice from four universities. *Journal of Studies in International Education*, 8(2), pp. 149-171.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას რედზე აღწერს, როგორც საერთაშორისო კავშირ-ურთიერთობების ჩამოყალიბების გრძელვადიან სტრატეგიას სტუდენტების მობილობის, კურიკულუმისა და პერსონალის განვითარების მისაღწევად. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შესამუსავებლად, მკვლევარი გვთავაზობს მივყვეთ სტრატეგიის შემუშავების ძირითად მოდელს, რაც გულისხმობს გარემოსა და შიდა ფაქტორების ანალიზს, SWOT-ის დადგენას, სტრატეგიული მიმართულებების გენერირებას, სტრატეგიების იმპლემენტაციას და ა.შ⁶². მკვლევარი განიხილავს სტრატეგიული მენეჯმენტის თითოეულ კომპონენტს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ჭრილში და უმეტესწილად მოჰყავს მაგალითები დიდი ბრიტანეთის გამოცდილებიდან. სტარტიული დაგეგმვა მეცნიერის მიხედვით უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას შეიძლება მიესადაგოს შემდეგნაირად:

სტრატეგიული ანალიზი:

- **გარემოს ანალიზი:** სტარტიული დაგეგმვის ამ ნაწილში აუცილებელია ვუპასუხოთ ყველა შეკითხვას, რომელიც შეეხება ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს, როგორებიცაა:
 - რა არის უნივერსიტეტის სამომავლო გეგმა-მისი მისია?
 - რა სახის საქმიანობა მიმდინარეობს ამჟამად?
 - რა შესაძლებლობა გააჩნია პერსონალს და მთლიანად დაწესებულებას ამ საქმიანობების შესასრულებლად? (ამ ნაწილში დაბრკოლებად შესაძლებელია მოგვევლინოს პერსონალის ლინგვისტური შესაძლებლობები, ფინანსები ან სამტავრობო რეგულაციები).
 - რა სახის შესაძლებლობებს სთავაზობს თრგანიზაციას გარემო და რა საფრთხეების შემცველია ის? (მაგალითისათვის, აქ შესაძლოა მოვიაზროთ უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა, როგორც შესაძლებლობა და აკადემიური პერსონალის დაბალი ანაზღაურება, მოგზაურობის მსურველი პერსონალის ნაკლებობა, როგორც საფრთხე).

⁶² Rudzki, R., 1995. The application of a strategic management model to the internationalisation of higher education institutions. *Higher Education*, 29, pp. 421-441.

- ვინ არიან სტეიპლდერები: სტუდენტები, მშობლები, პერსონალი, თანამშრომლები, სამთავრობო სტრუქტურები, თუ სხვა დაინტერესებული პირები?
- ვინ არიან კონკურენტები: მაგალითისათვის უმაღლესი განათლების მომწოდებელი იმავე ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ, ან სულაც სხვა სახის კვალიფიკაციის მიმცემი დაწესებულებები.

გარემოს ანალიზის ჩასატარებლად მნიშვნელოვანი დახმარება შეიძლება გაგვიწიოს PEST ანალიზმა, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ანალიზს.

- **რესურსები:** ორგანიზაციული რესურსების ანალიზმა საშუალება უნდა მოგვცეს დავადგინოთ უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც მნიშვნელოვანია სტარტეგიული მიმართულებების განსაზღვრისათვის.
- **მიზნები და ამოცანები:** ინტერნაციონალიზაციის პროცესის მიზნები განსაზღვრული უნდა იყოს უნივერსიტეტის განვითარების ჭრილში. მაგალითად, იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლესი განათლება არის ზრდადი ბაზარი, ბაზრის წილი და კონკურენტები შესაძლოა არ წარმოადგენდნენ ზრუნვის ძირითად საგანს, მიუხედავად ამისა ბრიტაბული უნივერსიტეტებისათვის კონკურენტებს წარმოადგენენ ავსტრალიისა და ამერიკის უნივერსიტეტები, რომლებიც იზიდავენ ინგლისურ ენაზე სწავლის მიღების მსურველებს. აღსანიშნავია ნიდერლანდების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც დიდწილად ინგლისურ ენაზე სთავაზობენ სწავლას უცხოელ სტუდენტებს.

სტრატეგიული არჩევანი:

- **სტარტეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება** გულისხმობს იმის დადგენას, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი ჩვენს მიერ ჩატარებული შიდა და გარე გარემოს ფაქტორების ანალიზის შედეგად. სტარტეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება სხვადასხვა ორგანიზაციისათვის სხვადასხვა იქნება, ორგანიზაციების მიზნებიდან გამომდინარე, როგორებიცაა:
 - სწავლება თუ კვლევა: აქ შესაძლოა დიფერენციაცია მოხდეს საბაკალაბრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე.

- ელიტური თუ მასობრივი განათლება: საუკეთესო სტუდენტების მოზიდვა თუ დიდი რაოდენობით სტუდენტების მოზიდვა.
- ბიზნეს სკოლის (ფაკულტეტის შემთხვევაში): ადგილობრივი თუ საერთაშორისო?
- ვიწრო სპეციალისტები თუ ფართო პროფილის კურსდამთავრებულები.

სხვა სტარტეგიული მიმართულებები, რომლებიც არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს ზემოთ ჩამოყალიბებული მიმართულებების გამომრიცხავად, უფრო მეტიც ისინი შესაძლებელია დამატებადაც განვიხილით, არის:

- ორგანიზაციული ცვლილებები: სწრაფად ცვალებად სამყაროში, სტაგნაციის თავიდან ასაცილებლად უნივერსიტეტებს სჭირდებათ ადაპტაცია ახალ გარემოსთან. ასეთ პირობებში, ინტერნაციონალიზაცია აუცილებელი პირობაა სტარტეგიული დაგეგმარებისათვის.
- ინოვაციური კურიკულუმები, რაც შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც თანამედროვე წამყვანი ცოდნისა და მეთოდების ინტეგრირება იმ დისციპლინებში რასაც უნივერსიტეტები ასწავლიან.
- პერსონალის განვითარება, რაც გულისხმობს სხვადასხვა საქმიანობის, ტრენინგის, კონფერენციებში მონაწილეობის დაგეგმვას და ფინანსურ უზრუნველყოფას.
- სტუდენტების მობილობა: ეს უკანასკნელი გაგებულ იქნას არა მხოლოდ სტუდენტთა უმცირესობის ფიზიკური მობილობა, არამედ როგორც სტუდენტთა უმრავლესობის ინტელექტუალური მობილობა, როდესაც უმრავლესობის სასარგებლოდ იმუშავებს ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ასპექტი, განსაკუთრებით ინოვაციური კურიკულუმი და პერსონალის განვითარება.

- **სტრატეგიული მიმართულებების შეფასება:** გავრცელებული მოლოდინი იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო აქტივობები აუცილებლად დამატებით რესურსებს მოითხოვენ, მცდარია. აქტივობების ნაწილმა შესაძლოა არანაირი დანახარჯი არ მოითხოვოს (მაგალითად კურიკულუმის ცვლილებამ), ისევე როგორც ზოგიერთმა აქტივობამ შესაძლოა პირიქით, ფინანსები დაზოგოს კიდეც (მაგალითად, პერსონალის საზღვარგარეთულ ვიზიტს შესაძლოა

შეუთავსდეს სტუდენტებთან შეხვედრა, კონფერენცია ან პლეგის ნაწილი). ზოგიერთმა აქტივობამ შესაძლებელია ფინანსები მოზიდოს კიდეც. (მაგალითად, უცხოელი სტუდენტებისთვის მოკლევადიანუ კურსების მოწყობა, საზაფხულო სკოლების ორგანიზება და ა.შ). აღნიშნული საკითხების გათვალისწინება დაგვეხმარება სწორი არცევანი გავაკეთოთ საუკეთესო სტრატეგიულ მიმართულებაზე ან მიმართულებებზე.

სტარტეგიის იმპლემენტაცია:

- **რესურსების დაგეგმვა:** როდესაც სტრატეგია განისაზღვრება, აუცილებელია გამოიყოს შესაბამისი რესურსები მისი წარმატებით შესრულებისათვის. ასეთი რესურსები მოიცავენ ფინანსებს, პერსონალს, სტუდენტთა საცხოვრებლებს, პროგრამებს, თაღებს და ა.შ.
- **ორგანიზაციული სტრუქტურა:** შესაბამისი კორექტივების შეტანა ორგანიზაციულ სტრუქტურაში. საკითხების განსაზღვრას, რომლებზეც მიიღება ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებები. აუცილებელი ინტერნაციონალიზაციის განხილვა ორგანიზაციის შიგნით ყველა დონეზე, ასევე მისი მონიტორინგი უნივერსიტეტის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ. შესაძლებელია ზოგიერთმა ორგანიზაციამ შექმნას საერგაშორისო საქმეთა კომიტეტი პროცესის უკეთ წარმართვისა და მონიტორინგისათვის.
- **ადამიანური რესურსები და სისტემები:** უნდა განისაზღვროს რომელი პერსონალი იქნება საჭირო სტრატეგიის იმპლემენტაციისას, ვინ უნდა იქნეს გადმოყვანილი ამ საქმიანობების შესასრულებლად და ვინ უნდა იყოს დაქირავებული სპეციალურად ამ საქმისთვის, რა სახის აღმინისტარციული პროცედურები უნდა ჩამოყალიბდეს და შესრულდეს და ა.შ.⁶³

კუიჯზერი გვთავაზობს იმ ძირითად მიმართულებებს, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავებისას. ავტორის მიხედვით, საერთაშორისო სასწავლო პროგრამები, კვლევითი საქმიანობა, გაცვლითი

⁶³ Rudzki, R., 1995. The application of a strategic management model to the internationalisation of higher education institutions. *Higher Education*, 29, pp. 421-441.

პროგრამები და პარტნიორობები უნდა იქნეს გათვალისწინებული უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავებისას⁶⁴.

სხვადასხვა მეცნიერის მიერ ჩატარებული კვლევების ანალიზის შედეგად, ბერტელი საუბრობს იმ სპეციფიკაციებზე, რაც უნივერსიტეტების სტრატეგიებს გააჩნიათ. მათ შორისაა:

- ბიზნეს-ორგანიზაციებთან შედარებით, უნივერსიტეტების მიზნები და ამოცანები უფრო კომპლექსურია და ნაკლებად მკვეთრი, შესაბამისად შედეგების გაზომვა უფრო რთულია.
- უნივერსიტეტების შიდა სტეიპლოლდერები მრავალია და განსხვავდება სხვადასხვა უნივერსიტეტში. მათ შორისაა ბაკალავრიატის ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტები, სამაგისტრო და პროფესიული სპეციალობების სტუდენტები, მკვლევარები და სხვ. შესაბამისად უნივერსიტეტები ხასიათდებიან პროგრამული და კულტურული განსხვავებებით.
- უნივერსიტეტების გარემო ფაქტორებიც განსხვავებულია: ირგვლივ მყოფი საზოგადოება, პოლიტიკური და იურიდიული გარემო, პროფესიონალური და ა.შ. შესაბამისად პროფესორებისა და მკვლევარების საქმიანობა ქსელის პრინციპით უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, მკვეთრად გამოხატული ცენტრის გარეშე, რაც უზრუნველყოფს დია კომუნიკაციას და იდეების და ადამიანების მუდმივ მოძრაობას.
- უნივერსიტეტებში მუშაობებს დიდი რაოდენობით სხვადასხვა სპეციალობისა და დონის პროფესიონალები, შესაბამისად მიზნების დასახვა და მისი მიღწევაც რთული პროცესია და ზუსტად წარმატების ინდიკატორის ჩამოყალიბება და გაზომვა არის აგრეთვე რთული ამოცანა.
- უნივერსიტეტებში ხშირია კონფლიქტური სიტუაცია აკადემიურ პერსონალსა და ადმინისტრაციას შორის, რაც განპირობებულია მათი ხედვის სხვადასხვაობით. როგორც წესი პროფესორები ავტონომიის მაღალი დონის და აკადემიური თავისუფლების მომხრე არიან, როდესაც ადმინისტრაციას

⁶⁴ Kouijzer, R., 1994. Internationalisation: management and strategic policy development. *Higher Education Management*, 6(1), pp. 99-103.

სურს ადმინისტრაციული სისტემის სიძლიერე და პროცედურული მოთხოვნების დაცვა.

- არემო, სადაც დღევანდელ უნივერსიტეტებს უწევთ საქმიანობა, სწრაფად ცვალებადი, მომთხოვნი და კომპლექსურია. მასობრივ განათლებაზე მოთხოვნა, სახელმწიფო დაფინანსებების შემცირება, დისტანციური სწავლებები, ხარჯები, არის ის ზოგიერთი გარემო ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ უნივერსიტეტების პროგრამებზე, კვლევებზე და მთლიანად სტრატეგიებზე⁶⁵.

ამრიგად, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია მრავალი მკვლევარის მიერ აღქმულია, როგორ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პასუხი მზარდ გლობალიზაციაზე. ეს არის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში საერთაშორისო ასპექტების დამკვიდრების მუდმივად მიმდინარე პროცესი. თვით ეს პროცესი წარმოადგენს კლასიკურ სტრატეგიული დაგემარების პროცესს რომელშიც ჩართული არიან სხვადასხვა სტეიკოლდერები და რომელიც მოიცავს რესურსების გამოყენებას და ეტაპებს როგორებიცაა ატრატეგიული დაგეგმვა, იმპლემენტაცია და მონიტორინგი.

⁶⁵ Bartell, M., 2003. Internationalization of Universities: A University Culture-Based Framework. Higher Education, 45, pp. 43-70. Kluwer Academic Publishers. Netherlands.

1.4 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შეფასების თავისებურებები

ჩვენი კვლევის ერთ ერთ მიზანს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ინტერნაციონალიზაციის შეფასების მოდელის შემუშავება. წინა ქვეთავებში მოცემული ლიტერატურის დამუშავება გვაძლევს საფუძველს დაგასკვნათ, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მოდელებისა და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შეფასების მოდელების განცალკევება ხელოვნური და ზედაპირულია. სახელდობრ, ინტერნაციონალიზაციის მოდელები გვაძლევენ დასკვნის გამოტანის საშუალებას, თუ რას წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია და როგორ შეგვიძლია მისი მიღწევა. აღნიშნული მოდელები შესაძლებელია გამოვიყენოთ შეფასების პროცესში გზამკვლევად, რათა შევაფასოთ ესა თუ ის უნივერსიტეტი რამდენად იყენებს აღნიშნულ მოდელებში აღწერილ ასპექტებსა და საფეხურებს. მიუხედავად ამისა, უკვე არსებულ მოდელებთან ერთად გამოვიყვლიუთ მეცნიერთა შრომები, რომლების მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის შეფასებას შეეხება. ინტერნაციონალიზაციის არსებული დონის შეფასებამ, საშუალება მოგვცა გაგვაცნობიერებინა ის ხარვეზები, რაც ქართულ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს გააჩნიათ ინტერნაციონალიზაციის პროცესსა თუ შედეგებში და შესაბამისი დასკვნების შედეგად მათოვის მიგვცა რეკომენდაციები ჩამოყალიბებინატ ახალი სტრატეგიები ან შეეტანათ კორექტივები უკვე არსებულ სტრატეგიებში.

პირველ ყოვლისა ხაზგასასმელია ჰაძიკისა და სტოლის ნაშრომი⁶⁶. ვტორები ხაზს უსვამენ და გვიზიარებენ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის შეფასების ძირითად მიმართულებებს. ავტორები გვირჩევენ, რომ ამ საკითხს მივუდგეთ, როგორც გამოყენებით კვლევას, რადგან კვლევის შედეგებს შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს იმის დადგენაში თუ რა გაკეთდა და ასევე რისი გამოსწორებაა შესაძლებელი. თანამედროვე ეტაპზე, უმაღლესი განათლების

⁶⁶ Hudzik J.K., & Stohl M., 2009. Modeling assessment of the outcomes and impacts of internationalisation. In: H. de Wit, ed. 2009. *Measuring success in the internationalisation of higher education*. Occasional paper 22. European Association for International Education. Ch.2.

ინტერნაციონალიზაცია მიჩნეულია პარადიგმად. ამავე დროს ის მოიცავს ორგანიზაციული რესურსების, ქმედებებისა და მიმართულებების გრძელვადიან შეფასებასა და გადახედვას. როდესაც საქმე ეხება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის შეფასების მასშტაბების დადგენას, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

- ორგანიზაციის მისია,
- ინტერნაციონალიზაციაზე პასუხისმგებლობა,
- გარე ძალები და ფაქტორები,
- ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალური მოტივატორები,
- შეფასების ძირითადი საკითხები,
- სოციალური და მეცნიერული შეფასება,
- შეფასების რენტაბელური მეთოდოლოგია,
- შეფასების არეალი.

აგტორები ასევე ხაზს უსვამენ მიზნებისა და არჩევანის როლს შეფასებაში (გაზომვაში), მათ შორისაა:

- საერთაშორისო აქტივობების გაზრდა,
- წარმატების გაზომვა და მნიშვნელოვანი მომენტები,
- მიმართულების განმსაზღვრელი, შედარებითი და მნიშვნელოვანი მომენტებით გაზომვა.

მეცნიერები ასევე გვაძლევენ ინდიკატორების მაგალითს, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ ინტერნაციონალიზაციის შეფასებისას:

- რესურსები,
- ქმედებები (აქტივობები),
- შედეგები.

აგტორები გვირჩევენ ყურადღება მივაქციოთ შესაბამის რესურსებს, ქმედებებს და შედეგებს. შესაბამისი რესურსები შესაძლოა იყოს ფონდები, ადამიანური რესურსები და პოლიტიკა-რეგულაციები, რომლებიც ხელმისაწვდომი არიან ინტერნაციონალიზაციის განსახორციელებლად. ქმედებებში იგულისხმება იმ აქტივობების რაობა და რაოდენობა, რაც ჩატარებულია

ინტერნაციონალიზაციისათვის, ხოლო ბოლო კომპონენტი გულისხმობს ამ რესურსებით და საქმიანობით მიღებულ საბოლოო შედეგებს⁶⁷.

ნაშრომის ბოლოს ჰაძიკი და სტოლი გვაძლვენ პრაქტიკულ გზამკვლევს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს თვით შეფასების დიზაინი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

1. უნივერსიტეტის მისიის დადგენა, რომელზეც ზეგავლენას იქონიებს ინტერნაციონალიზაცია.
2. შერჩეული მისიის გათვალისწინებით, ინტერნაციონალიზაციის მიზნებისა და სასურველი შედეგების ჩამოყალიბება.
3. მიზნების ოპერაციონალიზაცია შესაბამისი ინდიკატორების, შეფასების კრიტერიუმების, მონაცემთა წყაროების და შეგროვების მეთოდების განსაზღვრა შედეგების ემპირიულად დადასტურებისათვის.
4. რესურსებისა და ქმედებების (აქტივობების) სიღრმის განსაზღვრა ინტერნაციონალიზაციის შესაფასებლად.
5. საუკეთესო ინდიკატორების შერჩევა.
6. საჭიროებებისა და მოლოდინის განსაზღვრა კრიტიკული მომენტების მონიტორინგისათვის.

ავტორების აზრით, თუ ინტერნაციონალიზაციის პროცესი მხარდაჭერილია უნივერსიტეტში, ყოველი ქმედება, შეფასება, გამოყოფილი ფონდი უნდა იქნეს დოკუმენტურად დადასტურებული და შენახული⁶⁸.

კრაუტერი გვირჩევს, რომ ინსტიტუტები, რომლებიც ახდენენ ინერნაციონალიზაციის შეფასებას, საკუთარ თავს უნდა უსვამდნენ შემდეგ შეკითხვებს:

- როგორია მმართველი სტრუქტურების ინტერნაციონალიზაციის დონე, ორგანიზაციის მისია და ორგანიზაციული კულტურა?
- რამდენად საერთაშორისოა ფონდები?

⁶⁷ Hudzik J.K., & Stohl M., 2009. Modeling assessment of the outcomes and impacts of internationalisation. In: H. de Wit, ed. 2009. *Measuring success in the internationalisation of higher education*. Occasional paper 22. European Association for International Education. Ch.2.

⁶⁸ Hudzik J.K., & Stohl M., 2009. Modeling assessment of the outcomes and impacts of internationalisation. In: H. de Wit, ed. 2009. *Measuring success in the internationalisation of higher education*. Occasional paper 22. European Association for International Education. Ch.2.

- რამდენად საერთაშორისოა რეგულარულ თუ გაცვლით სტუდენტთა კონტიგუნტი?
- რამდენად საერთაშორისოა აკადემიური პროგრამები?
- რამდენად საერთაშორისოა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი?
- რამდენად საერთაშორისოა კლიენტები?⁶⁹

ძირითადი კითხვების გარდა, კრაუტერი გვირჩევს შეფასებულ იქნეს ინტერნაციონალიზაციის წახალისება და ყურადღება მივაჭრიოთ სუსტ მხარეებს შემდეგი შეკითხვების დასმით:

- აქვს თუ არა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას საერთაშორისო ხედვა და აუცილებებია თუ არა ხედვის გაუმჯობესება?
- არსებობენ თუ არა პასუხისმგებელი პირები უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად?
- არსებობენ თუ არა თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ სასწავლო პროგრამების (კურიკულუმების) ინტერნაციონალიზაციისათვის?
- არიან თუ არა თანამშრომლები, რომლებიც უნივერსიტეტის საერთაშორისო რეკლამირებას ეწევიან?

კრაუტერი გამოყოფს სამ ძირითად კატეგორიას ინსტიტუციონალურ დონეზე, რომლებსაც ეხება ინტერნაციონალიზაცია: საგანმანათლებლო მენეჯერები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მიზნების, გეგმების შედგენაზე და მათ განხორციელებაზე, სწავლებისა და სწავლის პროცესის ინტერნაციონალიზაციაზე და საერთაშორისო სტუდენტების დამხმარე საჭიროებებზე⁷⁰.

უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის შეფასების ინდიკატორებს ეხება ბერტელი. მკვლევარს მოჰყავს კანადის უნივერსიტეტებისა და კოლეჯების ასოციაციის მიერ დადგენილი უმაღლესი განათლების დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის შესახების ინდიკატორები, როგორებიცაა:

- საერთაშორისო სტუდენტთა მონაწილეობა უნივერსიტეტის პროგრამებში,

⁶⁹ Crowter, P., 2000. Internationalisation at home – institutional implications. In: P. Crowter, et al, eds. 2000. *Internationalisation at home: a position paper*. European Association for International Education. Ch.5.

⁷⁰ Crowter, P., 2000. Internationalisation at home – institutional implications. In: P. Crowter, et al, eds. 2000. *Internationalisation at home: a position paper*. European Association for International Education. Ch.5.

- სასწავლო პროგრამების ცვლილება,
- საერთაშორისო პარტნიორობა,
- ფინანსური, ადამიანური და ტექნოლოგიური რესურსების მობილიზება,
- უნივერსიტეტისა და კერძო სექტორის თანამშრომლობა,
- აკადემიური პერსონალის მონაწილეობა ინტერნაციონალიზაციაში,
- მკვლევარების მონაწილეობა ინტერნაციონალიზაციაში,
- ინტერნაციონალიზაციის მიღწევაში, უნივერსიტეტის შესაბამისი პროექტების როლი⁷¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმაღლესი განათლების მოდელები, სქემები და შეფასების კრიტერიუმები, შესაძლებელია განვიხილით კომბინირებულ კონტექსტში. ეს მოდელები და სქემები გვიჩვენებენ, რა და როგორ უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა იქნას შეფასებული პროცესი და შედეგები. მაგალითად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ნაითის სქემა შესაძლოა გამოვიყენოთ ფეიჯისს მოდელის ოპერაციონალიზაციისათვის. უფრო მეტიც, ნაითის სქემა შეიძლება გამოვიყენოთ იმის შესაფასებლად, თუ რა დოზით არის ფეიჯისს მოდელის თითოეული კომპონენტი შესრულებული. მაგალითად, ფეიჯის მოდელის ერთერთი კომპონენტია აკადემიური პერსონალის ჩართულობა. იმისათვის, რომ უხრუნველვყოთ აკადემიური პერსონალის ჩართულობა, ჯერ უნდა გავაცნობიეროთ მისი მნიშვნელობა, შემდეგ ეტაპებზე აუცილებელია მივაღწიოთ აკადემიური პერსონალის მიზანმიმართულ ჩართულობას პროცესში, შესაბამის დაგეგმვას, ოპერაციონალიზაციას, მოვახდინოთ შეფასება და ა.შ.

შესაბამისი ლიტერატურის განხილვის შემდეგ, საშუალება გვაქვს გამოვიყენოთ, მეცნიერთა მიერ დასმული კითხვები(მაგ. კრაუტერი) და დასკვნები (მაგ. ქიანგის დასკვნები) პრაქტიკული მოდელის შესამუშავებლად, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ემპირიული კვლევების ჩატარება: მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, რათა შეფასდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაცია, მათ შორის საქართველოშიც.

⁷¹ Bartell, M., 2003. Internationalization of Universities: A University Culture-Based Framework. Higher Education, 45, pp. 43-70. Kluwer Academic Publishers. Netherlands.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ლიტერატურის მიმოხილვა იძლევა ისეთი დასკვნების გაკეთების საშუალებას, რომლებიც ფრიად მნიშვნელოვანია მიმდინარე სადისერტაციო კვლევისათვის. ლიტერატურის მიმოხილვის შეჯამება და დასკვნების გაკეთება შესაძლებელია რამოდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

- მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების მეცნიერები ერთხმად აღიარებენ, რომ 21-ე საუკუნეში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გარდაუვალი პროცესია და იგი განპირობებულია მეოცე საუკუნის ბოლოს დაწყებული გლობალიზაციით, რომელიც მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანას ეხება და მოიცავს ეკონომიკის ყველა მიმართულებას.
- მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებს ჟავგარეშედ მიაჩნიათ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის კვლევების აუცილებლობა და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა, დღესდღეისობით აღნიშნულ თემებზე ძალიან მცირე რაოდენობის მეცნიერი მუშაობს, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონის გარეთ.
- მკვლევარებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ამ თემებზე კვლევების გაგრძელება, რადგანაც უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია არის ციკლური პროცესი, ის არ არის სწორხაზობრივი, შესაბამისად მას დასასრული არ გააჩნია. მეტ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა მეტ ძალისხმევას მოითხოვს, და შესაბამისად მნიშვნელოვანია ამ თემების კვლევებზე მუშაობა სხვადასხვა მიმართულებებიდან გამომდინარე.
- ჩვენს ეპოქაში არც ერთი უნივერსიტეტი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ადგილობრივ უმაღლესი განათლების დაწესებულებებად, რადგან ისინი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს რათა საკუთარი ადგილი დაიკავონ მოცემულ გარემოში.
- თანამედროვე ეტაპზე, უმაღლესი განათლების დაწესებულებები მხოლოდ რიტორიკის დონეზე ვერ მიიღებენ მონაწილეობას გლობალიზაციის პროცესში. უნივერსიტეტები სულ უფრო მეტად გადადიან ბიზნეს-პროცესების რელსებზე, რადგან თანამედროვე კონკურენცია და სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მზარდი მობილობა, უნივერსიტეტებისაგან მოითხოვს

პასუხისმგებლობით მოეკიდოს საფრთხეებს და შესაძლებლობებს, რომელსაც გარემო სთავაზობს.

- ინტერნაციონალიზაცია არის სტრატეგიული პროცესი, რადგან ის მოითხოვს არსებული სიტუაციის ანალიზს, უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების შეფასებას, შესაძლო სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებას და გრძელვადიანი სტრატეგიული მოქმედების გეგმის შემუშავებას თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად.
- მკვლევარების მიერ შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის მოდელები საშუალებას იძლევა, ერთის მხრივ შევაფასოთ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები და მათი ინტენსივობა და მეორეს მხრივ თუ როგორ ხდება ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი თოთოვეულ დაწესებულებაში და ზოგადად ქვეყანაში.

თავი 2

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია თანამედროვე ეტაპზე

2.1. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სინთეზური კონცეპტუალური მოდელი


როგორც შესავალშია აღწერილი, მოცემული სადისერტაციო კვლევის მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე სტარტეგიებისა და მოდელების შესწავლა და დამუშავება, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციისა და მისი მენეჯმენტის საკითხების მიმოხილვა და ანალიზი, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელებისათვის.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, პირველ რიგში ჩატარდა მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული ლიტერატურის მიმოხილვა (თავი 1), რომელიც მოიცავდა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დეფინიციებისა და რაობის შესწავლას, მკვლევარების მიერ დამუშავებული ინტერნაციონალიზაციის კონცეპტუალური მოდელების დადგენას, ინტერნაციონალიზაციის არსებული სტრატეგიების მიმოხილვას და უმაღლესი განათლების დაწესებულების არსებული ინტერნაციონალიზაციის მიმართულებებისა და დონის შეფასებას.

ლიტერატურაში მოცემული თეორიების, სქემების, მოდელებისა და დასკვნების სინთეზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა სინთეზური კონცეპტუალური მოდელი, რომელიც აერთიანებს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კონცეფციას, მის ძირითად მიმართულებებს და სტრატეგიულ მენეჯმენტს. აღნიშნული სქემა არის ერთგვარი მეცნიერულ სიახლე, რადგან ის გვაჩვენებს ფართო სურათს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციისა და მისი სტრატეგიებისა. კერძოდ, იგი წარმოადგენს ტეოლორისა და რუდზის (იხ. სქემა 1.4) მიერ ჩამოყალიბებული სტრატეგიული პროცესის, ნაითის ქცევითი მოდელის (იხ. სქემა 1.5), ბერტელის თეორიების და ლიტერატურის მიმოხილვაში (თავი 1) განხილულ სხვა მეცნიერთა კვლევებისა და მოსაზრებების საფუძველზე შემუშავებულ სინთეზურ მოდელს.

მოდელის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც არსებული ინტერნაციონალიზაციის შესაფასებლად, ასევე სტრატეგიების შესამუშავებლად და მათი იმპლემენტაციის მონიტორინგისა და შეფასების საფუძვლად.

სქემა 2.1



აღნიშნულ მოდელს დაეყრდნო ძირითადად უმაღლესი განათლების დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის თანამედროვე ეტაპზე არსებული მდგომარეობის შეფასება. ჩატარდა მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროპული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობის ანალიზი.

2.2 საერთაშორისო ორგანიზაციების როლი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში

საერთაშორისო ორგანიზაციებს უმაღლესი განათლების
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრაში და მის
განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ. ისინი წარმოადგენენ უმაღლესი
განათლების ინტერნაციონალიზაციის როგორც მძლავრი ზემოქმედების ასევე მათ
ხელშემწყობ ფაქტორებს. ამ ორგანიზაციებმა 1990 წლიდან გააფართოვეს
საქმიანობის წრე. მაგალითად შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ორგანიზაცია,
რომლებიც ძირითად მოთამაშებს წარმოადგენენ ამ სფეროში, როგორიცაა
გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
(UNESCO), მსოფლიო ბანკი (WB), ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების
ორგანიზაცია (OECD)და ევროკავშირი (EU). თანამედროვე ეტაპზე, აღნიშნული
საერთაშორისო ორგანიზაციები მოიაზრებიან არა მხოლოდ უმაღლესი განათლების
პოლიტიკის განმსაზღვრელ, არამედ ამავე დროს მის განხორციელებაში აქტიურად
ჩართულ ორგანიზაციებად. მიუხედავად ამისა, ეს ორგანიზაციები არ აკინებენ
ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემუშავებელ და გადაწყვეტილების მიმღები
ორგანოების როლს⁷².

2.2.1 მსოფლიო ბანკი და უმაღლესი განათლება

მსოფლიო ბანკი დაარსდა 1944 წელს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი
ეპოდის რეკონსტრუქციისათვის დახმარების გაწევის მიზნით. 1950 წლებიდან
მსოფლიო ბანკის მიზნები შეიცვალა და ამჯერად რეკონსტრუქციის ხელშემწყობი
ორგანიზაციიდან რეფორმუსირება მოახდინა ახლად ჩამოყალიბებულ განვითარებად
ქვეყნებზე. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ბანკი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის
პროექტებს, როგორიცაა საშუალო შემოსავლიანი ქვეყნებისათვის სესხების გაცემა
გრძელვადიანი განვითარების მიზნებისათვის რეკონსტრუქციისა და განვითარების

⁷²Shahjahan, R., 2012. The Roles of International Organizations (IOs) in Globalizing Higher Education Policy. J. C. in Smart, M. B. Paulsen (eds.), *Higher Education: Handbook of Theory and Research*, Higher Education: Handbook of Theory and Research 27, DOI 10.1007/978-94-007-2950-6_8, © Springer Science+Business Media B.V.

საერთაშორისო ბანკის (IBRD) მეშვეობით და მსოფლიოს უდარიბესი ქვეყნებისათვის დახმარების გამოყოფა შეღავათიანი პირობებით განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) მეშვეობით. მსოფლიო ბანკი სამართლიანად მიჩნეულია მსოფლიოში განათლების სფეროს უდიდეს დამფინანსებლად და ამავე დროს მსოფლიოს უდიდეს კვლევით ორგანიზაციად. ბანკი მოწედებულია დანერგოს და ხელი შეუწყოს საბაზო ეკონომიკის, პრივატიზაციისა და დერეგულაციის პრინციპების დანერგვას⁷³. მსოფლიო ბანკი ერთდროულად წარმოადგენს ბანკს, განვითარების სააგენტოს და კველევით დაწესებულებას. თვით დასახელება ‘მსოფლიო ბანკის’ ქვეშ მოიაზრება IBRD და IDA. მსოფლიო ბანკში დასაქმებულია 10000 თანამშრომელი, აქვს ქსელური ურთიერთობები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერ ტრანსფორმაციებთან, მულტინაციონალურ კორპორაციებთან, აკადემიურ და პროფესიულ ასოციაციებთან⁷⁴.

ადრეულ ანგარიშებში, მსოფლიო ბანკი განვითარებად ქვეყნებს მოუწოდებდა უმაღლესი განათლების დაწესებულებების დაფინანსების შემცირებისაკენ, რადგან თვლიდა რომ ამ ქვეყნებში უმაღლეს განათლებასთან წვდომა თანაბარი არ იყო საზოგადოების ყველა ფენისთვის. უნივერსიტეტებში დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები მხოლოდ საშუალო და მაღალ შემოსავლიანი ოჯახებიდან. 1990-იანი წლებიდან მსოფლიო ბანკმა შეცვალა ხედვა უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში. აღნიშნული ცვლილება გამოიწვია ახალმა ხედვამ იმის შესახებ, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს საგრძნობი როლი ეკისრებათ ცოდნისა და კომპეტენციების განვითარებაში, რომლებიც საჭიროა ქვეყნების ეკონომიკის ზრდისათვის⁷⁵. 1994 წელს მსოფლიო ბანკმა უმაღლესი განათლების შესახებ გამოსცა მისი პირველი კომპლექსური საპროგრამო დოკუმენტი: ‘გამოცდილების გაკვეთილები’ (The Lessons of Experience). დოკუმენტში აღიარებულია უმაღლესი განათლების განსაკუთრებული როლი ეკონომიკურ და სოციალურ

⁷³Griffin, P. (2007). Neoliberalism and the World Bank: Economic discourse and the (re)production of gendered identity(ies). *Policy Futures in Education*, 5(2), 226–238.

⁷⁴მსოფლიო ბანკის ვებგვერდი (2014). <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTABOUTUS> [27.05.2014]

⁷⁵Robertson, S. (2009). Market multilateralism, the World Bank, and the asymmetries of globalizing higher education: Toward a critical political economy analysis. In R. Bassett & A. Maldonado (Eds.) *International organizations and higher education policy: Thinking globally, acting locally?* (pp. 113–131). New York: Routledge.

განვითარებაში. მას შემდეგ მსოფლიო ბანკს გამოქვეყნებული აქცე მრავალი ანგარიში უმაღლესი განათლების პოლიტიკის მიმართულებებზე, რაც მოიცავს ანგარიშებს სხვადასხვა ქვეყანაზე, სამუშაო დოკუმენტებს, ტექნიკურ ანგარიშებს უმაღლესი განათლების რეფორმებზე ფოკუსით⁷⁶. უმაღლესი განათლების მიმართულებით მსოფლიო ბანკი ძირითადად შემდეგ საქმიანობას ეწევა:

- აქცეულებს უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანგარიშებს;
- ეწევა ფინანსურ დახმარებას, როგორიცაა სესხების გაცემა, ინიციატივების დაფინანსება;
- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი;
- პოლიტიკასთან დაკავშირებული რჩევების შემუშავება;
- საერთაშორისო და რეგიონალური კონფერენციების სპონსორობა;
- ტექნიკური დახმარების გაწევა;
- ანალიტიკური დახმარების გაწევა⁷⁷.

2.2.2 ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების სააგენტო (OECD)

OECD შეიქმნა 1961 წელს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ბაზაზე, მაგრამ **OECD**-ს მოქმედების არეალი გასცდა ევროპას და მოიცვა მსოფლიოს 30 მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყანა. მისი მისია გამოიხატებოდა დემოკრატიისა და საბაზო ეკონომიკის მხარდაჭერაში⁷⁸. თანამედროვე ეტაპზე ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერას, მხარს უჭერს დასაქმებას, მსოფლიოს ვაჭრობისა და დემოკრატიის განვითარების პროექტებს და ეხმარება ქვეყნებს ეკონომიკურ განვითარებაში. ორგანიზაცია რეგულარულად აქცეულებს შედარებით სტატისტიკურ მონაცემებს და

⁷⁶Salmi, J., Hopper, R., & Bassett, R. (2009). Transforming higher education in developing countries: The role of the World Bank. In R. Bassett & A. Maldonado (Eds.), *International organizations and higher education policy: Thinking globally, acting locally?* (pp. 99–112). New York: Routledge.

⁷⁷იქვე.

⁷⁸Amaral, A., & Neave, G. (2009). The OECD and its influence in higher education: A critical revision. In R. Bassett & A. Maldonado (Eds.), *International organizations and higher education policy: Thinking globally, acting locally?* (pp. 82–98). New York: Routledge.

ინდიკატორებს⁷⁹. მსოფლიო ბანკისგან განსხვავებით, OECD-ს აქვს უფრო ფართო პოლიტიკური გავლენა, რადგან მას დღის წესრიგში აქვს ბევრად მეტი სოციალური ჩართულობა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ბალანსის მეშვეობით⁸⁰. ამჟამად ორგანიზაციის წევრია 34 ქვეყანა, მათ შორის როგორც განვითარებული ასევე სწრაფად განვითარებადი ქვეყნები, როგორიცაა მექსიკა, თურქეთი, ჩილე⁸¹. უმაღლეს განათლებასთან მიმართებაში ორგანიზაცია თანამშრომლობს სამთავრობო სტრუქტურებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან უმაღლესი განათლებაზე და განათლების დაგეგმვაზე. 1969 წელს ორგანიზაციამ ჩამოაყალიბა უმაღლესი განათლების ინსტიტუციონალური მენეჯმენტის პროგრამა, რომელსაც დღესდღეისობით 250 წევრი პყავს მსოფლის ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაში. ეს პროგრამა არის ერთადერთი ფორუმი OECD-ს ფარგლებში, რომელიც დიაა უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის. ორგანიზაციის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული არიან დაახლოებით ორასი კომიტეტი, სამუშაო და ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც თავს უყრიან სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების ოფიციალურ პირებს, ექსპერტებს უნივერსიტეტებიდან, კერძო სექტორიდან. ორგანიზაცია ნაკლებად ცენტრალიზებულია მსოფლიო ბანკთან შედარებით⁸², რაც აძლევს მასში მონაწილე იორგანიზაციებს საშუალებას უფრო სწრაფი და მოქნილი გადაწყვეტილებები მიიღონ საგანმანათლებლო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მსოფლიო ბანკისგან განსხვავებით, OECD ვერ ეხმარება მონაწილეებს მატერიალური რესურსებით, მაგრამ წარმოადგენს პოლიტიკის თვალსაზრისით ძლიერ დასაყრდენ ძალას. აქვე შეიძლება შედარება მოვიყვანოთ ეკროკავშირთან. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, OECD-ს არ გააჩნია საკანონმდებლო ძალაუფლება⁸³.

OECD უმაღლესი განათლების საკითხებით დაინტერესდა ადრეულ 1960-იან წლებში. ამ პერიოდში და მოგვიანებით 1970-იანი წლებიდან ამ მიმართულებით ორგანიზაციის ძირითად საზრუნოაგს წარმოადგენდა უმაღლესი განათლების

⁷⁹ იქვე

⁸⁰ Henry, M., Lingard, B., Rizvi, F., & Taylor, S. (2001). *The OECD, globalization and education policy*. Oxford: Pergamon Press.

⁸¹ OECD ვებგვერდი . <http://www.oecd.org/about/membersandpartners/> [22.05.2014]

⁸² Hufner, K., Sadlak, J., & Chitoran, D. (1997). Research on higher education and the activities of international organizations: Multiplicity of interests, needs, and forms. In J. Sadlak & P. Altbach(Eds.), *Higher education research at the turn of the new century: Structures, issues, and trends* (pp. 321–347). New York: Garland Publishing, Inc.

⁸³ King, R. (2009). *Governing universities globally: Organizations, regulation and rankings*. Cheltenham:Elgar.

ხელმისაწვდომობის საკითხები. 1990-იანი წლებიდან ორგანიზაცია ორიენტირებულია მწირ ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, შედეგების მასიფიკაციაზე, უმაღლესი განათლების და ეკონომიკის ზრდის, ასევე უმაღლესი განათლების და დასქმების საკითხების კავშირების გაუმჯობესებაზე. უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროში ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- მონაცემთა შეგროვება, რომელიც ქვეყნდება ყოველწლიურად ჟურნალში *Education at a Glance*;
- მონაცემთა დამუშავება გამოკითხვების მეშვეობით;
- ქვეყნების უმაღლესი განათლების თემატური მიმოხილვა;
- პოლიტიკის კვლევების ანგარიშების გამოქვეყნება;
- არასატენდერო ინსტრუქციების შემუშავება და გავრცელება, მაგალითად როგორიცაა ხარისხთან დაკავშირებული საკითხები;
- მოსალოდნელი პროექტების გამოცხადება;
- საერთაშორისო კონფერენციებისა და ქსელების ორგანიზება და ხელშეწყობა⁸⁴.

OECD გამოსცემს აკადემიურ ჟურნალს უმაღლესი განათლების მენეჯმენტი და პოლიტიკა (*Higher Education Management and Policy*). ორგანიზაცია თავის ზეგავლენის გავრცელებას ახდენს უმაღლესი განათლების სხვადასხვა საკითხების შესახებ ცოდნის გავრცელებით, ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყანაში თანამედროვე ტენდენციების აღქმის პროცესს და აფინანსებს პროექტებს, რომლებიც უმაღლესი განათლების სხვადასხვა სტეიკოლდერის ჩართულობას და კომუნიკაციას ახალისებუნება⁸⁵.

2.2.3 გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO)

⁸⁴Schuller, T., & Vincent-Lancrin, S. (2009). OECD Work on the Internationalization of Higher Education An Insider Perspective. In R. M. Bassett & A. Maldonado (Eds.), *International organizations and higher education policy: Thinking globally, acting locally?* (pp. 65–81). New York: Routledge.

⁸⁵Rizvi, F. & Lingard, B. (2010). *Globalizing education policy*. New York: Routledge.

UNESCO ჩამოყალიბდა 1946 წელს ინტელექტუალური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის ბაზაზე. UNESCO მოწოდებულია წვლილი შეიტანოს მშვიდობის დამყარების საქმეში, ხელი შეუწყოს სიღარიბის შემცირებას, პულტურათაშორის დიალოგს და მდგრად განვითარებას განათლების, მეცნიერების, პულტურის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის მიწოდების მეშვეობით⁸⁶. მსოფლიო ბანკისგან და OECD-სგან განსხვავებით, UNESCO-ს დღის წესრიგში აქვს სოციალური საკითხების მეტი ჩართულობის მიღწევა უმაღლესი განათლების პროგრამებში პულტურული მრავალფეროვნებებისა და ადამიანის უფლებების ხაზგასმის მეშვეობით. ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 195 ქვეყანა და 9 ასოცირებული წევრი⁸⁷. ის ასევე დაკავშირებულია და თანამშრომლობს მრავალ სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურასთან, გაერთიანებული ერების სააგენტოებთან, ორხმრივ და მრავალმხრივ ურთიერთობებზე აგებულ სააგენტოებთან. ორგანიზაციის მთავარი ოფისი მდებარეობს პარიზში, ასევე გააჩნია უმაღლესი განათლების ორი რეგიონალური ცენტრი: უმაღლესი განათლების რეგიონული ცენტრი ოფისით ბუქარესტში და სამხრეთ ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონალური უმაღლესი განათლების ინსტიტუტი ოფისით კარაკასში. ეს ცენტრები ხელს უწყობენ მკვლევარების, სხვადასხვა ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლების შეხვედრებს, სადაც განიხილება უმაღლესი განათლების საკითხები ურთიერთმომგებიან პრინციპებზე დაყრდნობით. UNESCO-მ ასევე ჩამოყალიბა UNESCO-ს სტატისტიკის ინსტიტუტი (UIS), რომელიც აქვეყნებს შედარებით სტატისტიკურ მონაცემებს უმაღლესი განათლების სფეროში⁸⁸. ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროს განვითარების საკითხებში. ის სპონსორობს ფორუმებს და კონფერენციებს, აგროვებს სტატისტიკურ მასალას, პარტნიორობას უწევს ინსტიტუტებს ინფორმაციის გაცემის და სტანდარტების დაახლოების მიზნით. ამ მიზნით ის ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლას სპეციალურად შემუშავებული ოვინინგის პროგრამის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად კოლექტიური

⁸⁶ UNESCO-s website. <http://www.unesco.org/new/en/unesco/about-us/who-we-are/history> [23.05.2014].

⁸⁷ <http://www.unesco.org/new/en/member-states/member-states-information/> [23.05.2014]

⁸⁸ Mundy, K., & Madden, M. (2009). UNESCO and higher education: Opportunity or impasse? In R. Bassett & A. Maldonado (Eds.) *International organizations and higher education policy:Thinking globally, acting locally?* (pp. 46–63). New York: Routledge.

კონსულტაციების მეშვეობით, უმაღლესი განათლების მიმართულებით ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- მონაცემთა შეგროვება;
- სტანდარტების ჩამოყალიბება რეგიონალური კონვენციების მეშვეობით;
- პოლიტიკის კვლევების ანგარიშების გამოქვეყნება;
- არასატენდერო ინსტრუქციების შემუშავება, მაგალითად როგორიცაა 1997 წლის რეკომენდაციები უმაღლესი განათლების დაწესებულებებში პროფესორ-მასწავლებლების სტატუსის შესახებ;
- მოსალოდნელი პროექტების გამოცხადება;
- ტექნიკური დახმარება;
- საერთაშორისო კონფერენციებისა და ქსელების ხელშეწყობა;

ზემოთ ჩამოთვლილი ორი რეგიონალური ცენტრი დამატებით გამოსცემუნ ჟურნალებს უმაღლესი განათლება ევროპაში (ბუქარესტი) და უმაღლესი განათლება და საზოგადოება (კარაკასი). UNESCO, როგორც ორგანიზაცია, უფრო მეტად არის ჩართული რეგიონალური თანამშრომლობის და პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის საკითხებში, რაშიც მას ხელს უწყობს მისი დეცენტრალიზებული სტრუქტურაც.

2.2.4 ევროპავშირი (EU)

წარმოადგენს კიდევ ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უმაღლესი განათლების სფეროში. ევროპული ერების გაერთიანების იდეა წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და განიხილებოდა მშვიდობის შენარჩუნების ერთ-ერთ საშუალებად. ეს პოლიტიკური გეგმა გულისხმობდა ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას ქვეყნებს შორის. შემდგომი ათწლეულების განმავლობაში მხოლოდ ეკონომიკური კავშირები არ იყო საკმარისი და ევროპის სულ ოფრო მეტმა სახელმწიფო მიიღო მონაწილეობა ახალი კავშირის ჩამოყალიბებაში, რომელიც ფოკუსირებული იყო პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და სოციალურ საკითხებზე. მაასტრიხის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ 1992 წელს, ევროპის ეკონომიკური საზოგადოება გარდაიქმნა ევროკავშირად. ამჟამად

ევროკავშირში 27 ქვეყანაა გაერთიანებული სრულუფლებიანი წევრის სტატუსით. ევროკავშირში გადაწყვეტილების მიმღები სამი ორგანოა: ევროკომისია, ევროპის კავშირის საბჭო და ევროპარლამენტი. ევროკავშირის ინსტიტუციებს შორის, უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებში ევროკომისია მთავარი ორგანოა. ის უწევს კოორდინაცია როგორც პოლიტიკის შემუშავების, ასევე მისი განხორციელების საკითხებს. ევროკომისია ასევე უხრუნველყოფს წევრი ქვეყნების თანამშრომლობას. ამ თავში აღწერილი სამი დანარჩენი საერთაშორისო ორგანიზაციისაგან განსხვავებით, ევროკავშირს გააჩნია ძლიერი საკანონმდებლო ძალაუფლება წევრ ქვეყნებზე⁸⁹. ისტორიულად ევროკავშირს სხვადასხვა პროგრამა ჰქონდა და გააჩნია დღესაც უმაღლესი განათლების სფეროში. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი პროგრამები:

- ERASMUS – ‘ევროპული საზოგადოების მოქმედების სქემა უნივერსიტეტის სტუდენტების მობილობისათვის’. პროგრამა დაარსდა 1987 წელს და ფოკუსირებულია კრედიტების ტრანსფერზე და უნივერსიტეტების თანამშრომლობაზე.
- მაასტერიობის ხელშეკრულების შემდეგ შემუშავდა SOCRATES პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ფართო რანგის თანამშრომლობას უნივერსიტეტებს შორის.
- ასევე შემუშავდა და 1990 წელს დაარსდა ტრანსევროპული მობილობის სქემა უნივერსიტეტებისათვის – TEMPUS. პროგრამა სპეციალურ ფოკუსს ახდენდა ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ხელშეწყობაზე.

თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირი ხელს უწყობს უმაღლესი განათლების საკითხების ფართო სპექტრს, როგორიცაა ენის საკითხებში მხარდაჭერა, დისტანციური და ელექტრონული სწავლება, მოზრდილთა განათლება და კურიკულუმის რეფორმების ხელშეწყობა ბოლონიის პროცესის ფარგლებში. ამ პროცესში ევროკომისიის ჩართვამ თვით ევროკომისია გადააქცია უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემუშავების მთავარ მოთამაშედ. ბოლონიის პროცესი ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის მშენებლობაში წამყვან როლს თამაშობს. შესაბამისად ეს საკითხი განხილულია ამ დისერტაციის ცალკე ქვეთავში. ბოლო ათწლეულის მანძილზე

⁸⁹King, R. (2009). *Governing universities globally: Organizations, regulation and rankings*. Cheltenham: Elgar.

ევროკავშირის უმაღლესი განათლების სფროში საქმიანობა გასცდა ევროპის ფარგლებს და ის ამჟამად ზეგავლენას ახდენს ჩრდილოეთ ამერიკის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის და ავსტრალიის განათლების პოლიტიკაზე⁹⁰. ამის მაგალითად გამოდგება დაგასახელოთ ზოგიერთი პროგრამა, როგორიცაა ‘ტემპუსი’ და ‘აზიალინკი’, რომლთა მეშვეობით ევროკავშირი ქმნის ნორმატიულ ბაზას უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის პროექტების სახით ბალკანეთში, აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკაში და ახლო აღმოსავლეთში⁹¹. უმაღლესი განათლების მიმართულებით ევროკავშირი, მირითადში ევროკომისიის მეშვეობით შემდეგი სახის საქმიანობას ეწევა:

- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი;
- განათლების პოლიტიკის შემუშავება, ძირითადად მინიჭებული კვალიფიკაციების თავსებადობაზე და კრედიტების ტრანსფერზე;
- ინიციატივების დაფინანსება, მაგალითად როგორიცაა ერასმუსი, ტემპუსი, აზიალინკი;
- ტექნიკური დახმარება;
- პოლიტიკის იმპლემენტაცია და კოორდინაცია.

ევროკავშირის საქმიანობა უმაღლესი განათლების სფეროში მრავალფუნქციურია და მიუხედავად იმისა, რომ ის არის რეგიონული მოთამაშე, ზეგავლენას ახდენს მთელი მსოფლიოს უმაღლესი განათლების სიტემებზე.

მიუხედავად მათი საქმიანობის განსხვავებული პრიორიტეტებისა, ზემოთ აღწერილი ოთხი საერთაშორისო ორგანიზაციია წარმოადგენს ძირითად მოთამაშეებს უმაღლესი განათლების პოლიტიკის შემუშავების, მისი განხორციელების და განვითარების საკითხებში გლობალურ და რეგიონალურ კონტექსტში. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ორგანიზაციები ერთ-ერთ ძირითად როლს თამაშობენ უმაღლესი განათლების განვითარებასა და მათ ინტერნაციონალიზაციის პროცესში, მათ გააჩნიათ ყველაზე განახლებული მონაცემთა ბაზები მდიდარი სტატისტიკური მონაცემებით, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდა საკვლევი თემის ფარგლებში არსებული სიტუაციის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

⁹⁰Hartmann, E. (2008). Bologna goes global: A new imperialism in the making? *Globalisation, Societies and Education*, 6(3), 207–220.

⁹¹Keeling, R. (2006). The Bologna process and the Lisbon research agenda: The European Commission's expanding role in higher education discourse. *European Journal of Education*, 41(2), 203–223.

2.2.5 ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე: ბოლონიის პროცესი

ევროპის ოცდაცხრა ქვეყნის განათლების სამინისტროების და უნივერსიტეტების პასუხისმგებელმა პირებმა 1999 წელს იტალიის ქალაქ ბოლონიაში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც ბოლონიის პროცესის სახელითაა ცნობილი და რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ერთიანი ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ჩამოყალიბება. ბოლონიის პროცესთან მიერთება ნაბეჭოფლობითია და გულისხმობს მონაწილე ქვეყნების მხრიდან უმაღლესი განათლების მიმართულებით საერთო ევროპული დირექტულებებისა და პრინციპების გაზიარებას. ამ პროცესმა საფუძველი ჩაუყარა ძირეულ რეფორმებს უმაღლესი განათლების სიტემაში და ის დღევანდელი მონაცემებით მოიცავს ევროპის 46 ქვეყანას⁹², მათ შორის საქართველოსაც, რომელიც ამ პროცესს შეუერთდა 2005 წელს. შესაბამისად, ბოლონიის პროცესის გათვალისწინება და მისი მიზნების მხედველობაში მიღება მნიშვნელოვანია ევროპაში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პრევენციისას და განხორციელებისას. ბოლონიის პროცესი მიზნად არ ისახავს ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების პარმონიზაცია-უნიფიცირებას, არამედ მისი მიზანია მიაწოდოს მონაწილე ქვეყნებს ინსტრუმენტები ამ სისტემების დასაკავშირებლად. მთელი ამ პროცესის მიზანი არის შეინარჩუნოს ეროვნული სისტემების მრავალფეროვნება, ამავე დროს უზრუნველყოს მათი გამჭვირვალობა, კრედიტების ურთიერთაღიარება, მობილობა და გაცვლები უმაღლესი განათლების დაწესებულებებს შორის. ბოლონიის პროცესის ყველაზე თვალსაჩინო მიღწევად შესაძლოა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ყველა მონაწილე ქვეყანა დათანხმდა, რომ უმაღლესი განათლების სამივე დონე – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო – თავსებადი იქნება სხვა მონაწილე ქვეყნების ანალოგიურ პროგრამებთან. ასევე, ბოლონიის პროცესის მიზანია გააადვილოს მობილობის პროცესი ქვეყნებს შორის, რასაც ემსახურება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა-ECTS, რათა საზღვარგარეთ სწავლის პერიოდი და იქ მიღებული კვალიფიკაცია სათანადო იქნას აღიარებული. ბოლონიის პროცესის მთავარი წარმმართველები არიან:

⁹²<http://www.eua.be/eua-work-and-policy-area/building-the-european-higher-education-area/bologna-basics.aspx>

- ხელმომწერი ქვეყნების განათლების მინისტრები;
- ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლები (EUA);
- პროფესიული უმაღლესი განათლების ინსტიტუტები (EURASHE);
- სტუდენტები (ESU);
- ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები (ENQA);
- გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია- უმაღლესი განათლების ევროპული ცენტრი (UNESCO_CEPES);
- საერთაშორისო განათლება (EI);
- ბიზნეს-ეგროპა (BE).

პროცესს მხარს უჭერს ევროკომისია და ევროპის საბჭო. 2014 წლისათვის ორი ძირითადი ხარისხი (კვალიფიკაცია) ბაკალავრი და მაგისტრი, ყველა მონაწილე ქვეყნის მიერ არის მიღებული. რიგ ქვეყნებში ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი პარალელურ რეჟიმშია შემოღებული ადრინდელ კვალიფიკაციებთან ერთად გარდამავალ პერიოდში, ხოლო სხვა შემთხვევებში, მთლიანად ცვლიან ადრინდელ კვალიფიკაციებს. ამ ეტაპზე ევროპული უნივერსიტეტები ამ შეთანხმების აღსრულების ფაზაში მიმდევად რაც იმას გულისხმობს, რომ სულ უფრო და უფრო მეტ შემთხვევები ანიჭებენ ამ ახალ ხარისხებს კურსდამთავრებულებს. ჩვეულებრივ, ბაკალავრის ხარისხის მისაღებად საჭიროა 180-240 ECTS კრედიტი, ხოლო სამაგისტრო პროგრამები მოიცავს 90-120 ECTS კრედიტებს, აქედან მინიმუმ 60 კრედიტს სამაგისტრო დონეზე. რაც შეეხება ევროპულ სადოქტორო პროგრამებს, ისინი ჯერჯერობით არ არიან ერთიან საკრედიტო სისტემაზე გადასული, თუმცა საერთო ევროპული პრინციპები ამ პროგრამებისათვის აქტიური განხილვის საგანია.

ბოლონიის პროცესის და საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულის სწავლების შედეგებზე. 2008 წელს ბოლონიის პროცესის ედინბურგში გამართული გამართული სპეციალური სემინარის დროს, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ სწავლების შედეგები არის ის ფუნდამენტი, რაზეც მთელი საგანმანათლებლო რეფორმა უნდა აიგოს და მხარი დაუჭირა მეთოდოლოგიას, რომელიც მასწავლებელზე დაფუძნებულიპარადიგმის

სტუდენტები თრიენტირებული სწავლებისკენ ცვლილებას შეუწყობს ხელს⁹³. სულ უფრო იზრდება აღქმა იმისა, რომ კვალიფიკაციების ჩარჩო ასრულებს მთავარ როლს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ელემენტების დაახლოებისა, როგორიცაა სწავლების შედეგები და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა. განვიხილოთ უმაღლესი განათლების თითოეული კომპონენტი, რომელთა პარმონიზებასაც ევროპის მასშტაბით მიზნად ისახავს ბოლონიის პროცესი: **კრედიტებისა ტრანსფერისა და აკუმულირების სისტემა (ECTS)** არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კურიკულურის შემუშავებისა და სწავლების შედეგების აღიარების პროცესში. ამ სისტემის მიხედვით, კრედიტი მიჩნეულია პროგამის მიზნების მისაღწევად საჭირო მთლიანი დატვირთვის საზომ ერთეულად. აღნიშნული მიზნები ჩამოყალიბებულია, როგორც სწავლების შედეგების, ასევე კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაფასებლად, რაც მოიცავს არა მხოლოდ სალექციო საკონტაქტო სათვალს. ეს სისტემა ამარტივებს სასწავლო პროგრამების აღქმას და შედარებას ყველა ადგილობრივი თუ საერთაშორისო სტუდენტისათვის და ხელს უწყობს მობილობას და მიღწევების აღიარებას⁹⁴. **დიპლომის დანართის** გაცემის აუცილებლობა ბოლონიის პროცესის მიხედვით აუცილებელი მოთხოვნაა 2005 წლიდან. აღნიშნული დოკუმენტი თან ერთვის უმაღლესი განათლების დიპლომს და აღწერს კვალიფიკაციას მარტივად გასაგები ენით. დიპლომის დანართი წარმოადგენს სტუდენტის მიერ წარმატებით გავლილი სასწავლო პროგრამის რაობის, დონის, კონტექსტის, შინაარსის და სტატუსის სტანდარტულ აღწერას. ის არ არის დიპლომის მოკლე აღწერა ან მისი შემცვლელი, არამედ ის წარმოადგენს პროფესიული კვალიფიკაციის დეტალურ აღწერას⁹⁵. **ხარისხის უზრუნველყოფა** ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი საზრუნავია. ის მოიცავს ევროპის ქვეყნების თანამშრომლობის წახალისებას უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე სტრუქტურული და პროგრამული რეფორმები ახალისებენ უნივერსიტეტებს ეფექტური მენეჯმენტით, პროგრამების და შეფასების

⁹³<http://www.ond.vlaanderen.be/hogeronderwijs/bologna/BolognaSeminars/Edinburgh2008.htm>

⁹⁴<http://www.eua.be/eua/jsp/en/upload/ECTS%20Key%20Features.1068807879166.pdf>

⁹⁵<http://ec.europa.eu/education/>

მეთოდების გადახალისებით მიაღწიონ მეტ ხარისხს. ამავე დროს, ეროვნული სისტემებისთვის შემუშავდა საერთო მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მდგრადობას (ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელოები). შემუშავდა ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის რეგსტრი(EQAR), რათა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი ყოფილიყო გამჭირვალე⁹⁶. **კვალიფიკაციების აღიარება** მნიშვნელოვანი საკითხია, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების თავისუფალ მობილობას სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა უნივერსიტეტში. კვალიფიკაციის აღიარების საკითხი წინ უსწრებდა თვით ბოლონიის პროცესს, და პირველად მიღებული იქნა 1997 წელს და ცნობილია ლისაბონის აღიარების კონვენციის სახელით⁹⁷. მაგრამ ბოლონიის პროცესმა საფუძველი ჩაუყარა ამ აღიარების ლეგალურ-სამართლებრივ ასპექტებს. **ერთობლივი კვალიფიკაციების მინიჭება** გულისხმობს სტუდენტის მიერ ერთ პროგრამაზე სწავლის პერიოდის სხვადასხვა უმაღლეს დაწესებულებაში გატარებას. ეს ინიციატივა წარმოადგენს ინოვაციური პროექტების წახალისებას, რომლების ევროპის უნივერსიტეტებისაგან მოითხოვს ურთერთთანამშრომლობას. ასეთი პროექტები აღქმულია უმაღლესი განათლების განვითარების ხვალინდელ დღედ. ევროპაში ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისადმი ინტერესი ზრდადია. მრავალმა ქვეყანამ საკანონმდებლო დონეზეც დაუშვა ერთობლივი ხარისხების მინიჭება⁹⁸. 2005 წელს, ბოლონიის პროცესის ფარგლებში, ლისაბონის აღიარების კონვენციაში ცვლილებები შევიდა, რათა უფრო წაეხალისებინათ ერთობლივი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხები⁹⁹.

⁹⁶<http://www.eqar.eu/>

⁹⁷http://www.coe.int/t/dg4/highereducation/recognition/lrc_EN.asp

⁹⁸<http://www.eua.be/eua-work-and-policy-area/building-the-european-higher-education-area/bologna-basics.aspx>

⁹⁹ იქნა

2.3 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში

მოცემულ ქვეთავში განვიხილვთ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ოპერაციონალიზაციის საკითხებს და მიმართულებებს თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მასშტაბით, ასევე იმ თავისებურებებს, რომლებიც გააჩნია ევროპული უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციას და მათ სტრატეგიებს.

2.3.1 ხარისხის მაძიებელი სტუდენტების საერთაშორისო მობილობა

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია სტუდენტების საერთაშორისო მობილობა. თანამედროვე მსოფლიოში სტუდენტთა მობილობა საგრძნობლად იზრდება. OECD-ს მიხედვით, 2012 წელს 4.3 მილიონი სტუდენტი სწავლობდა საზღვარგარეთ. ავსტრალიას, გაერთიანებულ სამეფოს, შვეიცარიას, ასალ ზელანდიას და ავსტრიას პყავს პროცენტულად ყველაზე მაღალი რაოდენობა სტუდენტებისა ადგილობრივ სტუდენტებთან მიმართებაში. OECD-ს ქვეყნები უფრო მეტ უცხოელ სტუდენტებს იღებენ, ვიდრე თვითონ აგზავნიან საზღვარგარეთ. ყველა უცხოელი სტუდენტის 83% სწავლობს G20-ს ქვეყნებში, ხოლო 77% OECD-ს ქვეყნებში. აღნიშნული პროპორციები სტაბილურად ერთსა და იგივე დონეზეა ბოლო ათწლეულის განმავლობაში¹⁰⁰.

UNESCO-ს მიერ გამოქვეყნებული უახლესი მონაცემების მიხედვით, ცხადი ხდება რომ უცხოელი სტუდენტების მოსაზიდად უნივერსიტეტებს და ქვეყნებს შორის დიდი კონკურენციაა. სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ზრდის ტენდენციამ, შესაბამისად გამოიწვია უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვების რაოდენობა. 2012 წელს უცხოელ სტუდენტთა რაოდენობამ გადააჭარბა 4 მილიონს, 2000 წელს 2 მილიონ სტუდენტთან შედარებით. ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში სტუდენტთა

¹⁰⁰<http://www.oecd-ilibrary.org/docserver/download/9613041ec012.pdf?Expires=1402224985&id=id&accname=guest&checksum=2F418EFCA7E9888DA329279EB680809E>

საერთაშორისო მობილობა ყველაზე მაღალია. ამ ქვეყნებიდან 2003 წელს საზღვარგარეთ სწავლობდა 67300 სტუდენტი, მაშინ როცა 2012 წელს - 156000, პროცენტული თანაფარდობა ადგილობრივ სტუდენტებთან შესაბამისად 3.5%-დან 7.5%-მდე გაიზარდა. განსხვავებული სიტუაციაა სუბ-საპარის აფრიკულ სახელმწიფოებში. ეს რეგიონი მეორე ადგილს იკავებს სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის თანაფარდობით ადგილობრივ სტუდენტებთან. 2012 წელს ამ რეგიონიდან 288200 სტუდენტი სწავლობდა საზღვარგარეთ 2003 წელს 204900 სტუდენტთან შედარებით, თუმცა ამ პერიოდში უცხოეთში მობილობით მყოფ სტუდენტთა და ადგილობრივ სტუდენტთა თანაფარდობა 6%-დან შემცირდა 4,5 პროცენტამდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადგილობრივი უმაღლესი განათლების სისტემა მეტ სასწავლო ადგილს სთავაზობს სტუდენტებს. საერთაშორისო მობილობის და ადგილობრივი სტუდენტების თანაფარდობა სამ რეგიონში იყო შედარებით დაბალი: სამხრეთი და დასავლეთი აზია, სადაც სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 1% სწავლობდა საზღვარგარეთ, ლათინურ ამერიკაში და კარიბის აუზის ქვეყნებიდან - 0,9% და ჩრდილოეთ ამერიკიდან - 1,4%¹⁰¹.

საერთაშორისო სტუდენტების გეოგრაფიულ არჩევანში დიდი ცვლილებები არ არის და აშშ კვლავაც რჩება ყველაზე მეტი რაოდენობის უცხოელ სტუდენტთა მასპინძელ ქვეყნად, სწრაფად განვითარებადი რეგიონები და ცენტრები სულ უფრო მეტ ძალას იკრებენ და კონკურენციას უწევენ საერთაშორისო სტუდენტების ტრადიციულ მიმართულებებს. 2012 წელს მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში იყო თავმოყრილი უცხოელ სტუდენტთა თითქმის ნახევარი: აშშ- 18%, გაერთიანებული სამეფო – 11%, საფრანგეთი – 7%, ავსტრალია - 6%, გერმანია – 5%. ამავე დროს ამ ქვეყნებში უცხოელ სტუდენტთა რაოდენობამ მათ საერთო რაოდენობასთან მიმართებაში იკლო 55%-დან 2000 წელს 47%-მდე 2012 წელს. ავსტრალია და იაპონია, რომელიც აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების სტუდენტებისათვის ტრადიციულ საერთაშორისო მიმართულებებს წარმოადგენდნენ, მზარდ კონკურენცია განიცდიან სამხრეთ კორეის, სინგაპურის და აზალი ზელანდიის უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან, სადაც უცხოელი სტუდენტების მთლიანი რაოდენობის 6% სწავლობდა 2012 წელს. შემდეგ ადგილზე (4%) არიან არაბული

¹⁰¹<http://www UIS.unesco.org/Education/Pages/international-student-flow-viz.aspx> [2.06.2014]

ქვეყნები, როგორიცაა საუდის არაბეთი, ეგვიპტე და არაბთა გაერთიანებული საემიროები¹⁰².


კიდევ ერთი ტენდენცია, რაც ბოლო მონაცემებით იკვეთება, არის ის, რომ საერთაშორისო სტუდენტებისათვის პოპულარული ხდება განათლების რეგიონალური ცენტრები. ეს ცენტრები არა მხოლოდ უცხოელ სტუდენტებს მოიზიდავენ, არამედ სულ უფრო პრიორიტეტული ხდება ამავე რეგიონის სტუდენტებს შორის, კულტურული სიახლოვის, მგზავრობის მცირე ხარჯების და დროის ფაქტორებიდან გამომდინარე. 1999 წლიდან 2012 წლამდე არაბულ ქვეყნებში, ამ რეგიონის ქვეყნებიდან მობილური სტუდენტების რაოდენობა 12%-დან 26%-მდე გაიზარდა, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში 25%-დან 37%-მდე, ხოლო სუბ-საპარის რეგიონში კი – 18%-დან 28%-მდე. არაბთა გაერთიანებული საემიროები, კერძოდ დუბაი, ბოლო მონაცემებით უსწრებს ტრადიციულ დიდ ბრიტანეთს არაბული ქვეყნებიდან სტუდენტების მოზიდვაში, და ამით მესამე ადგილს იკავებს საფრანგეთის და აშშ-ს შემდეგ. 2012 წელს მთელი სუბ-საპარის რეგიონის მობილური სტუდენტების 22% სამხრეთ აფრიკაში სწავლობდა¹⁰³.

თუ განვიხილავთ საერთაშორისო სტუდენტთა მობილობას მათი გეოგრაფიული მიმართულებების მიხედვით, მასპინძელ ქვეყნებს შორის ლიდერობენ აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია და გერმანია. ეს ქვეყნები წლების განმავლობაში რჩება სტუდენტთა პრიორიტეტად როდესაც საზღვარგარეთ სასწავლებლად მიემგზავრებიან. დიაგრამა 2.1 გვიჩვენებს მთელი უცხოელი უცხოელი სტუდენტების პროცენტულ გადანაწილებას ქვეყნების პირველ ათეულში.

¹⁰²<http://www UIS.unesco.org/Education/Pages/international-student-flow-viz.aspx>

¹⁰³ იქვე


დიაგრამა 2.1: საერთაშორისო მობილური სტუდენტების გეოგრაფიული
მიმართულებების პირველი ათეული



წყარო: UNESCO-ს ვებგვერდი (2014)¹⁰⁴

საერთაშორისო სტუდენტთა მობილობის ანალიზი რეგიონების მიხედვით გვიჩვენებს, რომ უცხოელ სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, 57%, სწავლობს ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში, 20%-აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში, ხოლო 7%-ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. დანარჩენ მსოფლიოში სწავლობს უცხოელ სტუდენტთა მთელი რაოდენობის მხოლოდ 16%. (იხ. დიაგრამა 2.2).

დიაგრამა 2.2: საერთაშორისო მობილური სტუდენტების მთავარი რეგიონალური
მიმართულებები




წყარო: UNESCO-ს ვებგვერდი (2014)¹⁰⁵

¹⁰⁴<http://www UIS.unesco.org/Education/Pages/international-student-flow-viz.aspx>

მაშინ როდესაც საერთაშორისო სტუდენტთა მობილობის გეოგრაფიული მიმართულებები კონკრეტულ არეალებზეა ტრადიციულად ორიენტირებული, ყველაზე მეტი რაოდენობის უცხოელ სტუდენტთა წარმომავლობის ქვეყნები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონშია თავმოყრილი. UNESCO-ს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდი რაოდენობის უცხოელი სტუდენტი ჩინეთიდანაა, მეორე ადგილზეა ინდოეთიდან ჩამოსული სტუდენტები. პირველ ათეულში ასევე ვხვდებით სამხრეთ კორეას, გერმანიას, საუდის არაბეთს, აშშ-ს და ა.შ. (იხ. დიაგრამა 2.3).

დიაგრამა 2.3: საერთაშორისო მობილური სტუდენტების წარმომავლობის ქვეყნების პირველი ათეული



წყარო: UNESCO-ს ვებგვერდი (2014)¹⁰⁵

უცხოელი სტუდენტების დონორ ქვეყნების პირველ ათეულში, ბუნებრივია, მოსახლეობის მიხედვით მსოფლიოს დიდი ქვეყნები გვხვდება.

¹⁰⁵ <http://www UIS.unesco.org/Education/Pages/international-student-flow-viz.aspx>

¹⁰⁶ იქვე

2.3.2 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საზღვარგარეთის ფილიალების მეშვეობით

უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის OECD-ს მიერ 2012 წელს გამოცემული სახელმძღვანელო¹⁰⁷ მიმოიხილავს უნივერსიტეტების მიერ საზღვარგარეთ ფილიალების მეშვეობით ინტერნაციონალიზაციის ტენდენციებს. აღნიშნული მასალების მიხედვით, საზღვარგარეთ ფილიალის დაარსება ყოველთვის რისკიან ბიზნესს წარმოადგენდა. მაგალითად მოყვანილია 1980-იანი წლები, როდესაც აშშ-ს 35-მა კოლეჯზე და უნივერსიტეტზე გახსნა ფილიალი იაპონიაში, რადგანაც პვლევების მიხედვით ამ ქვეყანაში სწრაფი ეკონომიკური ზრდა უმაღლესი განათლების ბაზრის ზრდა ფიქსირდებოდა. ეკონომიკის ზრდის შენელებამ და ამ სასწავლებლების აღიარების პროცესმამ, ისინი იძულებული გახადა დაეხურათ თავისი ფილიალები, მხოლოდ ორი გამონაკლისის გარდა: ტემპლისა და ლეიქლენდის კოლეჯები დარჩნენ. თუმცა ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ძველი ფილიალი, როგორიცაა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ფილიალი იტალიაში და ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალი პანამაში, 50 წელზე მეტია რაც ფუნქციონირებენ¹⁰⁸.

ამ სახელმძღვანელოს ავტორები აგვიწერენ რამოდენიმე ფაქტორს, რის გამოც უნივერსიტეტებმა შესაძლოა გახსნან ფილიალები საზღვარგარეთ, როგორიცაა:

- დამატებითი შემოსავლის გენერირება,
- საერთაშორისო პრესტიჟის გაზრდა,
- ძირითადი უნივერსიტეტის პროგრამებისათვის საუკეთესო სტუდენტების შერჩევა,
- მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებისათვის მომსახურების გაწევის გულწრფელი სურვილი,
- მოელი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის დონის ზრდა;
- არსებულ ურთიერთობებზე დაფუძნებული ზრდა,
- კულტურული დიპლომატია.

¹⁰⁷Henard, F., Diamond, L., & Resevoir, D. (2012), Approaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institutional Practice: A Guide for Higher Education Institutions, OECD.

¹⁰⁸იქვე, გვ. 14

ამავე დროს ადსანიშნავია ის ფაქტორები, რომლებზე დაყრდნობითაც უნივერსიტეტები ირჩევენ მათი ახალი ფილიალებისთვის ადგილ-მდებარეობას, მათ შორისაა მასპინძელ ქვეყანასა და უნივერსიტეტს შორის ჩამოყალიბებული ოფიციალური და არაოფიციალური ურთიერთობები, პირადი ურთიერთობები, კოოპერაცია კვლევაში, არსებული პარტნიორული ურთიერთობები ერთობლივ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით. გამოცდილებიდან გამომდინარე, უმჯობესია პატარა ფილიალების ჩამოყალიბება და მათი თანდათანობით ზრდა. მაგალითისთვის, რამოდენიმე პროგრამის ჩამოყალიბება თავდაპირველად და შესაბამისად ბრენდის ცნობადობის ზრდა ადგილობრივ ბაზარზე¹⁰⁹.

ფილიალის დაარსებისთვის არსებობს რამოდენიმე ფორმა: შესაძლებელია საზღვარგარეთის ფილიალი დამოუკიდებლად ჩამოყალიბოს უნივერსიტეტმა, მისცეს მას ერთობლივი საწარმოს ფორმა ან სულაც გააფორმოს სტრატეგიული ალიანსი ადგილობრივ მთავრობებთან. ინტეგრაციის დონე შესაძლოა სხვადასხვა იყოს მთავრობის მოთხოვნიდან და თვით დაწესებულებების მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად, ყატარის მთავრობა ინტენსიურად არის ჩართული საკუთარ ტერიტორიაზე უცხოური უნივერსიტეტების ფილიალების გახსნაში, მაშინ როცა მალაიზიის მთავრობა ნაკლებად ერევა ამ საკითხებზე¹¹⁰. ამ ორი ქვეყნის აბსოლუტურად განსხვავებული მაგალითი საინტერესოა იმით, რომ ორივე ქვეყანაში შეინიშნება უცხოური უნივერსიტეტების ფილიალების სიჭარბე. (იხ. ცხრილი 2.1).

¹⁰⁹Henard, F., Diamond, L., & Resevoir, D. (2012), Approaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institutional Practice: A Guide for Higher Education Institutions, OECD. გვ. 14

¹¹⁰იქვე, გვ. 15

ცხრილი 2.1: ინტერნაციონალიზაცია საზღვარგარეთის ფილიალების მეშვეობით

| წარმომავლობის ქვეყანა | უნივერსიტეტის დასახელება | საზღვარგარეთის ფილიალი დასახელება | ფილიალის განთავსების ქვეყანა |
|-----------------------|---|---|---------------------------------------|
| ავსტრალია | ავსტრალიის კათოლიკური უნივერსიტეტი | ავსტრალიის კათოლიკური უნივერსიტეტის მანილას ფილიალი | ფილიალის მაღაიზია |
| | ქორტინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი | ქორტინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სარავაკის ფილიალი | სინგაპური |
| | | ქორტინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სინგაპურის ფილიალი | სამხრეთ აფრიკა |
| | მონაშის უნივერსიტეტი | მონაშის უნივერსიტეტის სამხრეთ აფრიკის ფილიალი | მალაიზია |
| | | მონაშის უნივერსიტეტის მალაიზიის ფილიალი | |
| | მერდოქის უნივერსიტეტი | მერდოქის უნივერსიტეტის დუბაის ფილიალი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| | | მერდოქის უნივერსიტეტის სინგაპურის სასწავლო ცენტრი | სინგაპური |
| | კოლონგონგის უნივერსიტეტი | კოლონგონგის უნივერსიტეტის დუბაის ფილიალი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| | სვინბერნის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი | სვინბერნის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სარავაკის ფილიალი | მალაიზია |

| წარმომავლობის ქვეყანა | უნივერსიტეტის დასახელება | საზღვარგარეთის ფილიალი დასახელება | ფილიალის განთავსების ქვეყანა |
|----------------------------|--|--|---------------------------------------|
| აშშ | ამერიკის ინტერკონტინენტალური უნივერსიტეტი | დუბაის ამერიკული უნივერსიტეტი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| | კარნეგი მელონის უნივერსიტეტი | კარნეგი მელონის უნივერსიტეტი ყატარში | ყატარი |
| | კორნელის უნივერსიტეტი | კოლ კორნელის სამედიცინო კოლეჯი ყატარში | ყატარი |
| | ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი | ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის უცხოეთის სერვისის სკოლა ყატარში | ყატარი |
| | ჰარვარდის სამედიცინო სკოლა | ჰარვარდის სამედიცინო სკოლის დუბაის ცენტრი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| ნიუ იორკის უნივერსიტეტი | ნიუ იორკის უნივერსიტეტის აბე დაბის ფილიალი | ნიუ იორკის უნივერსიტეტის აბე დაბის ფილიალი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| | ნიუ იორკის უნივერსიტეტის შანხაის ფილიალი | ნიუ იორკის უნივერსიტეტის შანხაის ფილიალი | ჩინეთი |
| | ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტი | ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტი ყატარში | ყატარი |
| | ტეხასის ა&მ უნივერსიტეტი | ტეხასის ა&მ უნივერსიტეტი ყატარში | ყატარი |
| | ვირჯინიის თანამეგობრობის უნივერსიტეტი | ვირჯინიის თანამეგობრობის უნივერსიტეტი ყატარის განათლების სითო | ყატარი |

| წარმომავლობის ქვეყანა | უნივერსიტეტის დასახელება | საზღვარგარეთის ფილიალი დასახელება | ფილიალის განთავსების ქვეყანა |
|-----------------------|--|--|---------------------------------------|
| დიდი ბრიტანეთი | პერიოთ-ვოთის უნივერსიტეტი | პერიოთ-ვოთის უნივერსიტეტი დუბაიში | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| | | პერიოთ-ვოთის უნივერსიტეტი მალაიზიაში | მალაიზია |
| | ნიუკასლის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლა | ნიუკასლის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მალაიზიის ფილიალი | მალაიზია |
| | დედოფალ მარგარეტის უნივერიტეტი | დედოფალ მარგარეტის უნივერიტეტის აზიის ფილიალი | სინგაპური |
| | ჩესტერის უნივერსიტეტი | ჩესტერის უნივერსიტეტის სარავაკის ფილიალი | მალაიზია |
| | ნოტინგემის უნივერსიტეტი | ნოტინგემის უნივერსიტეტის მალაიზიის ფილიალი | მალაიზია |
| | რიდინგის უნივერსიტეტი | რიდინგის უნივერსიტეტი მალაიზიაში | მალაიზია |
| | საუსკემპტონის უნივერსიტეტი | საუსკემპტონის უნივერსიტეტის მალაიზიის ფილიალი | მალაიზია |
| | ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი | ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი ყატარში | ყატარი |
| კანადა | ნიუ ბრუნსკიკის უნივერსიტეტი | ნიუ ბრუნსკიკის უნივერსიტეტის კოლეჯი | სინგაპური |
| | კალგარის უნივერსიტეტი | კალგარის უნივერსიტეტი ყატარში | ყატარი |

| წარმომავლობის ქვეყანა | უნივერსიტეტის დასახელება | საზღვარგარეთის ფილიალი დასახელება | ფილიალის განთავსების ქვეყანა |
|-----------------------|---|---|---------------------------------------|
| საფრანგეთი | პარიზის სორბონის უნივერსიტეტი | პარიზის სორბონის უნივერსიტეტი აბუ- დაბიში | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| | პარიზის უმაღლესი საგანმანათლებლო კოლეჯი | პარიზის უმაღლესი საგანმანათლებლო კოლეჯი განათლების სითი | ყატარი |
| ჩინეთი | შანჰაის მია ტონგის უნივერსიტეტი | შანჰაის მია ტონგის უნივერსიტეტის სარავაკის ფილიალი | მალაიზია |
| | ქსიამენის უნივერსიტეტი | ქსიამენის უნივერსიტეტი მალაიზიაში | მალაიზია |
| შვეიცარია | ლოზანის ფედერალური პოლიტექნიკური სკოლა | ლოზანის ფედერალური პოლიტექნიკური სკოლა რას ალ ხაიმაში | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| მალაიზია | კრეატიული ტექნოლოგიების ლიმკოკინგის უნივერსიტეტი | ლიმკოკინგის უნივერიტეტი ლონდონში | დიდი ბრიტანეთი |
| | | ლიმკოკინგის უნივერიტეტი ბალიში | ინდონეზია |
| | | ლიმკოკინგის უნივერიტეტი ჩინეთში | ჩინეთი |
| | | ლიმკოკინგის უნივერიტეტი კამბოჯაში | კამბოჯა |
| | | ლიმკოკინგის უნივერიტეტი ბოტსვანაში | ბოტსვანა |
| | | ლიმკოკინგის უნივერიტეტი ლესოთოში | ლესოთო |
| | სამედიცინო მეცნიერებების ალიანსის საუნივერსიტეტო კოლეჯი | სამედიცინო მეცნიერებების ალიანსის საუნივერსიტეტო კოლეჯი ლონდონში | დიდი ბრიტანეთი |

| წარმომავლობის ქვეყანა | უნივერსიტეტის დასახელება | საზღვარგარეთის ფილიალი დასახელება | ფილიალის განთავსების ქვეყანა |
|-----------------------|--|---|---------------------------------------|
| სამხრეთ კორეა | ჰანიანგის უნივერსიტეტი | ჰანიანგის უნივერსიტეტის მაღაიზიის ფილიალი | მალაიზია |
| ინდოეთი | ტექნოლოგიებისა და მეცნიერების ბირლას ინსტიტუტი | ტექნოლოგიებისა და მეცნიერების ბირლას ინსტიტუტის პილანი- დუბაის ფილიალი | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| | ჯაიპურის ეროვნული უნივერსიტეტი | ჯაიპურის ეროვნული უნივერსიტეტის პერაკის ფილიალი | მალაიზია |
| | მანიპალის უნივერსიტეტი | მანიპალის საერთაშორისო უნივერსიტეტი | მალაიზია |
| | | მანიპალის საერთაშორისო უნივერსიტეტი დუბაიში | არაბთა გაერთიანებული საემიროები |
| ეგვიპტე | ალ-აქბარის უნივერსიტეტი | ალ-აქბარის უნივერსიტეტი დოპაში | ყატარი |

სხვა საკითხებთან ერთად, უცხოეთში ფილიალის გახსნას, თან სდევს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება, როგორიცაა პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა ფილიალში. ამისათვის უნივერსიტეტები ძირითადად იყენებენ სამ ძირითად მეთოდს: საკუტარი უნივერსიტეტის პროფესურის მოკლევადიან მივლინებებს ფილიალში, ადგილობრივი კადრების აყვანას და საერთაშორისო კადრების მოზიდვას¹¹¹. მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ნოტინგემის უნივერსიტეტი, რომელსაც სპეციალური მოდელი აქვს შემუშავებული პროფესორ-მასწავლებლებზე, თუ როგორ უნდა მოერგონ ისინი და პირიქით, როგორ უნდა შეუწყოს ხელი

¹¹¹Henard, F., Diamond, L., & Resevoir, D. (2012), Approaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institutional Practice: A Guide for Higher Education Institutions, OECD, გვ. 16

უნივერსიტეტმა მათ, რომ სწავლებისა და სწავლების სტილის ადაპტირება მოხდეს ადგილობრივ კულტურასთან¹¹².

2012 წლისთვის მსოფლიოში ოპერირებდა უნივერსიტეტების 200 ფილიალი. შორეულ აღმოსავლეთში ახალი ფილიალების გახსნა, საგანმანათლებლო რეგიონალური ცენტრების ჩამოყალიბება, როგორიცაა გაერთიანებულ არაბთა საემიროებში, ყატარში, მალაიზიაში და სხვ. წარმოადგენს ახალი ტენდენციებს ამ მიმართულებით¹¹³.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, მსოფლიოს მთავრობებმა ვაჭრობის ბარიერები მნიშვნელოვნად შეამცირეს, რამაც სტიმული მისცა საქონლისა და სერვისის გლობალურ მოძრაობას. აღნიშნული შექმნა ასევე განათლებასაც. მაგალითად, აშშ-ს სერვის-ექსპორტის პირველ ათეულში განათლების ექსპორტიცაა¹¹⁴.

2.3.3 ინტერნაციონალიზაცია ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამების მეშვეობით

თანამედროვე მსოფლიოში კოლაბორაციული, ანუ ორმაგი და ერთობლივი ხარისხის, პროგრამები უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის მზარდი ფორმაა. ერთობლივი ხარისხის პროგრამებში მოიაზრებენ ისეთ პროგრამებს, რომელიც ორი ან მეტი უნივერსიტეტის მიერ არის ერთობლივად შემუშავებული და მთლიანი კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი იდებს ამ უნივერსიტეტების მიერ ერთობლივად გაცემულ და ხელმოწერილ ერთ დიპლომს. ორმაგი ხარისხის პროგრამები კი გულისხმობს სტუდენტის მიერ ორ ან რამდენიმე უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტების პროგრამების ნაწილის გავლას, რომელიც რა თქმა უნდა წინასწარ აღიარებულია მონაწილე უნივერსიტეტების მიერ, და სწავლის ბოლოს ორი (ან ზოგჯერ მეტი) დიპლომის აღებას შესაბამისი სასწავლებლებიდან.

¹¹² Hughes, R. (2011), “Strategies for managing and leading an academic staff in multiple countries”, in J. Lane and K. Kinser (eds.) “Multinational colleges and universities: leading, governing, and managing international branch campuses”, New Directions for Higher Education, No. 155, Wiley, Hoboken, NJ, pp. 19-28.

¹¹³ Henard, F., Diamond, L., & Reseveare, D. (2012), Aproaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institutional Practice: A Guide for Higher Education Institutions, OECD, pg. 17.

¹¹⁴ Lane, J.E. and K. Kinser (2012), “MOOCs and the McDonaldization of global higher education”, The Chronicle of Higher Education, September 28, 2012.

ორმაგი ან ერთობლივი ხარისხის პროგრამების შემუშავება ძირითადად ორი პრინციპით ხდება:

- ა) ერთი და იგივე დონის უნივერსიტეტებს ერთნაირი ინტერესები ამოძრავებთ, და
- ბ) თითოეულ მონაწილე პარტნიორს გააჩნია სხვადასხვა ინტერესი: შედარებით უცნობი პარტნიორი უნივერსიტეტისათვის გაზარდოს მისი ბრენდის საერთაშორისო ცნობადობა და ამავე დროს მიიღოს დამატებითი შემოსავალი, მაშინ როდესაც მეორე უნივერსიტეტის მიზანი შეიძლება იყოს მისი უკვე ცნობილი ბრენდის ახალ საგანმანათლებლო ბაზარზე გატანა და გრძელვადიან პერსპექტივაში სწრაფად განვითარებად ქვეყანასთან სტრატეგიული ურთიერთობის ჩამოყალიბება¹¹⁵.

ორმაგ და ერთობლივ ხარისხის პროგრამებს ბევრი დადებითი მომენტი ახლავს თან როგორც უნივერსიტეტისათვის, ასევე მასში მონაწილე სტუდენტებისათვის, როგორიცაა კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების შანსების გაზრდა, მათი სწრაფი კარიერული ზრდა, რაც გამოწვეულია მათ მიერ მრავალხმრივ კულტურულ გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარით, ასევე უნივერსიტეტების ხარისხისა და სასწავლო პროგრამების მუდივი გაუმჯობესება¹¹⁶.

ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ის პრობლემური საკითხებიც, რაც ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამებს გააჩნიათ. პირველ რიგში ეს ენობრივი საკითხია. პარტნიორ უნივერსიტეტებში პრობლემაა მოიძებნოს ბევრი სტუდენტი, რომელიც პარტნიორი უნივერსიტეტის ენაზე შეძლებს სწავლას (თუ ეს ენა ინგლისური ენა არაა). გარდა ამისა, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა აკრედიტაციის სისტემა, რომელს ხდის კრედიტების და ხარისხის ურთიერთაღიარების პროცესს. ხშირად სტუდენტთა მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებში დაბალანსებული არ არის, და როგორც წესი უფრო ცნობილ უნივერსიტეტში ან განვითარებულ ქვეყანაში მეტი სტუდენტი მიდის, ვიდრე პირიქით¹¹⁷.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლო პრობლემებისა, ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამები პოპულარობით სარგებლობენ მსოფლიოში. ამის თქმისა და თანამედროვე ტენდენციების შეფასების საშუალებას გვაძლევს ბოლო

¹¹⁵Henard, F., Diamond, L., & Reseureare, D. (2012), Aproaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institutional Practice: A Guide for Higher Education Institutions, OECD, pg. 19.

¹¹⁶იქვე

¹¹⁷იქვე, გვ. 20

მონაცემები, რომლებიც მიმოიხილავს 2011 წლის მდგომარეობით არსებულ სიტუაციას მსოფლიოს მასშტაბით. მონაცემები მიღებულია საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტით თანამშრომლობით ჩატარებული პვლევის შედეგად. პრაქტიკულად ეს არის უახლესი მონაცემები, რომლებიც ამ მიმართულებით არის წარმოდგენილი დღეის მდგომარეობით. ინფორმაცია დამუშავებულია მსოფლიოს 28 ქვეყნის 245 უმაღლესი განათლების დაწესებულებებიდან მიღებული მონაცემების შედეგად. რესპონდენტების უმრავლესობა აშშ-დანაა (24%), გერმანია (23%), საფრანგეთი (15%), იტალია (6.5%), ავსტრალია (6%), დიდი ბრიტანეთი (4.5%). შესაბამისად, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ძნელია სრული სტატისტიკური მონაცემების მიღება, მაგრამ ის მკაფიოდ აჩვენებს თანამედროვე ტენდენციებს მსოფლიოში¹¹⁸.

უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა-84% უპირატესობას ანიჭებს ორმაგი ხარისხის პროგრამების შექმნას, მხოლოდ 33%-ს გააჩნია ერთობლივი ხარისხის პროგრამები. ასევე აღსანიშნავია, ის, რომ უნივერსიტეტები მომავალშიც გეგმავენ ასეთი კოლაბორაციული პროგრამების ჩამოყალიბებას. (იხ. ცხრილი 2.2).

ცხრილი 2.2: კოლაბორაციული პროგრამების არსებობა


| | |
|-------------------------------|-----|
| ერთობლივი ხარისხის პროგრამები | 33% |
| ორმაგი ხარისხის პროგრამები | 84% |
| პროგრამები დაგეგმვის სტადიაში | 68% |

წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

უმაღლესი განათლების დაწესებულებების უმრავლესობას ორმაგი და ერთობლივი პროგრამები შექმნილი აქვს სწავლების სამაგისტრო დონეზე- 53%, რაოდენობრივად მეორე ადგილზეა საბაკალავრო კოლაბორაციული პროგრამები- 28%, ხოლო სადოქტორო ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის პროგრამები შექმნილი აქვს 14%-ს. თუ დავაკვირდებით დიაგრამას 2.4, მკაფიოდ დავინახავთ, რომ სამაგისტრო კოლაბორაციული პროგრამები ორჯერ მეტია ერთად აღებულ სხვა დანარჩენ ერთობლივ და ორმაგი ხარისხის პროგრამებზე.

¹¹⁸Institute of International Education (2011): Report on International Survey.


დიაგრამა 2.4: კოლაბორაციული პროგრამების რაოდენობა აკადემიური საფეხურების მიხედვით



წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

რესპონდენტი უნივერსიტეტების უმრავლესობას (34%) ჰყავს 6-დან 15-მდე ერთობლივი პროგრამის სტუდენტი, მაშინ როცა ამავე რაოდენობის ორმაგი ხარისხის სტუდენტი ჰყავს დაახლოებით 27%-ს. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 6%-ს ჰყავს 45-ზე მეტი ერთობლივი პროგრამის სტუდენტი, მაშინ როცა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტი ჰყავს, რესპონდენტ უნივერსიტეტთა დაახლოებით 18%-ს (იხ. დიაგრამა 2.5).

დიაგრამა 2.5: რესპონდენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებმაც დაასახელეს კოლაბორაციულ პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა



წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

იმ ქვეყნებს, შორის რომელთა უნივერსიტეტებთან რესპონდენტი უმაღლესი სასწავლებლები აარსებდნენ კოლაბორაციულ პროგრამებს პირველ ათეულს იკავებენ საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია, ესპანეთი, აშშ, იტალია, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, პოლონეთი, შვედეთი (ცხრილი 2.3). აღსანიშნავია, რომ ამ ერთობლივი და ორმაგი ხარისხების პროგრამების 49%-ის სასწავლო ენაა ინგლისური. დანარჩენ ენებზე პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირია: ფრანგული – 16%, გერმანული-13%, ესპანური-8%, იტალიური-6%¹¹⁹.

ცხრილი 2.3: რესპონდენტი უნივერსიტეტების მიერ კოლაბორაციული ხარისხების დაარსების ქვეყნების პირველი ათეული

| | |
|----|-------------------------|
| 1 | საფრანგეთი |
| 2 | ჩინეთი |
| 3 | გერმანია |
| 4 | ესპანეთი |
| 5 | აშშ |
| 6 | იტალია |
| 7 | ნიდერლანდები |
| 8 | გაერთიანებული სამეფო |
| 9 | პოლონეთი |
| 10 | შვედეთი |

წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

რესპონდენტების რაოდენობის მიხედვით ქვეყნების პირველი ხუთეულის უნივერსიტეტების მიერ დასახელებული პარტნიორი უნივერსიტეტების პირველი ხუთეული მოცემულია ცხრილში 2.4. თუ არ ჩავთვლით აშშ-ს უნივერსიტეტებს გამონაცემისის სახით, უმაღლესი განათლების დაწესებულებები ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამების ჩამოსაყალიბებლად უპირატესობას ანიჭებენ გეოგრაფიულად და კულტურულად უფრო ახლოს მყოფ ქვეყნებს.

¹¹⁹Institute of International Education (2011): Report on International Survey.


ცხრილი 2.4: ხუთი ყველაზე მაღალი გამოხმაურების ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების კოლაბორაციული პროგრამების პირველი ხუთეული ქვეყნების მიხედვით

| | იტალია | საფრანგეთი | გერმანია | ავსტრალია | აშშ |
|---|--------------|-------------------|----------------|------------|------------|
| 1 | საფრანგეთი | გერმანია | საფრანგეთი | ჩინეთი | ჩინეთი |
| 2 | ესპანეთი | ესპანეთი | ესპანეთი | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 3 | გერმანია | იტალია | აშშ | გერმანია | თურქეთი |
| 4 | ნიდერლანდები | ჩინეთი | დიდი ბრიტანეთი | ინდონეზია | გერმანია |
| 5 | აშშ | დიდი ბრიტანეთი | ნიდერლანდები | სინგაპური | ინდონეთი |

წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

რესპონდენტ უნივერსიტეტებში გამოკითხვის დროს დაფიქსირდა ქვეყნები, რომლებთანაც ყველაზე მჭიდრო და ხშირი თანამშრომლობა აქვთ აღნიშნულ უნივერსიტეტებს. სის სათავეში არიან საფრანგეთი, ჩინეთი, გერმანია, ესპანეთი, აშშ (იხ. დიაგრამა 2.6).


დიაგრამა 2.6: კვლევაში მინაწილე ქვეყნების მიხედვით პარტნიორ ქვეყნებად დასახელების რაოდენობა



წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

ორმაგი და ერთობლივი პროგრამების ძირითად დისკიპლინებს წარმოადგენენ ბიზნესი და მენეჯმენტი (გამოკითხულთა 47.3%), საინჟინრო დისკიპლინები (39.2%), სოციალური მეცნიერებები (26.5%), მათემატიკა და კომპიუტერული მეცნიერებები (25.3%, იხ. დიაგრამა 2.7).


დიაგრამა 2.7: აკადემიური დისკიპლინები, რომლებსაც სთავაზობენ კოლაბორაციული პროგრამები (კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტთა პროცენტული რაოდენობა)



წერო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

თუ შევადარებთ დიაგრამებს 2.7 და 2.8, ადვილად შევამჩნევთ, რომ სასურველ მომავალ ორმაგი და ერთობლივი ხარისხების პროგრამების შემუშავებაში დღევანდელი ტენდენციები შენარჩუნებული იქნება. აღნიშნული პროგრამების დოსტიპების არჩევანში დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

დიაგრამა 2.8: აკადემიური დისციპლინები, რომლებსაც მიიჩნევენ სასურველად
მომავალი კოლაბორაციული პროგრამებისათვის (კვლევაში მონაწილე
უნივერსიტეტთა პროცენტული რაოდენობა)




წერტილი: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამების მენეჯმენტის საკითხისათვის მნიშვნელოვანია, თუ ვინ ახდენს ამ პროგრამების ინიცირებას. გამოკითხულ უნივერსიტეტთა მხოლოდ 16% ახდენს ცენტრალიზებულ მიდგომას და ამ პროგრამებს აყალიბებებს უმაღლესი განათლების დაწესებულების მმართველობის შეხედულებისამებრ. 41%-ის შემთხვევაში ინიციატორი არიან პროფესორ-მასწავლებლები, და 43% უნივერსიტეტებისა ინიცირებენ და ახორციელებენ ამ პროგრამებს ინსტიტუციონალური ყველა დონის ჩართულობით (იხ. დიაგრამა 2.9).

დიაგრამა 2.9: ორმაგი და ერთობლივი ხარისხის

პროგრამების ინიცირების წყარო




წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

ინიცირების გარდა, მნიშვნელოვანი თემაა, თუ როგორ ხდება უშუალოდ ამ პროგრამების ჩამოყალიბების ჩამოსაყალიბებლად პარტნიორი უნივერსიტეტების შერჩევა. უნივერსიტეტების უმრავლესობისათვის (61.6%), ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამების ჩამოყალიბება უკვე არსებულ პარტნიორებთან, რომლებთანაც აკავშირებთ გაცვლითი პროგრამები. უნივერსიტეტების 53.6% ამ პროგრამების ჩამოსაყალიბებლად იყენებს პროფესორ-მასწავლებლების კონტაქტებს, 43.7%-ისათვის ეს სტრატეგიული გადაწყვეტილებაა ახალი პარტნიორის მოძიების და თანამშრომლობის შესახებ, მხოლოდ 23.7% აღნიშნავს, რომ ორმაგი ხარისხის პროგრამები მათი უცხოური პარტნიორების მიერ არის ინიცირებული (იხ. დიაგრამა 2.10).


უნივერსიტეტების 59% აღნიშნავს, რომ კოლაბორაციული პროგრამებისათვის დამატებითი ადმინისტრაციული სტრუქტურა არ დასჭირდებიათ (იხ. დიაგრამა 2.11).

დიაგრამა 2.10: უნივერსიტეტების მიერ ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამებისათვის პარტნიორების შერჩევის მეთოდი



წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

დიაგრამა 2.11: ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამების აღმინისტრირებისთვის დამატებითი სტრუქტურის შექმნა




წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რას თვლიან უნივერსიტეტები თორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამების მიერ მოხდენილ ზეგავლენად მათ

საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე. მხოლოდ მცირე ნაწილი-5.7% მიიჩნევს, რომ კოლაბორაციულ პროგრამებს მათზე განსაკუთრებული ზეგავლენა არ მოუხდებია, მაშინ როცა გამოკითხული უნივერსიტეტის უმრავლესობა სხვადასხვა ფაქტორს ასახელებს, როგორც ამ პროგრამების ზეგავლენას, როგორიცაა პროფესორ-მასწავლებელთა გაზრდილი თანამშრომლობა (55.9%), უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ზრდა (54.3%), უნივერსიტეტის გაზრდილი ინტერნაციონალიზაცია (45.3%), სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება-განვითარება (37.6%), და ა.შ. (იხ. დიაგრამა 2.12).

დიაგრამა 2.12 კოლაბორაციული პროგრამების ზეგავლენა საუნივერსიტეტო საქმიანობაზე




წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

როდესაც საუბარია უნივერსიტეტების სამომავლო გეგმებზე ორმაგ და ერთობლივ პროგრამებთან მიმართებაში, მათი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ სურთ

ჰქონდეთ ორივე, როგორც ერთობლივი, ასევე ორმაგი ხარისხის პროგრამები, 40% ანიჭებს უპირატესობას მხოლოდ ორმაგი ხარისხის პროგრამებს, ხოლო 5% მხოლოდ ერთობლივი ხარისხის პროგრამებს (იხ. დიაგრამა 2.13).


დიაგრამა 2.13: უნივერიტეტების სამომავლო გეგმები ორმაგ და ერთობლივ პროგრამებზე



წერტილი: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

ორმაგი და ერთობლივი ხარისხის სამომავლო გეგმები თითქმის უცვლელად ტოვებს დღევანდელ ტენდენციას სწავლების საფეხურების მიხედვით სამომავლოდ ასეთი სახის პროგრამების ჩამოსაყალიბებლად. უმეტესობა უნივერსიტეტებისა (76.7%) ისევ მომხრეა იმისა, რომ ეს ბპროგრამები ჩამოყალიბდეს სამაგისტრო დონეზე, 44.5%-ს მიაჩნია, რომ კოლაბორაციული პროგრამები იყოს საბაკალავრო დონეზეც, ხოლო 39.2%-ს სურს ასეთი პროგრამები სადოქტორო დონეზეც ჰქონდეს (იხ. დიაგრამა 2.14).

დიაგრამა 2.14: მომავალი ერთობლივი და ორმაგი პროგრამებისათვის სასურველი აკადემიური საფეხურები



წყარო: საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი

როგორც დავინახეთ, მიუხედავად იმისა, რომ კოლაბორაციული პროგრამები, როგორიცაა ორმაგი და ერთობლივი ხარისხის პროგრამები, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მხოლოდ ერთ-ერთი მიმართულებაა და სტუდენტთა დიდი კონტინგენტით არ გამოირჩევიან, ისინი უდაოდ დიდ მნიშვნელობას იძენენ უნივერსიტეტის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. აღმიშნული პროგრამები საშუალებას აძლევს პროფესორ-მასწავლებლებს განავითარონ უცხოელ კოლეგებთან კავშირ-ურთიერთობები, მოზიდავს უცხოელ სტუდენტებს და საუკეტესო ადგილობრივ სტუდენტებს, ზრდის უნივერსიტეტის ბრენდის ცნობადობის დონეს საერთაშორისო მასშტაბით და ა.შ.

2.3.4 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო ქსელების (ასოციაციების) მეშვეობით

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტია საერთაშორისო ქსელებში უნივერსიტეტების გაწევრიანება. საერთაშორისო ქსელებში იგულისხმება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციები, ორგორიცად ასოციაციები, ორგანიზაციები, კავშირები და სხვ. ასეთი ტიპის ორგანიზაციები ეხმარებიან მათში გაწევრიანებულ უნივერსიტეტებს სხვადასხვა მიზნის მიღწევაში.

საერთაშორისო ქსელები სხვადასხვა პრინციპით იქმნებიან, მათ შორის შესაძლოა მოვიაზროთ გეოგრაფიული არეალი, პროფესიული მიმართულებები და სხვ. ძირითადი მიზანი, რის გამოც აღნიშნულ ქსელებში წევრიანდებიან უნივერსიტეტები, შემდეგია:

- სხვა უნივერსიტეტებთან კავშირურთიერთობების დამყარება;
- პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლების ხელშეწყობა;
- სასწავლო მასალებისა და პრაქტიკის ურთიერთგაცვლა;
- ერთმანეთის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღება;
- ერთობლივი პროგრამების შემუშავება და სხვ. ¹²⁰

მნელია იმის თქმა თუ რამდენი საერთაშორისო ქსელია უმაღლეს განათლებაში სულ მსოფლიოს მასშტაბით და ზუსტი სტატისტიკაც არ არსებობს, იმის გამო რომ, თვით საერთაშორისო სქელების დეფინიცია არის აღქმული სხვადასხვანაირად. ერთი საერთაშორისო სქელად თვლიან ორგანიზაციას, რომელიც მხოლოდ მთელ მსოფლიოში ოპერირებს, მეორენი მიიჩნევენ, რომ რეგიონის ფარგლებში მოქმედი ორგანიზაციებიც უნდა განიხილებოდნენ საერთაშორისო ქსელებად. აქ აუცილებლად ჩავთვალეთ დაგვეფიქსირებინა, რომ მასშტაბებს შესაძლოა მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა პქონდეს, ვიდრე ქსელის ქმედითუნარიანობას, ანუ იმის ცოდნას თუ რა სარგებელი მოაქვთ ასეთი ტიპის ორგანიზაციებს მასში გაწევრიანებული

¹²⁰Henard, F., Diamond, L., & Resevoir, D. (2012). Approaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institutional Practice: A Guide for Higher Education Institutions, OECD.

უნივერსიტეტებისათვის. როგორც აღვნიშნეთ, უმაღლესი განათლების დაწესებულებების ქსელების ერთიანი სია არ არსებობს, შესაბამისად ქვემოთ მოვიყვანო, ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალას და მაგალითებს, რომლებიც ძირითადად ამ ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზეა გამოქვეყნებული.

უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაცია (International Association of Universities (IAU) დაარსდა 1950 წელს იუნესკოს ბაზაზე და ის წარმოადგენს უმაღლესი განათლების დაწესებულებების მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც 2014 წლის 16 ივნისის მონაცემებით¹²¹აერთიანებს 624 უნივერსიტეტს მსოფლიოს 120 ქვეყნიდან. ამ ორგანიზაციის წევრთა შორისაა საქართველოს 5 უნივერსიტეტი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ასევე 2 უნივერსიტეტი სომხეთიდან, 2 უნივერსიტეტი აზერბაიჯანიდან, 23 უნივერსიტეტი რუსეთიდან და 24 უნივერსიტეტი თურქეთიდან. ორგანიზაციის მთავარი ოფისი მდებარეობს იუნესკოს შტაბბინაში, პარიზში. ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:

- უმაღლესი განათლების წვდომის უზრუნველყოფა;
- კულტურათაშორისი დიალოგი;
- ეთიკა უმაღლეს განათლებაში;
- სადოქტორო პროგრამები;
- ინტერნაციონალიზაცია;
- მდგრადი განვითარება;
- უმაღლესი განათლება ‘განათლება ყველასათვის’ პროგრამის ფარგლებში¹²².

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ასოციაცია კოორდინაციას უწევს სახვადასხვა კონფერენცია-სემინარს, თემატურ შეხვედრებს, გამოსცემს მასალებს, უურნალებს, აკადემიურ სტატიებს, უზრუნველყოფს საინფორმაციო ცენტრის

¹²¹<http://www.iau-aiu.net/content/institutions> [1.07.2014]

¹²²<http://www.iau-aiu.net/content/efamdgs> [1.07. 2014]

მუშაობას, უწყობს ხელს უნივერსიტეტებს მეცნიერ-თანამშრომელთა და პროფესორ-მასწავლებელთა დასაქმებას წევრ უნივერსიტეტებში¹²³, ¹²⁴.

უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაცია (The International Association of University Presidents (IAUP) წარმოადგენს უნივერსიტეტების უმაღლეს თანამდებობის პირთა მსოფლიო ასოციაციას. ასოციაციის წევრობა შეზღუდულია და ნებადართულია მხოლოდ იმ პირთათვის, რომლებიც წარმოადგენენ რეგიონალურ დონეზე აკრედიტირებული უნივერსიტეტების პრეზიდენტებს, რექტორებს ან ვიცე-პრეზიდენტებს. ასოციაცია შეიქმნა 1964 წელს და მისი საქმიანობის მიზანია:

- უნივერსიტეტების ლიდერებს შორის კოლაბორაციისა და გამოცდილების გაზიარების გაზრდა;
- უნივერსიტეტების ლიდერებისათვის მსოფლიოს მასშტაბით კარგად ინფორმირებული ფორუმის უზრუნველყოფა;
- უმაღლესი განათლების გლობალური ხედვის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- მთელი მსოფლიოს მასშტაბით უნივერსიტეტების საერთაშორისო მისის გაძლიერება;
- გააკეთოს ყველაფერი, რომ განათლების ლიდერების ხმა დაფიქსირდეს;
- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- ხელი შეუწყოს მშვიდობას და საერთაშორისო გაგებას განათლების მეშვეობით.

უნივერსიტეტების პრეზიდენტების საერთაშორისო ასოციაციას გააჩნია უმაღლესი საკონსულტაციო უფლებები გაეროში და ოფიციალური საკონსულტაციო უფლებები იუნესკოში¹²⁵.

2014 წლის 1 ივლისის მონაცემებით, ასოციაციის წევრია მსოფლიოს 344 უნივერსიტეტის რექტორი და პრეზიდენტი, მათ შორის ორი წევრი საქართველოდან, კავკასიის უნივერსიტეტისა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტები, ერთი სომხეთიდან, ერთი აზერბაიჯანიდან, ორი თურქეთიდან და ორი რუსეთიდან¹²⁶.

¹²³<http://www.iau-aiu.net/content/events> [1.07.2014]

¹²⁴<http://www.iau-aiu.net/content/servicespublications> [1.07.2014]

¹²⁵<http://iaup.org/about-iaup/what-is-iaup> [1.07.2014]

¹²⁶<http://iaup.org/membership/member-list> [1.07.2014]

ორგანიზაცია რეგულარულად აწყობს რექტორთა შეხვედრებს, კონფერენციებს, რეგიონალურ სამიტებს, სამუშაო ჯგუფებს და სხვ.¹²⁷

ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (European University Association (EUA)) წარმოადგენს უნივერსიტეტების საერთო ევროპულ პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც ასოციაცია პარტნიორობას უწევს ევროპაში უმაღლესი საზოგადოებრივი პოლიტიკის შემქნელ ორგანოებს, რომლებთანაც უნივერსიტეტებს გააჩნიათ საკუთარი როლი. ასოციაციის პრიორიტეტებია:

- საერთო ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ჩამოყალიბება პოლონიის პროცესის ხელშეწყობით;
- კვლევა და ინოვაციები;
- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და კვლევა;
- ევროპული უმაღლესი განათლების დაწესებულებების ხარისხის ამაღლება;
- ხელმძღვანელობა, ავტონომიურობა და დაფინანსება¹²⁸.

ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტების განსახორციელებლად ასოციაცია გააჩნია მიმდინარე პროექტები სხვადასხვა მიმართულებებით, როგორიცაა:

- სწავლა და სწავლება:
 - o მობილობის პოლიტიკა და პრაქტიკა;
 - o ასოციაციის ტრენდების პროექტი.
- კვლევა და ინოვაცია:
 - o სადოქტორო განათლების ინტერნაციონალიზაციის ჩარჩო;
 - o უნივერსიტეტების მოდერნიზაციის პრაქტიკის გაზიარება;
 - o პასუხისმგებლიანი პარტნიორობა.
- ინტერნაციონალიზაცია-ევროპული უნივერსიტეტები გლობალურ კონტექსტში:
 - o სადოქტორო განათლების ინტერნაციონალიზაციის ჩარჩო, უნივერსიტეტების ასოციაციების შესაძლებლობათა გამჯობესება ლათინური ამერიკის რეგიონალური ინტეგრაციისათვის;
 - o უმაღლესი განათლების სექტორში აკადემიური კავშირებისა სტრატეგიების ჩამოყალიბება.

¹²⁷<http://iaup.org/> [1.07.2014]

¹²⁸<http://www.eua.be/eua-work-and-policy-area.aspx> [3.07.2014]

- ხარისხის უზრუნველყოფა და გამჭირვალობა:
 - ინსტიტუციონალური სტრატეგიებისა და პროცესების რეიტინგები;
 - უნივერსიტეტების გაძლიერება მათი ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობის დასაცავად.
- ხელმძღვანელობა, ავტონომიურობა და დაფინანსება:
 - ევროპაში უმაღლესი განათლების დაფინანსების სტრატეგიების ჩამოყალიბება;
 - აღმოსავლეთ სამეზობლო სივრცეში მდგრადი და ავტონომიური უმაღლესი განათლების სისტემების ხელშეწყობა;
 - უნივერსიტეტების მოდერნიზაციის ინოვაციური პრაქტიკის გაზიარება;
 - დაფინანსების ფორუმი¹²⁹.

2014 წლის 3 ივნისის მონაცემებით, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციაში გაერთიანებულია 840 წევრი 47 ქვეყნიდან, მათ შორის 4 უნივერსიტეტი საქართველოდან: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, 63 უნივერსიტეტი თურქეთიდან, 23 უნივერსიტეტი რუსეთიდან, 2 უნივერსიტეტი სომხეთიდან და 2 უნივერსიტეტი აზერბაიჯანიდან¹³⁰.

გარდა აღნიშნული გლობალური და ევროპული ასოციაციებისა და ქსელებისა, უნივერსიტეტები და ხშირ შემთხვევაში მათი ცალკეული ფაკულტეტები და სკოლები გაერთიანებული არიან რეგიონალურ თუ გლობალურ ორგანიზაციებში, რომლების ან ვიწრო რეგიონის ან ვიწრო სპეციალობების მიხედვით არიან ჩამოყალიბებული. ქვემოთ მოყვანილი ასოციაციები და ორგანიზაციები ხელს უწყობენ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესებს. ნაწილი მათგანი ხელს უწყობს წევრ უნივერსიტეტებს შორის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლებს, კვლევებს, ერთობლივ პროექტებს, ხარისხის უზრუნველყოფაში თანამშრომლობას. ზოგიერთი ასოციაცია აწარმოებს ცალკეული სპეციალობების ან ფაკულტეტების საერთაშორისო აკრედიტაციას. ქვემოთ მოცემულია ჩამონათვალი იმ რეგიონალური და პროფესიული ნიშნით შექმნილი ორგანიზაციების და

¹²⁹<http://www.eua.be/eua-projects/> [3.07.2014]

¹³⁰<http://www.eua.be/eua-membership-and-services/Home.aspx> [3.07.2014]

ასოციაციებისა, რომელთა წევრებიც ქართული უმაღლესი სასწავლებლები ან მათი ცალკეული ფაკულტეტები არიან:

- ცენტრალური და აღმოსავლეთ ეკონომიკური მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია¹³¹;
- ბალტიის მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია¹³²;
- მენეჯმენტის განვითარების ეკონომიკული ფონდი¹³³;
- ეკონომიკის სამართლის ფაკულტეტების ასოციაცია¹³⁴;
- შავი ზღვის აუზის უნივერსიტეტების ქსელი¹³⁵;
- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაცია¹³⁶;
- ფრანკოფონური უნივერსიტეტების ასოციაცია¹³⁷;
- ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია¹³⁸;
- სამართლის სკოლების საერთაშორისო ასოციაცია¹³⁹;
- ეკონომიკის საჯარო სამართლის ცენტრი¹⁴⁰;
- პოლიტიკური კვლევების ეკონომიკული კონსორციუმი¹⁴¹;

ჩამოთვლილი ასოციაციები და ცენტრები აქტიურ როლს თამაშობენ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესში: ეხმარებიან მათ ერთმანეთთან კომუნიკაციების დამყარებაში მუდმივი დიალოგის მეშვეობით ასევე სპეციალურად შექმნილი პროექტების, პროგრამებისა და საერთაშორისო სააკრედიტაციო მოთხოვნების შესაბამისად.

¹³¹<http://www.ceeman.org/>

¹³²<http://www.bmda.net/BMDA/>

¹³³<http://www.efmd.org/>

¹³⁴<http://elfa-afde.eu/>

¹³⁵<http://www.bsun.org/?task=homepage&web=bsun>

¹³⁶<http://www.enqa.eu/>

¹³⁷<http://www.auf.org/>

¹³⁸<http://www.nibes.org/>

¹³⁹<http://www.ialsnet.org/>

¹⁴⁰[http:// www.eplc.gr/](http://www.eplc.gr/)

¹⁴¹<http://www.ecpr.eu/>

2.3.5 აკადემიური გაცვლები

ჯერ კიდევ 2001 წელს ალბახი და ტეიჩლერი აღნიშნავდნენ, რომ აკადემიური გაცვლები მეოცე საუკუნის უმაღლესი განათლების ინოვაციად შეიძლება შეფასებულიყო¹⁴². აკადემიური გაცვლები, რაც გულისხმობს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გაცვლებს, ხელს უწყობს არა მარტო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესს, არამედ ის წარმოადგენს საშუალებას პიროვნული და პროფესიული განვითარების კუთხითაც. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა აყალიბებს სტუდენტების პერსონალურ თვისებებს, რაც გამოიხატება სხვა კულტურის გაზიარებას და საკუთარი კულტურის დაფასებას, მატერიალური ღირებულებების სულიერი ღირებულებებით ჩანაცვლებას და სხვადასხვა კულტურულ გარემოში ადაპტირების გაუმჯობესებას¹⁴³.

გაცვლითი პროგრამები, რომლებიც არ ითვალისწინებენ ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის პროგრამების ჩამოყალიბებას და ასეთი ხარისხების მინიჭებას, უფრო მარტივია დასაფუძნებლად და მისი მენეჯმენტიც არ მოითხოვს დამატებით ძალისხმევას, როგორიცაა აკრედიტაცია, სწავლების საფასურის დადგენა და ა.შ. როგორც წესი, სტუდენტთა გავცლითი პროგრამები გულისხმობენ ერთი ან ორი სემესტრით სტუდენტის სასწავლო მივლინებას საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტში და მის მიერ მიღებული კრედიტების აღიარებას და ჩათვლას ძირითადი ხარისხის გამცემი უნივერსიტეტის კრედიტების რაოდენობაში. უმეტეს შემთხვევაში, გაცვლითი პროგრამის სტუდენტები არ იხდიან სწავლის გადასახადს მასპინძელ უნივერსიტეტში.

გაცვლითი პროგრამების ჩამოყალიბების და განხორციელების რამოდენიმე ფორმა არსებობს, მათ შორისაა ორმხრივი ურთიერთობები უნივერსიტეტებს შორის, მრავალმხრივი ურთიერთობები, რომლებიც ორგანიზებულია ამა თუ იმ ასოციაციაში

¹⁴² Altbach P.G. & Teichler, U., 2001. Internationalisation and exchanges in a globalized university. *Journal of Studies in International Education*, spring, 5(1), გვ. 5-25.


¹⁴³ Hansel, B. & Grove, N., 1986. International student exchange programmes—are the educational benefits real? *NASSP Bulletin*. February, 70(487), გვ. 84-90.

წევრობით, და სპეციალურ პროექტებში მიონაწილეობით, რომლების უმუალოდ აკადემიურ გაცვლებს ემსახურებიან.

მიუხედავად იმისა, რომ გაცვლითი პროგრამები, განსაკუთრებით სტუდენტთა გაცვლები, ითვლება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, გლობალური სტატისტიკური მონაცემები სტუდენტთა ან პროფესორ მასწავლებელთა გაცვლებზე მწირია, ეს ეხება განსაკუთრებით ორმხრივი ურთიერთობებით ჩამოყალიბებულ გაცვლებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობას გაცვლით პროგრამებზე დეტალური ინფორმაცია განთავსებული აქვთ საკუთარ ვებგვერდებზე, რაც დასტურია იმისა, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის აკადემიური გაცვლები პრიორიტეტს წარმოადგენს.

ამ თავში საერთაშორისო გაცვლების ტენდენციების შეფასების მიზნით მაგალითის სახით მოტანილია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის ცვლილების დინამიკა წლების მიხედვით. გრაფიკი 2.1 გვიჩვენებს 2004-2005 სასწავლო წლიდან 2012-2013 სასწავლო წლის ჩათვლით უცხოელი გაცვლითი პროგრამების სტუდენტების რაოდენობას. უცხოელი გაცვლითი სტუდენტების რაოდენობა აშშ-ში პერმანენტულად ზრდადია და ბოლო პერიოდისათვის ის დაახლოებით 30 000 სტუდენტს შეადგენს.

გრაფიკი 2.1: უცხოელი გაცვლითი პროგრამების სტუდენტების რაოდენობა აშშ-ში სასწავლო წლების მიხედვით




წერთ: საერთაშორისო საგანმანათლებლო მობილობის სტანდარტების საბჭო (CSIET)¹⁴⁴

¹⁴⁴<http://www.csiet.org/documents/CSIETStatsReport2012-13-FINAL.pdf>

საპირისპირო ტენდენციაა გაცვლითი პროგრამების ამერიკელი სტუდენტების მონაწილეობის თვალსაზრისით საზღვარგარეთის ქვეყნების უნივერსიტეტებში. მათი რაოდენობა აშკარად კლებადია ანალოგიურ პერიოდში (იხ. გრაფიკი 2.2).

გრაფიკი 2.2: ამერიკელი გაცვლითი პროგრამების სტუდენტების რაოდენობა საზღვარგარეთ სასწავლო წლების მიხედვით



წყარო: საერთაშორისო საგანმანათლებლო მობილობის სტანდარტების საბჭო (CSIET)¹⁴⁵

ასევე თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გაცილებით დიდი რაოდენობის გაცვლითი პროგრამების სტუდენტების იღებს უცხოეთიდან, ვიდრე თვითონ აგზავნის საზღვარგარეთ. მიუხედავად, იმისა, რომ სადისერტაციო კვლევა ამ დისბალანსის მიზეზების დადგენას არ ისახავს მიზნად, მაინც ვფიქრობთ ეს გამოწვეულია ამერიკელი სტუდენტების და ზოგადად ამერიკელების ნაკლები მიდრეკილებით საზღვარგარეთ მოგზაურობის ან განათლების მიღებისა. თუმცა ეს მონაცემები, შესაძლოა გამოადგეს ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებიც ცდილობენ პრიორიტეტების დადგენას, თუ რომელ ქვეყნებთან არის შესაძლო გაცვლითი პროგრამების წარმატებით განხორციელება.

სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლებისთვის მძლავრ პლატფორმას წარმოადგენს ევროკავშირის პროგრამა ‘ერასმუსი’. ეს პროგრამა განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენი კვლევისთვის, რადგან ევროკავშირის ტერიტორიული სიახლოეს საქართველოსთან და 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება იძლევა ფართომასშტაბიანი

¹⁴⁵<http://www.csiet.org/documents/CSIETStatsReport2012-13-FINAL.pdf>

თანამშრომლობის საშუალებას უმაღლესი განათლების სფეროში, მათ შორის აკადემიური გაცვლების სფეროში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს უკროკავშირის გარკვეული პროგრამებით სარგებლობა აქამდეც შეეძლოთ. ეს თემა დეტალურად განხილულია მესამე თავში.

‘ერასმუსის’ პროგრამა წარმოადგენს უკროპელ სტუდენტთა გაცვლით პროგრამას, რომელიც დაარსდა 1987 წელს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ საშუალება პროგრამაში მონაწილე 33 უკროპული ქვეყნის უნივერსიტეტში ისწავლოს 3 თვიდან მაქსიმუმ 12 თვემდე. 2007 წლიდან ერასმუსის პროგრამა უკროკავშირის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლების პროგრამის ნაწილია. ეს უკანასკნელი ასევე მოიცავს კომენიუსის, გრუნდტვიგის და ლეონარდო დავინჩის პროგრამებს. აღსანიშნავია რომ ეს პროგრამა მოიცავდა 2007-2013 წლების პერიოდს, რაც ჩანაცვლდა ერასმუს+ პროგრამით შემდგომში. ეს უკანასკნელი მეტ შესაძლებლობებს სთავაზობს სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, უნივერსიტეტებს და ის მოიცავს 2014-2020 წლების პერიოდს.

ერასმუსის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები იღებდნენ სასწავლო გრანტს, რათა არ გადაეხადათ სწავლების გადასახადი მასპინძელ ევროპულ უნივერსიტეტებში. საუკეთესო პირობა სტუდენტისათვის და მოთხოვნა ძირითადი უნივერსიტეტის მიმართ იყო, იმ კრედიტების სრულად აღიარება, რომლებსაც სტუდენტი იღებდა საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში. 2007-2013 წლებში ერასმუსის პროგრამისთვის უკროკავშირს გამოყოფილი ჰქონდა 3.1 მილიარდი ევრო. როგორც აღვნიშნეთ, პროგრამაში მონაწილეობდა სულ 33 ქვეყანა, მათ შორის 28 უკროკავშირის წევრი და ასევე ნორვეგია, ისლანდია, ლიბერტეტინი, შვეიცარია და თურქეთი. ბოლო საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2011-2012 წლებს, შესაბამისად აქ მოყვანილი უახლესი მონაცემები ამ პერიოდს მოიცავს. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა ამ პერიოდის განმავლობაში 80-ჯერ იყო გაზრდილი 250000 სტუდენტით და 46000 პერსონალით¹⁴⁶.


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერასმუსის პროგრამაში 252827 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, აქედან 204744 იმყოფებოდა სასწავლო გაცვლითი

¹⁴⁶ უკროკომისია, 2013. On the way to Erasmus+: A Statistical Overview of the Erasmus Programme in 2011-2012. გვ. 8.

პროგრამებით, ხოლო სტაჟირებაზე - 46053. ადსანიშნავია, რომ სტუდენტების ამგარი მობილობის საშუალო ხანგრძლივობა იყო 5,9 თვე. რაოდენობრივად ყველაზე მეტი სტუდენტი ერასმუსის პროგრამით გააგზავნეს ესპანეთში (38553 სტუდენტი), გერმანიაში (34690), საფრანგეთში (32691), იტალიაში (23325) და პოლონეთში (15353). თუმცა, ამავე დროს ერასმუსის პროგრამაში მონაწილეების რაოდენობას თუ შევადარებო სტუდენტთა მთლიან კონტიგენტს, ერასმუსის პროგრამაში ლიდერი გამგზავნი ქვეყნებია ლუქსემბურგი (424 სტუდენტი), ლიხტენშტეინი (21), ლატვია (2315), ესპანეთი (38553), ლიტვა (3752). რაც შეეხება ერასმუსის სტუდენტების მიმღებ ქვეყნებს, აქ ლიდერობენ ესპანეთი (მთელი ერასმუსის სტუდენტების 15.5%), საფრანგეთი (11.5%), გერმანია (11%), დიდი ბრიტანეთი (10.2%), და იტალია (8%). საინტერესოა, რომ ამ პროგრამით მოსარგებლე სტუდენტთა 68% ბაკალავრიატის სტუდენტია, 28% - სამაგისტრო პროგრამების, ხოლო 1% - სადოქტორო პროგრამების სტუდენტია. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა, რომელთა სტუდენტებმა ისარგებლეს ერასმუსის პროგრამით ამ პერიოდში შეადგენს 3189-ს¹⁴⁷. დიაგრამა 2.15-დან მკაფიოდ ჩანს, რომ სტუდენტთა მობილობის ერთმილიონიანი ნიშნულის მიღწევას 17 წელი დასჭირდა, მაშინ როცა შემდეგი მილიონი მხოლოდ 6 წელიწადში დაემატა, და შემდეგ 4 წელიწადში, ანუ 2013 წლისთვის, მოსალოდნელი იყო უკვე სამმილიონიანი ნიშნულის მიღწევა.

¹⁴⁷ ევროკომისია, 2013. On the way to Erasmus+: A Statistical Overview of the Erasmus Programme in 2011-2012. გვ. 9

დიაგრამა 2.15: ერასმუსის პროგრამით სტუდენტთა მობილობის დინამიკა



წყარო: ევროკომისია, 2013. ერასმუსის პროგრამის სტატისტიკური ანგარიში.

აშკარაა, რომ ევროკავშირის ხელშეწყობით და დაფინანსებით, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები სულ უფრო პოპულარული ხდება ევროპის მასშტაბით და პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა მუდმივად ზრდადია. ერასმუსის პროგრამის ფარგლებში 2007 წელთან შედარებით 2011-2012 წლებში სტუდენტთა მობილობის რეკორდული ზრდა დაფიქსირდა ლატვიაში – 85%, კვიპროსში – 69%, თურქეთში – 66%¹⁴⁸. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ერასმუსით პროგრამით მიღებული სტუდენტების რაოდენობის ზრდით 2007 წელთან შედარებით ლიდერობენ ლატვია (128%), ბულგარეთი (104%), პოლონეთი (102%), სლოვაკეთი (82%), ლიტვა (78%), და ესტონეთი (75%)¹⁴⁹. აშკარაა, რომ ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნები ძალიან აქტიურობენ, როგორც საკუთარი სტუდენტების გასაგზავნად გაცვლითი პროგრამებით, ასევე უცხოელი სტუდენტების მისაღებად.

ერასმუსის პროგრამით სტუდენტთა გაცვლით პროგრამაში მონაწილეები მასპინძელ უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადს არ იხდიან. უფრო მეტიც, თითოეული გათვალი იღებს ერასმუსიდან დამატებით სტიპენდიას, საშუალოდ 250 ევროს თვეში. შტოპენდიის ოდენობა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ასევე,

¹⁴⁸ ევროკომისია, 2013. On the way to Erasmus+: A Statistical Overview of the Erasmus Programme in 2011-2012.გვ. 11

¹⁴⁹ იქვე, გვ. 15

ერასმუსის ეროვნული სააგენტოები წყვეტენ თუ როგორ გამოყონ სტიპენდიები, რაც გულისხმობს ზოგიერთ შემთხვევაში მეტი სტიპენდიის გამოყოფას და ნაკლები სტუდენტების გაშვებას (მაგ. ბულგარეთი, კვიპროსი, თურქეთი), ან ნაკლები სტიპენდიის გამოყოფას და მეტი სტუდენტის გაშვებას (საფრანგეთი, იტალია). თუმცა ერასმუსის ცენტრალური ოფისი აწესებს სტიპენდიების გარკვეულ ზედა და ქვედა ზღვარს ყველა მასპინძელ ქვეყანაში¹⁵⁰. შესამჩნევია ასევე თითოეული სტუდენტისათვის ერასმუსის სტიპენდიების გაზრდის ტენდენცია (იხ. გრაფიკი 2.3).

გრაფიკი 2.3: ერასმუსის სტიპენდიის საშუალო მოცულობა თითოეული სტუდენტისათვის



წყარო: ევროკომისია, 2013. ერასმუსის პროგრამის სტატისტიკური ანგარიში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერასმუსის პროგრამის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს აკადემიური პერსონალის გავცლები. 1997 წლიდან ერასმუსი საშუალებას აძლევს პროფესორ-მასწავლებლებს და ინდუსტრიაში დასაქმებულ პროფესიონალებს ასწავლონ ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში. დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდის ჩათვლით (2011-2012) სულ 300000-მა ლექტორმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა ისარგებლა ამ პროგრამით. 2011-2012 წლებში აკადემიური პერსონალის გაცვლების რაოდენობამ შეადგინა 46522, მათ შორის


¹⁵⁰ევროკომისია, 2013. On the way to Erasmus+: A Statistical Overview of the Erasmus Programme in 2011-2012.გვ.17

ლექციების ჩასატარებლად იმყოფებოდა 33318 ლექტორი ან ინდუსტრიის პროფესიონალი, ხოლო ტრენინგის მისაღებად 13204. აღსანიაშნავია რომ ტრენინგის მიღება შესაძლებელია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისათვის. პერსონალის მობილობის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 5,7 დღეს, რაც მოიცავს, როგორც ლექციების ჩატარებას ასევე ტრენინგის მიღებას. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლების ბიუჯეტი მთელი ერასმუსის ბიუჯეტის 7%-ია. ყველაზე მეტი პროფესორ-მასწავლებლისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამგზავნი ქვეყნებია: პოლონეთი (6312), ესპანეთი (4654), გერმანია (3937), საფრანგეთი, თურქეთი (2639), ხოლო მიმდები ქვეყნებია: ესპანეთი (4554), გერმანია (4491), იტალია (3876), საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი (2701). სულ 2336 უმაღლესი განათლების დაწესებულება აგზავნიდა თანამშრომლებს ერასმუსის პროგრამებით. ამ პროგრამით მოსარგებლე თითოეული პროფესორ-მასწავლებლისა და ადმინისტრაციულ პერსონალზე გამოყოფილი გრანტის საშუალო რაოდენობა შეადგენს 701 ევროს გამგზავნი ინსტიტუტის ხელფასის შენარჩუნებით. მონაწილე პროფესორ-მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის 72% ლექციების ჩასატარებლად იმყოფებოდა, ხოლო 28%-ტრენინგზე¹⁵¹.

გრაფიკი 2.4 გვიჩვენებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ზრდას. ლურჯი წირით გამოსახულია მობილობის საერთო რაოდენობა ნარინჯისფერით- ლექციებზე მიწვევული პერსონალის რაოდენობა, ხოლო იისფერით – ტრენინგებზე გაგზავნილი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა. აშკარაა, რომ პერსონალის მობილობასაც ახასიათებს ზრდის ტენდენცია.

¹⁵¹ იქვე, გვ. 35

გრაფიკი 2.4: აკადემიური და ადმინისტრაციული პერიოდის მობილობა



წყარო: ევროკომისია, 2013. ერასმუსის პროგრამის სტატისტიკური აზგარიში.

2007 წლიდან პერიოდის გაგზავნის ზრდის მიხედვით ლიდერი ქვეყნები არიან ლიხტენშტეინი (113%), პოლონეთი (103%), რუმინეთი (74%), ბულგარეთი (69%), ლუქსემბურგი (67%). ამასთან, ყველა ქვეყანაშია დაფიქსირებული ზრდა 20%-ზე მეტი, გარდა შვედეთის, დანიის, საფრანგეთის, პორტუგალიის, ესტონეთის და კვიპროსისა, სადაც ზრდა 20%-ზე ნაკლებს შეადგენს. ხოლო ამავე პერიოდში აკადემიური და ადმინისტრაციული პერიოდის მიღების ზრდის მიხედვით ლიდერობენ ლუქსემბურგი (217%), ისლანდია (101%), ირლანდია (99%), სლოვაკეთი (80%), მალტა (76%). აღსანიშნავია, რომ მინიმუმ 20%-იანი ზრდა დაფიქსირებულია ყველა ქვეყანაში საბერძნეთისა და ფინეთის გარდა, სადაც ზრდა 20%-ზე ნაკლებია¹⁵².

კვლევამ გამოავლინა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის მიმართულებები აკადემიური დისციპლინების მიხედვით. სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მონაწილეობდა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესის და სამართლის პროგრამებში, მაშინ როდესაც პროფესორ-მასწავლებელთა ლექციები თითქმის თანაბარი რაოდენობით იყო პუმანიტარულ მეცნიერებებში და სოციალურ, ბიზნეს და სამართლის დისციპლინებში. სრული სურათი იხილეთ ცხრილში 2.5.

¹⁵²ევროკომისია, 2013. On the way to Erasmus+: A Statistical Overview of the Erasmus Programme in 2011-2012. გვ. 37

ცხრილი 2.5: სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა დისციპლინების
მიხედვით

| დისციპლინა | სტუდენტთა მობილობა | პროფესორ-მასწავლებელთა მობილობა |
|---|--------------------|------------------------------------|
| ზოგადი განათლება | 422 | 54 |
| განათლება | 8 264 | 2 681 |
| პუმანიტარული | 52 905 | 9 097 |
| სოც. მეცნირებები, ბიზნესი, სამართალი | 100 143 | 8 412 |
| მეცნიერებები, გამოთვლები | 21 657 | 3 593 |
| ინჟინერია, წარმოება, მშენებლობა | 39 065 | 4 711 |
| სოფ. მეცნიერება, კულტურისარია | 4 769 | 994 |
| ჯანდაცვა და კეთილდღეობა | 17 501 | 2 611 |
| სერვისები | 7 199 | 946 |
| არ არის კლასიფიცირებული | 902 | 159 |
| სულ რაოდენობა | 252 827 | 33 318 |

წყარო: ევროკომისია, 2013. ერასმუსის პროგრამის სტატისტიკური ანგარიში.

როგორც აღვნიშნეთ, ერასმუსი ასევე ითვალისწინებს ტრენინგ პროგრამებს. 2011-2012 წლის მანძილზე ერასმუსის დაფინანსებით სულ 13204 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი იქნა გაგზავნილი ტრენინგებზე საზღვარგარეთ, სხვა ევროპულ უნივერსიტეტებში. ტრენინგ პროგრამების მონაწილეობა 40,1% აკადემიური პერსონალია, 23%-უნივერსიტეტების ფინანსური განყოფილებების მუშაკებია, 18,5% - სტუდენტთა მიღებისა და ტექნიკური განყოფილებების თანამშრომლებია, საერთაშორისო ოფისის თანამშრომლები – 9,5%, სხვა – 5,1%, სტუდენტთა ინფორმაციის ოფისიდან – 2,7%. თანამშრომელთა ტრენინგის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 6,1 დღეს. საშუალო გრანტი თითოეული მონაწილისთვის გამოყოფილი იყო 755 ევროს ოდენობით. ყველაზე მეტად ჭარბობდა ხუთ დღიანი ტრენინგ პროგრამები, ისევე, როგორც სალექციო კურსების ძირითადი რაოდენობის ხანგრძლივობა იყო ხუთი დღე¹⁵³.

¹⁵³ ევროკომისია, 2013. On the way to Erasmus+: A Statistical Overview of the Erasmus Programme in 2011-2012. გვ.46-47

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამებისა, ერასმუსი ასევე ითვალისწინებს ენის ინტენსიურ კურსებს. 2011-2012 წლებში 26 მონაწილე ქვეყანაში 435 ენის კურსი იქნა ორგანიზებული. ეს ორჯერ მეტია 2005-06 წლებშო თრგანიზებულ კურსებთან შედარებით და 11%-ითაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით. 1999 წლიდან დაახლოებით 48000 ერასმუსის სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ენის ინტენსიურ კურსებზე მანამ სანამ ძირითად გაცვლით პროგრამებში მიიღებდნენ მონაწილეობას. 2011-2012 წლებში ენის კურსებზე მონაწილეობა მიიღო 6631 სტუდენტმა.

2.4 ევროპული ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები

წინა თავებში ჩვენ მიმოვიხილეთ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე ეტაპზე არსებული მდგომარეობა მსოფლიოში და მათ შორის ევროპაში, რამაც თვალნათლად გვიჩვენა, რომ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაცია პრიორიტეტს წარმოადგენს როგორც თვით უნივერსიტეტებისათვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ამ პროცესის მხარდამჭერი სხვადასხვა პროგრამა და პროექტი გააჩნიათ. რადგან საქართველო წარმოადგენს უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ დამატებით შეგვესწავლა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები ევროპაში. ამ მიზნისთვის მიმოვიხილეთ დოკუმენტები, რომლებიც მიღებულია საერთო ევროპული საგანმანათლებლო სივრცისთვის (იხ. ბოლონიის პროცესის მიმოხილვა) და პრაქტიკული კვლევების მონაცემები.

აღნიშნული მონაცემები ძირითადად აღებულია ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის კვლევიდან, რომელიც 2013 წელს ჩატარდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის მასშტაბური ემპირიული კვლევები პრაქტიკულად ძალზე მცირეა. ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის კვლევა, ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან თვით ეს ორგანიზაცია მასშტაბური და სოლიდური და კვლევაც მოიცავდა მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის და მენეჯმენტის საკითხებს.


სანამ უშეალოდ ევროპაში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკას განვიხილავდეთ, მიზანშეწონილია მოკლედ მიმოვიხილოთ თვით ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია. ორგანიზაცია დაარსდა 2001 წელს ყოფილი ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციისა და ევროპის რექტორთა კონფერენციის გაერთიანების შედეგად. დღეს ასოციაცია წარმოადგენს უნივერსიტეტების ყველაზე დიდ გაერთიანებას ევროპაში. იგი მოიცავს 850 წევრს ევროპის 47 ქვეყანაში. ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის წევრ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 17 მილიონი სტუდენტი სწავლობს. აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია მხოლოდ 4 ქართული უმაღლესი სასწავლებელი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი¹⁵⁴. ასოციაცია მხარდაჭერას უწევს როგორც თვითონ ცალკეულ წევრ უნივერსიტეტებს, ასევე მთლიანად უმაღლეს განათლებას ევროპის მასშტაბით¹⁵⁵.

წარმოდგენილი მონაცემები მიღებულია წევრი უნივერსიტეტების ონლაინ გამოკითხვის შედეგად. კითხვარი პქონდა გაგზავნილი ყველა სრულუფლებიანი წევრის 745 რექტორის ოფისს და 620 საერთაშორისო ოფისს 47 წევრი ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კითხვარზე მიღებული იქნა 180 პასუხი 38 ქვეყნის 175 წევრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (იხ. იაგრამ 2.16). აღნიშნული პასუხები დაახლოებით მეოთხედია სრული წევრების რაოდენობიდან. აღსანიშნავია, რომ პასუხების 54% მიღებულ იქნა უნივერსიტეტების საერთაშორისო ოფისებიდან, ხოლო 40% უნივერსიტეტების მაღალი დონის მენეჯერებისაგან. ძირითადად ყველა უნივერსიტეტიდან იყო ერთი გამოხმაურება. ასევე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების 89% იყო უნივერსიტეტებიდან, 7% ტექნიკური უნივერსიტეტებიდან, ხოლო 4% სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლებიდან.

¹⁵⁴<http://www.eua.be/eua-membership-and-services/Home/members-directory.aspx?country=76>

¹⁵⁵<http://www.eua.be/about/at-a-glance.aspx>


დიაგრამა 2.16 : კვლევაზე მიღებული პასუხების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით



წყარო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ უნივერსიტეტთა 1/3-მა აღნიშნა, რომ მათი მთლიანი სტუდენტური კონტინგენტის 10%-ზე მეტს შეადგენს უცხოელი სტუდენტები, რომლების სწავლობენ საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამებზე. უნივერსიტეტების 2/3-ს ჰყავს უცხოელი სტუდენტები 10%-ზე ნაკლები. თუმცა უნივერსიტეტების 38%-ს ჰყავს 1-5%-მდე უცხოელი სტუდენტები (იხ. დიაგრამა 2.17). აღსანიშნავია, რომ უცხოელ სტუდენტთა დიდი რაოდენობა ჰყავთ დასავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის უნივერსიტეტებს, მაშინ როცა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის უნივერსიტეტებში მათი რაოდენობა ნაკლებია.

დიაგრამა 2.17: საერთაშორისო სტუდენტების პროცენტული რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში




წყარო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საკითხი საკვლევი თემისთვის არის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების არსებობა. კვლევის თანახმად, ევროპული უნივერსიტეტების 56%-ს გააჩნია ინტერნაციონალიზაციის ცალკე აღებული სტრატეგია, მაშინ, როცა 30% აღნიშნავს, რომ მათი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია საერთო საუნივერსიტეტო სტრატეგიის ნაწილია. სტარტეგიებს ამჟამად ამჟამავებს უნივერსიტეტების 13% და საერთოდ არ გააჩნია სტრატეგია – 1%-ს. (იხ. დიაგრამა 2.18).

დიაგრამა 2.18:


ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების არსებობა



წყარო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)

უნივერიტეტების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების არსებობა მნიშვნელოვანია, თუმცა თავისთავად მხოლოდ სტრატეგიის არსებობა არ წარმოადგენს წარმატების გარანტიას: საჭიროა მისი იმპლემენტაციაც. მეორეს მხრივ, სტრატეგიების იმპლემენტაციის სარგებლის აღქმაც მნიშვნელოვანია წარმატებისათვის. ის უნივერსიტეტები, რომლებსაც გააჩნიათ ინტერნაციონალიზაციის ცალკე თუ ინტეგრირებული სტრატეგიები, ფიქრობენ, რომ სტრატეგიების არსებობა დაეხმარა მათ ახალი პარტნიორების შეძენაში, მეტი საკუთარი სტუდენტის გაგზავნაში საზღვარგარეთ, მეტი უცხოელი სტუდენტის მოზიდვაში, პერსონალის მეტ გათვითცნობიერებაში ინტერნაციონალიზაციის სარგებლის შესახებ, მეტ ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამის ჩამოყალიბებაში და ა.შ. (დეტალურად იხ. დიაგრამაში 2.19). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთაგან, მხოლოდ ერთმა პროცენტმა დაასახელა, რომ სტრატეგიას არავითარი ზეგავლენა არ მოუხდებია უნივერსიტეტის ცხოვრებაზე.


დიაგრამა 2.19: ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების არსებობის გავლენა
შესაბამის უნივერსიტეტებზე



წერო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)


რა არის ინტერნაციონალიზაციის მიზანი? უნივერსიტეტების 30%-ის უმთავრესი მიზანია (პირველი პრიორიტეტი) მოიზიდოს მეტი სტუდენტი უცხოეთიდან, 19%-ს მიზნად აქვს სწავლისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია, 12%-ს საკუთარი სტუდენტებისათვის საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობის მიცემა, 10%-ს სტარტეგიული პარტნიორობების ჩამოყალიბება ერთობლივი კვლევებისათვის (იხ. დიაგრამა 2.20). დიაგრამა 2.21-ზე მოცემულია უნივერსიტეტების პირველი-სამი პრიორიტეტი ინტერნაციონალიზაციისათვის. ოუ შევადარებთ ამ უკანასკნელ ორ დიაგრამას, ვნახავთ, რომ სიტუაცია კარდინალურად არ იცვლება. პირველ, მეორე და მესამე პრიორიტეტად დასახელებულებს შორის, კვლავ ლიდერობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვა – 56%, სწავლებისა და სწავლის ინტერნაციონალიზაცია

დიაგრამა 2.20: ინტერნაციონალიზაციის პირველი პრიორიტეტი



წყარო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)

დიაგრამა 2.21: ინტერნაციონალიზაციის სამი ძირითადი პრიორიტეტი




წყარო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)

– 41% და საკუთარი სტუდენტებისათვის უცხოეთში სწავლის საშუალების მიცემა – 32%. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტების მოზიდვა მრავალი უნივერსიტეტისთვის მიზნების პირველ სამეცნიერო შედის – 40%.

გარე ფაქტორების შეფასებისას, გამოკითხვაში მონაწილე უნივერსიტეტების 39%-მა მიუთითა, რომ ევროკავშირის პროგრამები ეხმარება მათ სტუდენტთა მობილობისათვის ფონდების გამოყოფის საკითხებში, 27%-ს მიაჩნია, რომ ევროკავშირის პრორამები ეხმარება უნივერსიტეტებს ერთობლივი ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში. მხოლოდ უნივერსიტეტების 2%-ს მიაჩნია, რომ მათი დახმარება რეალურად არ ცვლის არაფერს (იხ. დიაგრამა 2.22). იმავე გამოკითხვის მიხედვით, (იხ. დიაგრამა 2.23), უნივერიტეტებმა


დიაგრამა 2.22 : როგორ ეხმარება ევროკავშირის პროგრამები უნივერსიტეტის ინიციატივებს აცილებას



წყარო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)

ევროკავშირის პროგრამების დახმარების სამ მთავარ კონტრიბუციად დაასახელა პერსონალის მობილობა – 42%, სტუდენტების მობილობა – 80%, ერთობლივი პროგრამები – 68%.

დიაგრამა 2.23: როგორ ეხმარება ევროკავშირის პროგრამები უნივერსიტეტის
ინტერნაციონალიზაციას -სამი ძირითადი არჩევანი



წყარო: ევროპული უნივერსიტეტების ასოციაცია (2013)

ადსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე 34 ქვეყნის უნივერსიტეტების უმრავლესობა მიუთითებს ევროკავშირის ფონდების მნიშვნელობაზე მობილობის დასაფინანსებლად, რადგან თვითონ უნივერსიტეტებს და ეროვნულ პროგრამებს ამისათვის ნაკლები რესურსები გააჩნიათ.

2.5 უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შეფასება საუნივერსიტეტო რეიტინგების მიხედვით

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის და მისი მიმდინარე დონის შესაფასებლად თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად გამოიყენება საუნივერსიტეტო სარეიტინგო სიების გამოქვეყნება. საუნივერსიტეტო რეიტინგების შედგენა მსოფლიოს მასშტაბით თითქმის ყველა ქვეყანაში წარმოებს. ასევე განიხილავენ რეიტინგებს საერთაშორისო მასშტაბით. რეიტინგების შედგენა წარმოებს სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით. ასევე განსხვავდება რეიტინგების შედგენის მიზანი და მასშტაბი. არა მარტო მიზანი და სარეიტინგო კომპონენტებია სხვადასხვა, არამედ თვით ამ რეიტინგების შედგენის მეთოდოლოგიაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. საუნივერსიტეტო რეიტინგები აღიქმება, როგორც უნივერსიტეტის პოზიცია უმაღლესი განათლების ინდუსტრიაში.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო საუნივერსიტეტო რეიტინგები შედგენილია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ, მაგრამ აქ განვიხილავთ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ რეიტინგულ სიებს, რომლებშიც ინტერნაციონალიზაციის კომპონენტებია გათვალისწინებული:

- 1) ჟურნალ თაიმზის უმაღლესი განათლების დამატება (THES)¹⁵⁶;
- 2) მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგი (ARWU)¹⁵⁷;
- 3) ქუაქუარელი სომონდის (QS) მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგი¹⁵⁸.
- 4) ვებომეტრიქსის რეიტინგი(WM)¹⁵⁹;

THES-ის უნივერსიტეტების რეიტინგში მოცემულია მსოფლიოს მასშტაბით 400 უნივერსიტეტის რეიტინგი. ეს რეიტინგები შედგენილია 13 ინდიკატორის მიხედვით, რომლებიც ხუთ ჯგუფადაა გაერთიანებული:

- სწავლება (სრული ქულის 30%)
- კვლევა (30%)
- ციტირება (30%)

¹⁵⁶ <http://www.timeshighereducation.co.uk/world-university-rankings/>

¹⁵⁷ <http://www.shanghairanking.com/>

¹⁵⁸ <http://www.topuniversities.com/university-rankings-articles/world-university-rankings>

¹⁵⁹ <http://www.webometrics.info/>

- ინდუსტრიაში შემოსავალი: ინოვაცია (2.5%)
- ინტერნაციონალიზაცია (7.5%)

მეთოდოლოგიის მიხედვით კვლევაში მონაწილეობას არ დებულობს უნივერსიტეტი, რომელსაც არ გააჩნია საბაკალავრო პროგრამები, ასწავლის მხოლოდ ერთ პროგრამას ან 2008 წლიდან 2012 წლამდე 200 სტატია არ გამოუქვეყნებია საერთაშორისო რეფერირებად ქურნალში.

ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია. ინტერნაციონალიზაციის კომპონენტში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სართაშორისო დივერსიფიკაცია თვით უნივერსიტეტის შიგნით და საერთაშორისო კოლეგებთან კოლაბორაცია კვლევების მიმართულებით. აღნიშნული საკითხები დაყოფილია სამ კომპონენტად, რომელთაგან თითოეულის წონა 2.5%-ია:

- 1) თანაფარდობა უცხოელ და ადგილობრივ პროფესორ-მასწავლებლებს შორის,
- 2) საერთაშორისო სტუდენტების ადგილობრივ სტუდენტებთან თანაფარდობა,
- 3) ადგილობრივი ავტორების მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობის თანაფარდობა ისეთი სტატიების რაოდენობასთან, რომელთაც ერთი მაინც უცხოელი თანაავტორი ჰყავდათ.

შემდეგ კომპონენტის გათვალისწინებით 2014 წლის THES-ის რეიტინგების პირველ ათასზე არიან :

- 1) კალიფორნიის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (აშშ)
- 2) ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ)
- 3) ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- 4) სტენფორდის უნივერსიტეტი (აშშ)
- 5) კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- 6) მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (აშშ)
- 7) პრინსტონის უნივერსიტეტი (აშშ)
- 8) კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი (აშშ)
- 9-10) ლონდონის იმპერიული კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
- 9-10) იელის უნივერსიტეტი (აშშ)

აღსანიშნავია, რომ ამ რეიტინგებში საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან მხოლოდ 5 უნივერსიტეტია შესული:

- ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი, თურქეთი (85)
- ბოდაზის უნივერსიტეტი, თურქეთი (139)
- სტამბულის ტექნიკური უნივერსიტეტი, თურქეთი (165)
- საბანჯის უნივერსიტეტი (182)
- მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი, რუსეთი (196)

THES-გან განსხვავებით მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიური რეიტინგები (ARWU) უშუალოდ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის საკითხს არ ითვალისწინებენ. თუმცა ისევე როგორც THES-ის რეიტინგები, ARWU-ც ითვალისწინებს საერთაშორისო პუბლიკაციებს. შესაბამისად ინტერნაციონალიზაციის გათვალისწინება ამ უკანასკნელში შესაძლოა ჩავთვალოთ, რომ ირიბად მაინც ხდება. რადგანაც ჩვენი კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენს უშუალოდ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაცია, შესაბამისად ARWU-ს რეიტინგების მონაცემები აქ მოტანილი არ არის.

მსოფლიოში კიდევ ერთ ყურადსაღებ რეიტინგს წარმოადგენს ქუაქუარელი სომონდის (QS) რეიტინგები. ეს უკანასკნელი პირდაპირ ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ისეთ საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო სტუდენტების თანაფარდობა ადგილობრივ სტუდენტებთან და საერთაშორისო პროფესორ-მასწავლებლების თანაფარდობა ადგილობრივებთან. აღნიშნულ რეიტინგებში ინდიკატორების ხვედრითი წილი შემდეგია:

- აკადემიური რეპუტაცია (40%)
- კურსდამთავრებულთა დასაქმების რეპუტაცია (10%)
- პროფესორ-მასწავლებლების თანაფარდობა სტუდენტებთან (20%)
- თითოეული პროფესორ-მასწავლებლის ციტირებების რაოდენობა (20%)
- საერთაშორისო სტუდენტების თანაფარდობა ადგილობრივ სტუდენტებთან (5%)
- საერთაშორისო პროფესორ მასწავლებლების თანაფარდობა ადგილობრივებთან (5%)

QS რეიტინგების ძირითად მიზანს წარმოადგენს სტუდენტებს მისცეს ინფორმირებული არჩევანის საშუალება. აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით დაახლოებით 3000 უნივერსიტეტი შევასდა და შედგა 800 უნივერსიტეტის რეიტინგული სია. 1-400 უნივერსიტეტს მიენიჭა ინდივიდუალური სარეიტინგო ქულა, ხოლო დანარცენი უნივერსიტეტები გაერთიანებულ იქნა 10 ერთეულისგან შემდგარ ჯგუფებში. მაგალითად, 401-410 ჯგუფში მოხვდა 10 უნივერსიტეტი ინდივიდუალური სარეიტინგო ქულის გარეშე. 2014 წლის QS რეიტინგების მიხედვით უნივერსიტეტების პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

1. მასაჩუსეტსის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (აშშ)
2. კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
3. ლონდონის იმპერიული კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
4. ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ)
- 5-6 ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
- 5-6 ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
7. სტენფორდის უნივერსიტეტი (აშშ)
8. კალიფორნიის ტექნოლოგიის ინსტიტუტი (აშშ)
9. პრინსტონის უნივერსიტეტი (აშშ)
10. იელის უნივერსიტეტი (აშშ)

საქართველოს მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტები QS რეიტინგებში შემდეგნაირად არიან ჩამოთვლილი:

აზერბაიჯანი:

- ქავქაზ უნივერსიტეტი (651-700)
- ხაზარის უნივერსიტეტი (701+)
- ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (701+)

რუსეთი: 19 უნივერსიტეტი, რომელაგან ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტს (114), ხოლო ამ სის ბოლო ოთხი რუსული უნივერსიტეტის სარეიტინგო ჯგუფია 700+.

თურქეთი: 10 უნივერსიტეტი, რომელთაგან ყველაზე მაღალი რეიტინგი გააჩნიათ ბილკენტისა და ბოდაზის უნივერსიტეტებს (იყოფენ 399 ადგილს), ხოლო სის ბოლოს ორი თურქული უნივერსიტეტი მოთავსებულია სარეიტინგო ჯგუფში 700+.

THES-გან განსხვავებით QS რეიტინგები გვაძლევს კომპონენტების მიხედვით ცალკე რეიტინგებს. შესაბამისად, საკვლევი თემიდან გამომდინარე, QS რეიტინგების ბოლო კომპონენტების პირველი ათეულები შემდეგნაირია:

- საერთაშორისო სტუდენტების თანაფარდობა ადგილობრივ სტუდენტებთან:
 - 1) დუბაის ამერიკული უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)
 - 2) შარჯას ამერიკული უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)
 - 3) მეფე აბდულას უნივერსიტეტი (საუდის არაბეთი)
 - 4) ლონდონის ბიზნეს-სკოლა (დიდი ბრიტანეთი)
 - 5) არაბეთის ყურის უნივერსიტეტი (ყატარი)
 - 6) კრანფილდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)
 - 7) ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლა (დიდი ბრიტანეთი)
 - 8) ლონდონის ჰიგიენისა და ტროპიკული მედიცინის სკოლა (დიდი ბრიტანეთი)
 - 9) შარჯას უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)
 - 10) აბუ დაბის უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)

ამ კატეგორიაში საქართველოს მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტების რეიტინგები შემდეგნაირია: მოცემულია ერთი აზერბაიჯანული უნივერსიტეტის (363), ცხრა რუსული უნივერსიტეტი (საუკთხესო რეიტინგი -72), ერთი თურქული უნივერსიტეტი (საუკთხესო რეიტინგი – 401).

- საერთაშორისო პროფესორ-მასწავლებლების თანაფარდობა ადგილობრივებთან:
 - 1) შარჯას უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)
 - 2) აბუ დაბის უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)
 - 3) შარჯას ამერიკული უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)
 - 4) ხალიფას უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)
 - 5) მაკარის უნივერსიტეტი (ჩინეთი)
 - 6) ლონდონის ბიზნეს-სკოლა (დიდი ბრიტანეთი)
 - 7) სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი (ავსტრალია)

8) არაბთა გაერთიანებული საემიროების უნივერსიტეტი (არაბთა გაერთ. საემიროები)

9) ყაჩარის უნივერსიტეტი (ყაჩარი)

10) შვეიცარიის ტექნოლოგიის ფედერალური ინსტიტუტი (შვეიცარია)

საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან ამ პატეგორიაში თურქეთის ოთხი უნივერსიტეტია მოცემული (საუკეტესო რეიტინგი – 226), აზერბაიჯანის ორი უნივერსიტეტი (საუკეტესო რეიტინგი – 229) და რუსეთის ხუთი უნივერსიტეტი (საუკეტესო რეიტინგი- 387).

მსოფლიოში ყველაზე დიდ სარეიტინგო სისტემას წარმოადგენს უნივერსიტეტების ვებგვერდების რეიტინგი. აღნიშნული რეიტინგული გამოკვლევის 2014 წლის მონაცემები მიღებულია მსოფლიოს 11997 უნივერსიტეტიდან. უნივერსიტეტების ვებგვერდების სარეიტინგო მონაცემები სადისერტაციო კვლევისთვის საინტერესოდ ჩაითვალა, რადგან უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი განუყოფელი ატრიბუტია საუნივერსიტეტო ვებგვერდი. თანამედროვე მსოფლიოში ვებგვერდის გარეშე ოპერირება, მითუმებეს საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებული გასვლა წარმოუდგენელია. მოცემული რეიტინგი დგინდება ვებომეტრიქსის (WM) მიერ, რომელიც წარმოადგენს კიბერლაბმეტრიქსის ლაბორატორიას, რომელიც ესპანეთის კვლევების ეროვნულ საბჭოსთან არსებობს.

WM რეიტინგები დაყოფილია ორი კომპონენტის მიხედვით: უნივერსიტეტის ვებგვერდის ხილულობა (წონა 50%) და საქმიანობა (50%). ხილვადობის კოეფიციენტი დათვლილია ვებგვერდზე გარედან შემოსული მომხმარებლების/დამთვალიერებლების რაოდენობით. რაც შეეხება საქმიანობას, ეს კომპონენტი თავის მხრივ დაყოფილის სამ ქვეკომპონენტად, რომელთაც თანაბარი წონა გააჩნიათ კომპონენტის ფარგლებში. ანუ, თითოეული ქვეკომპონენტის კონტრიბუცია ‘საქმიანობის’ წონაში არის 1/3. აღნიშნული ქვეკომპონენტებს წარმოადგენენ:

- წარდგენა: დამოუკიდებელი ვებგვერდების რაოდენობა წარმოდგენილი მოცემული ვებდომეინის ფარგლებში, რაც გულისხმობს საძიებელი სისტემების მიერ (გუგლი) დამოუკიდებლად მოძიებულ განყოფილებებს, დირექტორიებს, ბმულებს და ა.შ.

- დიაობა: ვებგვერდზე გამოქვეყნებული ნებისმიერი ფორმატის დოკუმენტების რაოდენობა, რაც მოიცავს ასევე პუბლიკაციებს, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია დოკუმენტების სახით.
- ხარისხი: მაღალი ხარისხის პუბლიკაციების არსებობა, რომლებიც ციტირებული არიან 10 ყველაზე ხშირად ციტირებულ ნაშრომებში შესაბამისი დარგის მიხედვით.

WM რეიტინგების პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

- 1) პარგარდის უნივერსიტეტი (აშშ)
- 2) მასაჩუსეტსის ტექნოლოგიების ინსტიტუტი (აშშ)
- 3) სტენფორდის უნივერსიტეტი უნივერსიტეტი (აშშ)
- 4) კორნელის უნივერსიტეტი (აშშ)
- 5) მიჩიგანის უნივერსიტეტი (აშშ)
- 6) კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი (აშშ)
- 7-8) ნიუ იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტი (აშშ)
- 7-8) ვაშინგტონის უნივერსიტეტი (აშშ)
- 9) მინესოტას უნივერსიტეტი (აშშ)
- 10) პენსილვანიის უნივერსიტეტი (აშშ)

აღსანიშნავია, რომ სიის პირველ 14 ადგილს აშშ-ს უნივერსიტეტები იკავებენ.

WM სარეიტინგო სიაში მოცემულია 64 ქართული უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი და კოლეჯი. რეიტინგულ სიაში 11997 უნივერსიტეტს შორის საქართველოს უნივერსიტეტების საუკეთესო ხუთეული შემდეგია:

- 1) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (მსოფლიო რეიტინგი 2204)
- 2) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2547)
- 3) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (5574)
- 4) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (6427)
- 5) შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (7213)

ქართული უნივერსიტეტების რეიტინგი სრულად იხ. დანართში 1.

მოცემულ თავში გამოყენებული მასალების ანალიზი ცხადყოფს რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელია უნივერსიტეტებისათვის. უნივერსიტეტების აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს აუცილებელ პირობას. თვით ინტერნაციონალიზაცია არის ინტენსიური, სწრაფად განვითარებადი პროცესი, რომელშიც ამა თუ იმ ფორმით უნივერსიტეტების უდიდესი რაოდენობაა ჩართული მთელი მსოფლიოს მასშტაბით. თანამედროვე ეტაპზე უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესწავლამ, საშუალება მოგვცა განგვეხსაზღვრა ის ძირითადი საკვლევი მიმართულებები საქართველოში, რაც მოცემული თემის ფარგლებში შესწავლისა და ანალიზის მთავარ მიზანს წარმოადგენს (იხ. თავი 3).

თავი 3

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ლიტერატურაში მოცემული თეორიების, სტრატგიების და მოდელების სინთეზის საფუძველზე შემუშავებული კომბინირებული კონცეპტუალური მოდელის მიხედვით შევაფასეთ უმაღლესი განათლების დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის თანამედროვე ეტაპზე არსებული მდგომარეობა, ჩატარდა მსოფლიოს და ევროპული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მდგომარეობის ანალიზი (თავი 2). აღნიშნული თეორიებისა, მსოფლიოსა და ევროპის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა იქნა საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და ჩატარდა მისი შედარებითი ანალიზი შესაბამის მსოფლიო და ევროპულ გამოცდილებასთან და ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის წინასწარ შემუშავებულ სინთეზურ მოდელთან მიმართებაში; დადგინდა თანამედროვე ეტაპზე არსებულ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საერთაშორისო მოდელებთან და მის სტრატეგიულ მენეჯმენტთან მიმართებაში ქართული რეალობის ხარვეზები, რამაც მოგვცა საშუალება გამოგვეტანა შესაბამისი დასკვნები და შეგვემუშავებინა რეკომენდაციები საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავებისა და მისი ეფექტური მენეჯმენტის მიმართულებით.

3.1 ინტერნაციონალიზაციის გამოწვევები საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში

უმაღლესი განათლების წინამორბედი პირველი კერები საქართველოში მეოთხე საუკუნიდანაა ცნობილი. ჩვენთვის ცნობილ განათლების პირველ დაწესებულებას წარმოადგენს ფაზისის ფილოსოფიისა და რიტორიკის სკოლა, რომელიც კოლხეთის სამეფოში მდებარეობდა. უფრო მოგვიანებით, მეთორმეტე საუკუნეში იყალთოსა და გელათის აკადემიები შეიქმნა. ამავე პერიოდში ქართული თეოლოგიური საგანმანათლებლო ცენტრები ფუნქციონირებდნენ საზღვარგარეთ, კერძოდ სირიაში, პალესტინაში, ბულგარეთსა და საბერძნეთში. ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმების და მათი რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ, საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების შესაძლებლობა არ ყოფილა. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე, 1918 წელს დაარსდა პირველი ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანამ დაახლოებით სამი წელიწადი გასტანა და საბოლოოდ ანექსიით დასრულდა 1921 წელს. სამოცდაათწლიანი საბჭოთა მმართველობის პერიოდში გაიხსნა რამდენიმე ინსტიტუტი და ფუნქციონირებას განაგრძობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1991 წლიდან, საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების ინსტიტუტებმა რეორგანიზაცია განიცადეს, როგორც სტრუქტურულად, ასევე სამართლებრივად და მათ ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირებული სხვადასხვა უნივერსიტეტი. ამავე დროს, შეიქმნა კერძო უმაღლესი განათლების დაწესებულებები, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების სახით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულია სამი ტიპის უმაღლესი განათლების დაწესებულება საქართველოში, როგორიცაა უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი და კოლეჯი. უნივერსიტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო უნივერსიტეტს უფლება აქვს განახორციელოს საბაკალავრო და სამაგისტრო და მასთან

გათანაბრებული სწავლება, ხოლო კოლეჯს - მხოლოდ ბაკალავრიატის და ამ საფეხურის ფარგლებში არსებული დიპლომირებული სპეციალისტის ან პვალიფიკაციის პროგრამა.

ამჟამად საქართველოში 68 აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებელია, მათ შორისაა 28 უნივერსიტეტი, 27 სასწავლო უნივერსიტეტი და 13 კოლეჯი. საქართველოში სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დაწესებულებები იხილეთ დანართში 2¹⁶⁰.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა შედგება სამი საფეხურისაგან:

- პირველი საფეხური - ბაკალავრიატი (240 კრედიტი);
- მეორე საფეხური - მაგისტრატურა (120 კრედიტი);
- მესამე საფეხური - დოქტორატურა (180 კრედიტი).


პირველი საფეხურის ფარგლებში არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა (120 -180 კრედიტი). ამასთან, სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარიული განათლება (300-360 კრედიტი) არის ინტეგრირებული განათლება და თავისი სწავლის შედეგებით უთანაბრდება მაგისტრატურას. საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა ასახულია სქემაში 3.1.

შესაბამისი ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ, უნივერსიტეტს, სასწავლო უნივერსიტეტს თუ კოლეჯს უფლება ენიჭება განახორციელოს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობა მიუხედავად მისი რეგისტრაციის იურიდიული ფორმისა. სწორედ ამ მომენტიდან იწყებენ უნივერსიტეტები სრულყოფილ საქმიანობას და უწევთ თანამედროვე გამოწვევების გამკლავება.

საქართველოს უნივერსიტეტებს საბაზოო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირების დიდი გამოცდილება არ გააჩნიათ. დაახლოებით ორი ათეული წელია, რაც ისინი აღმოჩნდნენ საერთაშორისო კონკურენტულ გარემოში. ამჟამად არსებული სტუდენტებისა და პერსონალის მზარდი საერთაშორისო მობილობის პირობებში, მათ წინაშე დგას ამოცანა როგორ მოიზიდონ და შეინარჩუნონ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და პვალიფიციური ადმინისტრაციული კადრები.

¹⁶⁰ <http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo> [25.07.2014]

სქემა 3.1: საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდი¹⁶¹

3.2. საქართველო და ბოლონიის პროცესი

უმაღლესი განათლების ერთიან სივრცეს, რომელიც ბოლონიის პროცესის სახელმწიფებით არის ცნობილი (იხ. თავი 2), საქართველო შეუერთდა 2005 წელს ბერგენის სამიტზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ისევე როგორც უმაღლესი განათლების დაწესებულებები საქართველოში ჩართული არიან უმაღლესი განათლების რეფორმირების პროცესში ერთიანი ევროპული სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული რეფორმების შესახებ მომზადდა სამი ოფიციალური ანგარიში, რომლებიც მოიცავენ ბოლონიის პროცესის რეფორმების განხორციელების შედეგებს საქართველოში 2005-2007¹⁶² 2007-2008¹⁶³ და 2009-2012¹⁶⁴ წლის მონაცემების მიხედვით.

¹⁶¹ <http://www.mes.gov.ge/content.php?id=131&lang=geo> [25.07. 2014]

¹⁶² http://www.ehea.info/Uploads/Documents/National_Report_Georgia2007.pdf

¹⁶³ http://www.ehea.info/Uploads/Documents/National_Report_Georgia_2009.pdf

¹⁶⁴ <http://www.ehea.info/Uploads/National%20reports/Georgia.pdf>

ორივე ანგარიში მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

ბოლო საანგარიშო პერიოდში (2009-2012) საქართველოში აკრედიტირებული იყო 63 უმაღლესი განათლების დაწესებულება, 21 საჯარო და 42 კერძო. მათ შორის 8 კოლეჯი, რომლების ახორციელებდნენ მხოლოდ საბაკალავრო პროგრამებს, 30 სასწავლო უნივერსიტეტი, რომელთაც გააჩნდათ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები და 25 უნივერსიტეტი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით. აკრედიტირებული უმაღლესი განათლების დაწესებულებების რაოდენობა 2007-2008 წლებში იყო 43. ბოლო ანგარიშის მიხედვით, ყველა საბაკალავრო პროგრამა მოიცავდა 240 ECTS კრედიტს. გამონაკლისს შეადგენდა სამედიცინო და სავეტერინარო სპეციალობები, რომლებიც წარმოადგენენ უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურების სინთეზს (საბაკალავრო და სამაგისტრო), სადაც სტუდენტებს 300-360 კრედიტის დაგროვება მოეთხოვებათ შესაბამისი დიპლომის მისაღებად. ამ პროგრამებზე მოედი საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების 7% იყო ჩარიცხული. ყველა სამაგისტრო პროგრამა საქართველოში 120 კრედიტიანია. ბოლონიის პროცესით დაშვებული 60-75, 90 და 120 კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამებიდან საქართველოში მხოლოდ 120 კრედიტიანი ხორციელდება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, რაც თანხვედრაშია ასევე ბოლონიის პროცესთან. ასევე, ანგარიშში მითითებულია, რომ ბაკალავრების 10-25% აგრძელებს სწავლას მაგისტრატურაზე ბაკალავრიატის დამთავრებისდან პირველი ორი წლის განმავლობაში. ასევე ადსანიშნავია, რომ საქართველოში მინიჭებული მაგისტრის ხარისხი, დამატებითი სწავლების გარეშე აძლევს უფლებას კურსდამთავრებულს ჩაირიცხოს სადოქტორო პროგრამებზე. მაგისტრთა 15% აგრძელებს სწავლას დოქტორანტურაში. ასევე აღნიშნულია, რომ ბაკალავრის ხარისხით საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ არ უშვებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესაძლებლობას. დოქტორანტურაში დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობაა 180 და სწავლის საშუალო ხანგრძლივობაა 3 წელი.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ერთობლივი ხარისხის პროგრამები და ერთობლივი ხარისხის მინიჭება დაშვებულია. 2012 წლისთვის უმაღლესი დაწესებულებების 5-10%-ს გააჩნდა სულ მცირე ერთი ერთობლივი

პროგრამა მაინც, ხოლო 10-25% მონაწილეობდა ასეთ პროგრამებში. საერთო კურსდამთავრებულების 0-2,5%-მა მიიღო ერთობლივი ხარისხი, ამავე რაოდენობამ ხარისხი ერთობლივი პროგრამებიდან. უკელაზე მეტი ერთობლივი პროგრამა დასახელდა ბიზნესის ადმინისტრირებასა და საბაზო საქმეში, ევროპამცოდნეობაში, ამერიკანისტიკაში. სულ საქართველოს უნივერსიტეტებს საანგარიშო პერიოდში გააჩნდათ 51 ერთობლივი პროგრამა.

საკრედიტო სიტემის აღწერისას, მითითებულია, რომ 2009-2012 წლებში უკელა საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში იყენებდა ECTS კრედიტებს. აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდის დასასრულს, 2009 წლისთვის, უნივერსიტეტები უკვე სრულად იყენებდნენ ECTS საკრედიტო სისტემას.

ბოლონიის პროცესით განსაზღვრული დიპლომის დანართს საქართველოში უკელა უმაღლესი განათლების დაწესებულება გასცემს, თუმცა ამავე დროს არანაირი მონიტორინგი არ მიმდინარეობს, თუ როგორ იყენებენ ამ დიპლომის დანართებს დამსაქმებელი ორგანიზაციები. დიპლომის დანართი გაიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ასევე ერთ ერთი მთავარი მიმართულება ბოლონიის პროცესისა გახლავთ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ჩამოყალიბება. საქართველოში მის აუცილებლობას საფუძველი ჩაეყარა 2004 წელს უმაღლესი განათლების კანონის მიღებით, ხოლო თვით პროცესი დასრულდა 2010 წელს. ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო ასევე ითვალისწინებს ECTS კრედიტების სისტემას. ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ხილვა შესაძლებელია სპეციალურ ვებგვერდებზე¹⁶⁵, რომლებიც საჯაროა.

უცხო ქვეყნებში მიღებული განათლების აღიარება ხდება ცენტრალური ხელისუფლების მიერ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მეშვეობით. აღიარება ხდება უკელა იმ კვალიფიკაციის, რომელსაც დიდი ცდომილება არა აქვს ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კვალიფიკაციის შესაბამისობის საკითხებს არეგულირებს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ.

¹⁶⁵ www.eqe.ge, www.nea.ge

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მოთხოვნაა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცედურები. საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ორგანოა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ცენტრი აწარმოებს უმაღლესი განათლების ავტორიზაციას, რაც აძლევს უნივერსიტეტს და კოლეჯს უფლებას განახორციელოს სასწავლო საქმიანობა. ავტორიზაცია გაიცემა მთელს დაწესებულებაზე, ხოლო მისი თითოეული პროგრამა ექვემდებარება პროგრამულ აკრედიტაციას. ავტორიზაციაზე და აკრედიტაციაზე გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი საბჭოების მიერ, რომლებიც ექსპერტებით არიან დაკომპლექტებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა საშუალებას ხარისხის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი დასკვნა მიღებულ იქნას საზღვარგარეთ არსებული სააგენტოებიდან. ამავე დროს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიმნიჭებული ორგანო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თვითონ არ არის შეფასებული ევროპული სტანდარტების შესაბამისობის დასადგენად, თუმცა ასეთი შეფასება დაგეგმილია მომავალში.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცედურებში სტუდენტების მონაწილეობაც გარანტირებულია, მაგრამ მხოლოდ უნივერსიტეტების თვითშეფასების პროცესში. რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, ისინი მონაწილეობენ გარე შეფასებებში, როგორც გარე შემფასებელთა ჯგუფების სრულუფლებიანი წევრები.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების უზრუნველსაყოფად, უკეთა საჯარო უმაღლეს დაწესებულებას კანონით მოეთხოვება ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურული ერთეულის არსებობა.

ზემოთ აღწერილი რეფორმები და მათი წარმატებით განხორციელება ეხმარება საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, ევროპის ერთიანი საგანმანათლებლო სიკრცის სრულუფლებიანი მოთამაშეები გახდნენ, რათა მოიზიდონ მეტი უცხოელი სტუდენტი, როგორც რეგულარულ ასევე გავცლით პროგრამებზე, აღიარონ ევროპული უნივერსიტეტების კრედიტები და აღიარებულ იქნას საკუთარი კრედიტები სრულად, ხელი შეუწყონ პროფესორ-მასწავლებლების გაცვლებს, განახორციელონ ერთობლივი კვლევები და ა.შ.

3.3 ქართული უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის ოპერაციონალიზაცია და მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობა, რომელიც მოიცავს, როგორც გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობას, ასევე უნივერსიტეტების რეგულარულ პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვებს. აღნიშნული საკითხი ასევე მნიშვნელოვანია ბოლონიის პროცესისთვისაც. საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ბოლონიის პროცესის მთავარ მიზნად დასახულია მობილობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევა. ევროპელი მინისტრების ლეუვენის კომუნიკეს მიხედვით, 2020 წლისათვის კურსდამთავრებულთა სულ მცირე 20%-ს მაინც უნდა ჰქონდეს სწავლის ნაწილი ან პრაქტიკა გავლილი საზღვარგარეთ.

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა გათვალისწინებული არის 2010-2015 წლების განათლების სისტემის რეფორმის სტრატეგიაში. გარდა ამისა, 2008 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებული შესწორება შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რომლის მიხედვით უცხოელ მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს, ასევე საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც სამ წელზე მეტი ხნის ვადით ცხოვრობდნენ საზღვარგარეთ, რომლებსაც საშუალო განათლება დასრულებული აქვთ საზღვარგარეთ ან სწავლობდნენ უმაღლესი განათლების აკრედიტირებულ დაწესებულებაში საზღვარგარეთ, არ მოეთხოვებათ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება საქართველოში.¹⁶⁶ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობისათვის. ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ვიზის გამარტივების პროცედურები ქართველ სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს აძლევს საშუალებას უფასოდ მიიღონ ევროპის გრძელვადიანი ვიზები. 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, უფრო ინტენსურად მიმდინარეობს სამუშაოები

¹⁶⁶ <http://www.ehea.info/Uploads/National%20reports/Georgia.pdf>

შენგენის ზონის ქვეყნებთან უკიზო მიმოსვლის დაწესების შესახებ, რაც კიდევ უფრო გაამარტივებს მობილობას ევროპის ფარგლებში.

როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის სტრატეგია მოიცავს აკადემიური პერსონალის მობილობის საკითხებსაც, თუმცა მიზნის მაჩვენებელი რაოდენობრივი სახით მოცემული არ არის. რაც შეეხება სტუდენტთა მობილობისათვის გარკვეული რეგიონებისათვის პრიორიტეტების მინიჭებას სტრატეგიაში, ის ისახავს მიზნად ქართველი სტუდენტების მობილობის მიღწევას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში და აშშ/კანადაში. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, ასევე შემომავალი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის სამიზნე რეგიონები, სტრატეგიაში გათვალისწინებული არ არის¹⁶⁷.

2008 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ხუთმა წამყვანმა ბანკმა საქართველოში, შეიმუშავეს სუბსიდირებული სესხის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ევროპულ ქვეყნებში და ამერიკაში სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის სესხის გამოყოფას, სამწლიანი მოცდის პერიოდით, ხოლო სამი წლის შემდეგ ათი წლის განმავლობაში სესხის ეტაპობრივი დაფარვით წლიური 9%-იანი სარგებლით. პროგრამის დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში 60 სტუდენტზე გაიცა 2,5 მილიონი ლარი¹⁶⁸.

მობილობა, როგორც წესი ითვალისწინებს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ორი მიმართულებით მოძრაობას: ქვეყნიდან საზღვარგარეთ და საზღვარგარეთიდან ქვეყანაში. საქართველოში მობილობის ყველაზე ხელშემშლელ სამ ფაქტორად მიჩნეულია: ქვეყნიდან საზღვარგარეთისკენ – დაფინანსება, სტუდენტთა ინფორმირება/მოტივაცია და ენის ბარიერი, ხოლო საზღვარგარეთიდან ქვეყნისკენ მობილობის მთავარი ბარიერებია სტუდენტთა ინფორმირება/მოტივაცია, ენის ბარიერი, სამართლებრივი საკითხები. ეს ბარიერები ეხება როგორც გაცვლითი პროგრამების, ასევე სრული აკადემიური ხარისხის მაძიებელ სტუდენტებს. პროფესორ-მასწავლებლების ორივე მიმართულებით მობილობის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად დასახელებულია ენის ფაქტორი¹⁶⁹.

¹⁶⁷ <http://www.ehea.info/Uploads/National%20reports/Georgia.pdf>

¹⁶⁸ იქვე

¹⁶⁹ იქვე

სტუდენტთა მობილობის ბალანსი საქართველოში დაცული არ არის. რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოდან გასული სტუდენტების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე შემომავალი სტუდენტებისა. ეს დისბალანსი სხვადასხვა სახისაა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებთან მიმართებაში. მაგალითად, აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში მობილობა ფიქსირდება თითქმის მხოლოდ ცალმხრივი მიმართულებით - საქართველოდან, ხოლო ცენტრალური აზიიდან, მხოლოდ ცალმხრივი მიმართულებით - საქართველოსკენ მობილობა არის დამახასიათებელი¹⁷⁰. აღნიშნულ მონაცემებს ამჟარებს ასევე იუნესკოს მიერ გამოქვეყნებული ბოლო სტატისტიკა (იხ. ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1: სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა საქართველოში და საქართველოდან

| უცხოელი სტუდენტები საქართველოში | რაოდენობა | სტუდენტები საქართველოდან საზღვარგარეთ | რაოდენობა |
|------------------------------------|-----------|---|-----------|
| ინდოეთი | 585 | რუსეთი | 2343 |
| თურქეთი | 330 | გერმანია | 1919 |
| აზერბაიჯანი | 280 | სომხეთი | 1051 |
| შრი ლანგა | 133 | აშშ | 466 |
| რუსეთის ფედერაცია | 125 | საფრანგეთი | 427 |
| ლიბერა | 50 | თურქეთი | 424 |
| ნიგერია | 49 | დიდი ბრიტანეთი | 252 |
| სომხეთი | 19 | საბერძნეთი | 237 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 15 | ავსტრია | 160 |
| უკრაინა | 10 | იტალია | 139 |
| ირანი | 7 | ლატვია | 119 |
| ისრაელი | 7 | აზერბაიჯანი | 117 |
| აშშ | 6 | ჩეხეთი | 109 |
| საბერძნეთი | 6 | ბელორუსია | 95 |
| სირია | 5 | პოლონეთი | 64 |
| გერმანია | 5 | ესპანეთი | 62 |
| ნორვეგია | 5 | ბულგარეთი | 55 |
| | | ესტონეთი | 51 |
| | | ნიდერლანდები | 44 |
| | | შვეიცარია | 43 |
| | | შვედეთი | 35 |
| | | ლიბერა | 27 |

¹⁷⁰ <http://www.ehea.info/Uploads/National%20reports/Georgia.pdf>

| | | | |
|---------------------------------------|-------------|-------------------------------------|-------------|
| | | ბეჭდია | 26 |
| | | ნორგებია | 20 |
| | | სლოვაკეთი | 20 |
| | | კანადა | 15 |
| | | საუდის არაბეთი | 15 |
| | | ფაზახეთი | 11 |
| | | იაპონია | 10 |
| | | კვიპროსი | 10 |
| | | უნგრეთი | 10 |
| სხვა ქვეყნები | 33 | სხვა ქვეყნები | 31 |
| სულ შემომსვლელი სტუდენტები | 1670 | სულ გამსვლელი სტუდენტები | 8407 |


წყარო: UNESCO-ს 2012 წლის მონაცემები¹⁷¹

მოცემული ცხრილიდან კარგად ჩანს სტუდენტთა მობილობის დისბადანსი საქართველოში. მოცემული დისბადანსის შესაფასებლად, დამუშავებულ იქნა იუნესკოს მონაცემები კიდევ ხუთ ქვეყანაზე: სომხეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი, ლატვია და ლიტვა. აღნიშნული ქვეყნები შეირჩა საქართველოსთან ანალოგიის პრინციპით მოსახლეობის რაოდენობის, ტერიტორიის სიდიდის, რეგიონალური სიახლოვის და ისტორიული წარსულის გათვალისწინებით (იხ. დიაგრამა 3.1).

დიაგრამა მკაფიოდ აჩვენებს, რომ ხუთივე ქვეყანაში უცხოელი სტუდენტების ნაკლებობა ბევრად ნაკლებია ამ ქვეყნებიდან უცხოეთში გასულ სტუდენტთა რაოდენობაზე. თუმცა საზღვარგარეთ მყოფი სტუდენტების პროპორცია ქვეყანაში მყოფ უცხოელ სტუდენტებთან მიმართებაში ყველაზე მაღალია საქართველოში 5:1, მაშინ როდესაც სომხეთში ეს მაჩვენებელი არის 1,68, აზერბაიჯანში – 4,4, ესტონეთში 2,7, ლატვიაში – 2,4, ლიტვაში 3,9. განხილული ექვსი ქვეყნიდან ყველაზე ნაკლებ უცხოელ სტუდენტს მასპინძლობს საქართველო. მიზანშეწონილი იქნებოდა ცალკე კვლევის ჩატარება მიზეზების დასადგენად, თუმცა გარკვეული ღონისძიებების ჩატარება ამ სიტუაციის გამოსასწორებლად დაუყოვნებლივაც შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ უნივერსიტეტების ინტერნაციონალური ურთისესობა ძირითადი ფაქტორი და მიზანი უცხოელი სტუდენტების მოზიდვაა.

¹⁷¹ <http://www.uis.unesco.org/Education/Pages/international-student-flow-viz.aspx> [Accessed 8 June 2014]

დიაგრამა 3.1: აკადემიურ პროგრამებზე რეგისტრირებულ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა



წყარო: UNESCO-ს 2012 წლის მონაცემები¹⁷²

მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას ევროკავშირის მეტ პროგრამებში აქვთ მონაწილეობის საშუალება და მათთვის ევროკავშირის ქვეყნებში გაუქმდებულია უცხოელთა ტარიფით სწავლის გადასახადის გაანგარიშება, მიღებული მონაცემებით საქართველოდან სასწავლებლად წასვლის მაჩვენებელი მაინც ბევრად მაღალია ესტონეთისა და ლატვიის ანალოგიურ მაჩვენებელთან. შესაბამისად ფინანსური სირთულე ბარიერად ვერ ჩაითვლება.

აკადემიური მობილობის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ევროკავშირის პროგრამები საქართველოში. მათ შორის აღსანიშნავია ერასმუს მუნდუსი (ERASMUS MUNDUS). ეს პროგრამა 2014 წლიდან ჩანაცვლდა ერასმუს+ (ERASMUS+) პროგრამით. ერასმუს მუნდუსის პროგრამის ხელშეწყობით განხორციელებული აკადემიური გაცვლები ეგროპის მასშტაბით დეტალურად აღწერილია მეორე თაგში. რაც შეეხება საქართველოს, ერასმუსის პროგრამები ხორციელდებოდა ევროპული

¹⁷² <http://www.uis.unesco.org/Education/Pages/international-student-flow-viz.aspx> [Accessed 8 June 2014]

პარტნიორი უნივერსიტეტების კონსორციუმების მიერ. საქართველოში ასეთი სახის თანამშრომლობა ვითარდებოდა სამი მიმართულებით:

1. ერასმუს მუნდუსის ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები,
2. ერასმუს მუნდუსის მობილობის პროგრამა,
3. ერასმუს მუნდუსის უმაღლესი განათლების ეკროპული სივრცის მიზნიდებით.

პირველი პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულ სტუდენტს შეუძლია ისწავლოს ეკროპის რამდენიმე უნივერსიტეტში და კურსის დამთავრების შემდეგ მიიღოს ერთობლივი ხარისხი. ამ პროგრამაზე ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია განაცხადის შეტანა სამაგისტრო ან სადოქტორო სწავლების დაფინანსების მოთხოვნით. ცხრილი 3.2 გვიჩვენებს ერასმუს მუნდუსის პროგრამით განხორციელებულ საერთაშორისო მობილობას საქართველოში. ამ პროგრამით 54 სტუდენტს დაუფინანსდა სამაგისტრო სწავლება ევროპაში, 2-დოქტორანტს და 5 პროფესორი იქნა მიწვეული ლექციების წასაკითხად.

ცხრილი 3.2: ერასმუს მუნდუსის მიერ დაფინანსებული სტიპენდიები ქართველი სტუდენტებისა და პროფესორებისათვის

| | სულ | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|-----------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| სამაგისტრო პროგრამების სტიპენდიანტები | 54 | 2 | 3 | 3 | 5 | 10 | 9 | 7 | 3 | 12 |
| სადოქტორო პროგრამის სტიპენდიანტები | 2 | | | | | | | 1 | | 1 |
| პროფესორების მიწვევა კურსების წასაკითხად | 5 | 1 | 1 | | | 1 | 2 | | | |

წყარო: ერასმუს პლუსის ოფისი საქართველოში¹⁷³

აღნიშნული სამაგისტრო და სადოქტორო სტიპენდიები, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება ქართული უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციად, რადგან შესაბამისმა სტუდენტებმა მთლიანი კურსი გაიარეს საზღვარგარეთ, თუმცა პროფესორ-მასწავლებლების დაფინანსება ევროპაში ლექციების წასაკითხად, რა თქმა

¹⁷³<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Tempus%20and%20Erasmus%20Mundus%20in%20Georgia%20-%20overview%20-%20ge.pdf>

უნდა ამ პროფესორების მუდმივი სამუშაო ადგილის, ანუ ქართული უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ნაწილია.

ერასმუს მუნდუსის მეორე მიმართულება მოიცავს მობილობის პროგრამას მოკლევადიანი გაცვლებისათვის ორგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალისათვის. აღნიშნული პროგრამა უშუალო კავშირშია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციის პროცესისა. გაცვლები ხორციელდებოდა ევროპული უნივერსიტეტების შერჩეული კონსორციუმის ფარგლებში. სულ ასეთი სახის 23 კონსორციუმთან თანამშრომლობდნენ ქართული უნივერსიტეტები 2007 წლიდან. 2013-2014 წლების მონაცემებით მიმდინარე პროექტებში მონაწილეობას ღებულობდა 17 უნივერსიტეტი საქართველოდან, მათ შორის 11 საჯარო და 6 კერძო უმაღლესი განათლების დაწესებულება. ამ პროგრამის ფარგლებში 2007-2013 წლებში სულ 847-მა სტუდენტმა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის მიიღო მონაწილეობა (იხ. ცხრილი 3.3).

ცხრილი 3.3: ერასმუს მუნდუსის მიერ დაფინანსებული გაცვლითი პროგრამები ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის

| წელი | ბაკალავრები | მაგისტრები | დოქტორანტები | პოსტ-სადოქტორო | აკად. პერსონალი | სულ |
|------------|-------------|------------|--------------|----------------|-----------------|------------|
| 2007 | 16 | 14 | 11 | 5 | 3 | 49 |
| 2008 | 23 | 14 | 13 | 5 | 3 | 58 |
| 2009 | 22 | 17 | 12 | 5 | 3 | 59 |
| 2010 | 18 | 15 | 10 | 3 | 4 | 50 |
| 2011 | 18 | 12 | 13 | 8 | 9 | 60 |
| 2012 | 79 | 68 | 72 | 34 | 45 | 298 |
| 2013 | 92 | 65 | 51 | 22 | 43 | 273 |
| სულ | 268 | 205 | 182 | 82 | 110 | 847 |


წყარო: ერასმუს პლუსის ოფისი საქართველოში¹⁷⁴

ამ მონაცემების მიხედვით ერასმუს მუნდუსის მიერ და დაფინანსებული გაცვლების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა, განსაკითრებით 2012 წლიდან, რაც უმაღლესმა სასწავლებლებისთვის ინტერნაციონალიზაციის გაფართოების კარგ

¹⁷⁴<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Tempus%20and%20Erasmus%20Mundus%20in%20Georgia%20-%20overview%20-%20ge.pdf>

საშუალებას იძლევა. დიაგრამა 3.2 საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ერასმუს მუნდუსის გაცვლითი პროექტების რაოდენობა 2007-2013 წლებში, რომლებშიც ქართული უნივერსიტეტები მონაწილეობდნენ.

დიაგრამა 3.2: ქართული უნივერსიტეტების მონაწილეობა ერასმუს მუნდუსის პროექტებში 2007-2013 წლებში



წყარო: <http://erasmusplus.org.ge>

ერასმუს მუნდუსის პროექტებში მონაწილეობის თვალსაზრისით ყველაზე დიდი აქტივობა აქვს ივ. ჯავახიშვილს სახელმწიფო უნივერსიტეტს და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამაში კერძო უნივერსიტეტები ჩაერთნენ 2013 წელს. ამით არის ასახსნელი მათი აქტივობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი საანგარიშო 2007-2013 წლებში. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სულ ამ პროგრამებში მონაწილეობდა 18 უნივერსიტეტი, რაც საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების 25%-ს შეადგენს. წლების მიხედვით ერასმუსის პროგრამებში უნივერსიტეტების მონაწილეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში 3.

საქართველოს უნივერსიტეტების ქსელური კავშირებისა და ევროპის უნივერსიტეტებთან პარტნიორობის დამყარებას ხელს უწყობდა პროგრამა ტემპუსი (TEMPUS). ტემპუსი, ისევე როგორც ერასმუს მუნდუსი, ევროგაერთიანების პროგრამას

წარმოადგენს. ერასმუს მუნდუსისაგან განსხვავებით, ტემპუსის მთავარ მიზანს წარმოადგენდა პროგრამაში ქვეყნების უნივერსიტეტების პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა და ერთობლივი პროგრამების განხორციელება ევროპულ უნივერსიტეტებთან. ტემპუსი გათვალისწინებული იყო დასავლეთ ბალკანეთის, აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის 27 ქვეყნის უნივერსიტეტებისათვის, მათ შორის საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის. აღსანიშნავია, რომ ტემპუსი, ისევე როგორც ერასმუს მუნდუსი, 2014 წლიდან გაერთიანდა ერასმუს პლუსის გაფართოებულ პროგრამაში.

ტემპუსის მთავარი მიზანი გახდათ პარტნიორი უნივერსიტეტების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება, უნივერსიტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესება, მათი დაკავშირება და ერთობლივი პროექტების განხორციელება ევროპის უნივერსიტეტებთან, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა და ა.შ. ტემპუსი პროგრამა პირდაპირ კავშირშია მონაწილე უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესთან სხვადასხვა სახის ქსელებისა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების გზით.

ტემპუსმა პროექტების განხორციელება საქართველოში დაიწყო 1995 წელს. მას აქვს დიდი წვლილი ბოლონიის პროცესის სტანდარტების დანერგვაში და განხორციელებაში საქართველოს მასშტაბით., საქართველოში მისი ამოქმედების დღიდან ტემპუსის პროგრამებში მონაწილეობა მიიღო ოცდაათმა უმაღლესი განათლების დაწესებულებამ. ამ პროგრამამ უნივერსიტეტებს მისცა შესაძლებლობა ევროპის ყველა ქვეყანასთან, მალტისა და ლუქსემბურგის გამოკლებით¹⁷⁵. ტემპუსის საქართველოს ოფისის გებგვერდის მიხედვით, ქართული უმაღლესის სასწავლებლების 49% მონაწილეობდა ბოლო 18 წლის მანძილზე განხორციელებულ პროექტებში. სულ განხორციელდა 77 პროექტი. ტემპუსის პროგრამით 2001-2006 წლებში დაფინანსდა უნივერსიტეტების პერსონალის მობილობა. ამ პროექტში სულ მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტების 42-მა თანამშრომელმა. მაგრამ, პროგრამის პროექტების 80% მოიცავდა საგანმანათლებლო რეფორმების სფეროს.

¹⁷⁵<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Tempus%20and%20Erasmus%20Mundus%20in%20Georgia%20-%20overview%20-%20ge.pdf>

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა ბიომეცნიერები-ბიოტექნოლოგია, მედიცინა, ვეტერინარია, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, ეკონომიკა, ტურიზმი, მათემატიკა, საინჟინრო მეცნიერებები, ეკონომიკური მართვა¹⁷⁶.

ტემპუსის პროგრამების განხორციელებამ ხელი შეუწყო ბოლონიის პროცესის წარმატებით წარმართვას, გაზარდა უნივერსიტეტების დაინტერესება და მოტივაცია ინტერნაციონალიზაციის უფრო ინტენსიურად განხორციელებაში. ქართული უმაღლესი სასწავლებლები არა მარტო პროექტების მონაწილე, არამედ ტემპუსის პროექტების კოორდინატორებიც გახდნენ. 2013 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტემპუსის 3 პროექტს უწევდა კოორდინაციას, ილია უნივერსიტეტი 2-ს, ხოლო დ. ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი – ერთს. ამ ეტაპზე საქართველოში ხორციელდება ტემპუსის 30 პროექტი, რომელთა დასრულებაც ნავარაუდევია 2016 წლის ნოემბრის ბოლოსთვის.

ტემპუსის ერთერთი პროექტი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გორის სასწავლო უნივერსიტეტი, პირდაპირ ეხება უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის საკითხებს. პროექტის დასახელებაა “ინტერნაციონალიზაცია ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში”. პროექტში ორი ქართული უნივერსიტეტის გარდა მონაწილეობს ოთხი ევროპული უნივერსიტეტი, რომელთაც ინტერნაციონალიზაციის მეტი გამოცდილება გააჩნიათ და ასევე ბელორუსისა და ტაჯიკეთის უნივერსიტეტები¹⁷⁷. პროექტი მიზნად ისახავს გაუზიაროს ევროპული გამოცდილება და ჩაატაროს ტრენინგები უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ჩამოყალიბების და განხორციელების მიმართულებით.

ტემპუსის მეორე მიმდინარე პროექტი, რომელიც ინტერნაციონალიზაციას ეხება უშუალოდ დაიწყო 2013 წლის დეკემბერს და მისი დასრულება გათვალისწინებულია 2016 წლის ნოემბერს. პროექტის დასახელებაა “უმაღლესი განათლების დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის წახალისება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში კულტურული და სტრუქტურული ადაპტაციის მეშვეობით”.

¹⁷⁶<http://erasmusplus.org.ge/files/publications/Tempus%20and%20Erasmus%20Mundus%20in%20Georgia%20-%20overview%20-%20ge.pdf>

¹⁷⁷<http://institucional.us.es/tempusicaen/> [7.08.2014]

ამ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, შ. მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პროექტის მიზანია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებების ინტეგრაცია სწავლებაში, სწავლაში და საუნივერსიტეტო კვლევებში. პროექტით გათვალისწინებულია ტრენინგები და სხვა აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის ელემენტების დანერგვას კურიკულუმში, მკვლევარებისა და სტუდენტების გაცვლებს, ახალი ცოდნის შეძენას, რათა წახალისებულ იქნეს უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესი¹⁷⁸.


დიაგრამაში 3.3 ნაჩვენებია ქართული უნივერსიტეტების მონაწილეობა ტემპუსის მიმდინარე პროექტებში 2014 წლის ოქტომბრის მონაცემებით. ისევე როგორც ერასმუს მუნდუსის პროექტების შემთხვევაში ტემპუსის პროექტებშიც აქტივობების მიხედვით ლიდერობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტემპუსი მრავალმხრივი მიმართულებით სთავაზობს უნივერსიტეტებს პროექტებში მონაწილეობას და შესაბამისად, როგორც მონაწილეთა რაოდენობა, ასევე პროექტების რაოდენობა მეტია ერასმუსი პროექტების მონაწილეებისა და პროექტების რაოდენობაზე. სრული ინფორმაცია ამჟამად მიმდინარე პროექტებზე ხელმისაწვდომია ერასმუს პლუსის ვებგვერდზე¹⁷⁹.

ერასმუს მუნდუსისა და ტემპუსის პროექტები და 2014 წლიდან უკვე ერასმუს პლუს პროგრამა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც გარე სტრატეგიული ფაქტორი, რომელიც სთავაზობს უნივერსიტეტებს მრავალფეროვან შესაძლებლობებს საერთაშორისო არენაზე სამოქმედოდ. ამ პროექტების ფარგლებში დაგროვილი ახალი ცოდნა, გამოცდილება და პროცედურები, დაეხმარება უნივერსიტეტებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების სწორად შემუშავებაში, მათი საქმიანობის ეფექტურ მენეჯმენტში და სტრატეგიების წარმატებით განხორციელებაში.

¹⁷⁸ http://cesie.org/media/cesie.org_description_PICASA.pdf [7.08.2014]

¹⁷⁹ <http://erasmusplus.org.ge/files/publications/Tempus%20Projects%20in%20Georgia%20%28for%20website%29.pdf>

დიაგრამა 3.3: ქართული უნივერსიტეტების მონაწილეობა ტემპუსის მიმდინარე პროექტებში



წყარო: <http://erasmusplus.org.ge>


საქართველოს უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული მონაცემების დამუშავების შემდეგ, ინფორმაციის მიღების ორი წყაროს განხილვა დაისახა მიზნად. რადგანაც ინტერნაციონალიზაციის არსებობა უნივერსიტეტებისათვის წარმოადგენს მძლავრ მარკეტინგულ საშუალებას, გაკეთდა დაშვება, რომ უნივერსიტეტები ინტერნაციონალიზაციის შესახებ ინფორმაციას მაქსიმალურად სრული სახით განათავსებდნენ მათ ვებგვერდებზე. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დეტალურად დამუშავებული იქნა 28 უნივერსიტეტისა და 27 სასწავლო უნივერსიტეტის გებგვერდები. მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების პერიოდში (2014 წლის ივნისი), ეს გახლდათ სრული რაოდენობა ავტორიზებული უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტებისა საქართველოში. ამ პერიოდიდან სადისერტაციო ნაშრომის ჩაბარებამდე (2014 წლის დეკემბერი) უნივერსიტეტების რაოდენობა არ შეცვლილა, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტებს დაემატა 4 ახალი სასწავლო უნივერსიტეტი, თუმცა ეს ფაქტი ჩვენს კვლევაზე გავლენას ვერ მოახდენდა იმდენად,

რამდენადაც ახალი ოთხი უმაღლესი სასწავლებელი, წარმოადგენს ახალ სასწავლო უნივერსიტეტებს, რომელთაც არანაირი გამოცდილება და სტრატეგია ჯერ-ჯერობით არ გააჩნიათ ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, შესაბამისად მოცემულ ინდუსტრიაში არსებულ ტენდენციებზე გავლენას ვერ მოახდენდნენ ასეთი მცირე პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების ვებგვერდების დეტალური კვლევისა, ასევე მიზნად დავისახეთ მიგვედო პირველადი მონაცემები პირდაპირ უნივერსიტეტებიდან. რადგან ვებგვერდების კვლევის მიხედვით მკაფიოდ გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო არენაზე ბევრად უფრო აქტიურები არიან უნივერსიტეტი, ვიდრე სასწავლო უნივერსიტეტები (დეტალები მოცემულია ამ ქვეთავში მოგვიანებით), შესაბამისად პირველადი მონაცემების მისაღებად სამიზნე ჯგუფად ჩამოყალიბდა უნივერსიტეტები, რომელთაც სპეციალური ვებპორტალის SurveyMonkey-ს მეშვეობით დაეგზავნათ სპეციალური კითხვარი, რომელიც მიზნად ისახავდა პირველწეროდან მიგვედო ინფორმაცია უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის, მათი სტრატეგიებისა და მენეჯმენტის შესახებ. აღნიშნულ კითხვარზე პასუხების მიღების შემდეგ, ანალიზისათვის და შესაბამისი დასკვნების გამოტანისათვის სამიზნე ჯგუფი კიდევ უფრო დავიწროვდა. ამ დასკვნით ეტაპზე, მიღებულ იქნა 15 პასუხი 28 უნივერსიტეტიდან. 15 პასუხიდან 9 წარმოადგენს გამოხმაურებას საჯარო (სსიპ) უნივერსიტეტებიდან. სულ საჯარო უნივერსიტეტების რაოდენობაა 12, ამიტომაც 9 საჯარო უნივერსიტეტის გამოხმაურება ვალიდურ მონაცემად ჩაითვალა და შესაბამისად მიზნობრივი აუდიტორია ჩვენი კვლევის საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციებისათვის გახდა საჯარო უნივერსიტეტები. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია და ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია დიდწილად ერთმანეთთან თანხვედრაშია, რამაც მოგვცა იმის საშუალება, რომ ვიფიქროთ ჩვენი დასკვნებისა და რეკომენდაციების განზოგადოებაზე სხვა უნივერსიტეტებისათვისაც.

რადგანაც თანამედროვე მსოფლიოში საქმიანი ურთიერთობების ენას დიდწილად წარმოადგენს ინგლისური ენა, ინტერნაციონალიზაციაზე სერიოზული განაცხადი წარმოუდგენელია უნივერსიტეტის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის არსებობის გარეშე. კვლევის პერიოდში, საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტებიდან მხოლოდ 3-ს არ გააჩნდა ინგლისურენოვანი ვებგვერდი, 3-ს

გააჩნდა იგი არასრული სახით. არასრული სახით ვებგვერდის არსებობა გულისხმობს, უნივერსიტეტის შესახებ ინგლისურენოვანი ძირითადი ინფორმაციის არსებობას, მაგრამ სხვა დეტალები, მიუხედავად ინგლისურენოვანი ბმულის არსებობისა, მაინც განთავსებულია ქართულად. მიუხედავად უნივერსიტეტებისა და სასწავლო უნივერსიტეტების თითქმის თანაბარი რაოდენობისა (28 და 27 შესაბამისად) სასწავლო უნივერსიტეტების შემთხვევაში, ინგლისურენოვანი ვებგვერდი არ გააჩნია 12 მათგანს, ხოლო, არასრული სახით აქვს 6-ს. (იხილეთ დიაგრამა 3.4)


დიაგრამა 3.4 : უსდ-ს ინგლისურენოვანი ვებგვერდების არსებობა



ისევე როგორც ნებისმიერი დარგის მენეჯმენტში, უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტში აუცილებელია შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა როგორც პოტენციური მომხმარებლისათვის, ასევე შიგა მოხმარებისათვის (თანამშრომლებისათვის). სრული ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საერთაშორისო პროგრამების შესახებ, როგორიცაა გაცელითი პროგრამები სტუდენტებისათვის, პროფესიონალური მასწავლებლებისათვის, ერთობლივი პლევები და ა.შ., ვებზე განთავსებული აქვს 15 უნივერსიტეტს, არც ერთ სასწავლო უნივერსიტეტს ეს ინფორმაცია არ აქვს მოვცემული, ხოლო ნაწილობრივი

ინფორმაცია განთავსებული აქვს შესაბამისად 5 და 6 უნივერსიტეტს. ნაწილობრივი ინფორმაცია გულისხმობს საერთაშორისო პროგრამების არსებობის შესახებ ინფორმაცია დეტალურად დაკონკრეტების გარეშე (იხ. დიაგრამა 3.5).


დიაგრამა 3.5: უსდ-ს საერთაშორისო პროგრამებზე ვებგვერდის არსებობა



სადისერტაციო პრეზენტაციების ფარგლებში დამუშავებული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კონცეპტუალური მოდელის მიხედვით, უნივერსიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ქსელები, პარტნიორი თრგანიზაციები და ა.შ. აღნიშნული მონაცემები გამოქვეყნებული არ აქვს სასწავლო უნივერსიტეტების აბსოლუტურ უმრავლესობას (23) და 11 უნივერსიტეტს. სულ 6 უნივერსიტეტს გააჩნია 30-ზე მეტი პარტნიორი უნივერსიტეტი საზღვარგარეთ (დეტალურად იხ. დიაგრამა 3.6).


რაც შეეხება თვით საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობას, ამის შესახებ მონაცემები არ აქვს გამოქვეყნებული 22 უნივერსიტეტს და 25 სასწავლო უნივერსიტეტს. ერთ უნივერსიტეტს გააჩნია 11-ზე მეტი ორგანიზაციის წევრობა, სხვა დანარჩენები ათამდე უნივერსიტეტის წევრები არიან. (იხ. დიაგრამა 3.7)

დიაგრამა 3.6: საერთაშორისო პარტნიორი
უნივერსიტეტების რაოდენობა



აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა გამოკვლეულიქნა საერთო საუნივერსიტეტო დონეზე. შესაბამისად ზოგიერთი უნივერსიტეტის ფაკულტეტების წევრობა საერთაშორისო უნივერსიტეტებში მოცემულ მონაცემებში გათვალისწინებული არ არის.


დიაგრამა 3.7: საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა



უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს გაცვლითი პროგრამების არსებობა. როგორც დარგის მეცნიერები აღნიშნავენ, გავცლითი პროგრამები ხშირ შემთხვევაში ინტერნაციონალიზაციის ყველაზე მარტივ გზას წარმოადგენენ და უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება დიდწილადაა დამოკიდებული გაცვლითი პროგრამების ჩამოყალიბებაზე. მიუხედავად ამისა, სასწავლო უნივერსიტეტებისა და უნივერსიტეტების აბსულუტურ უმრავლესობას გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია მოცემული არა აქვთ. 21-ზე მეტი გაცვლითი პროგრამა გააჩნია მხოლოდ 2 უნივერსიტეტს, 11-დან 20-მდე გაცვლითი პროგრამა აქვს 3 უნივერსიტეტს და 1 სასწავლო უნივერსიტეტს, 6-დან 10-მდე გაცვლითი პროგრამა გააჩნია 2 უნივერსიტეტს და 2-დან 5-მდე – თითო თითო უნივერსიტეტსა და სასწავლო უნივერსიტეტს. 20 უნივერსიტეტი და 25 სასწავლო უნივერსიტეტი, ასეთ მონაცემს საერთოდ არ აქვთ ნებს (დიაგრამა 3.8).

დიაგრამა 3.8: საერთაშორისო გაცვლითი


პროგრამების



საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ხელშემწყობ გარე სტრატეგიულ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ერასმუსისა და ტემპუსის ევროპულ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მესამე თავში დეტალურად არის გაანალიზებული თვით ამ პროგრამების მიერ


განხორციელებული პროექტები და მასში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლები. მიუხედავად იმისა, რომ თვით ერასმუს პლუსის მასალები იძლევა ტემპუსისა და ერასმუსის პროექტებში მონაწილე უნივერსიტეტების რაოდენობას, 27 და 18 შესაბამისად, ქართული უნივერსიტეტების ნაწილს ეს ინფორმაცია ვებზე არ აქვს განთავსებული. მაგალითად, სულ 13 უნივერსიტეტს და 2 სასწავლო უნივერსიტეტს აქვს მოცემული ეს ინფორმაცია (იხ. დიაგრამა 3.9), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უნივერსიტეტების და სასწავლო უნივერსიტეტების თითქმის ნახევარს კარგად არ აქვს გააზრებული ვებგვერდზე საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ინფორმაციის განთავსების მნიშვნელობა ინტერნაციონალიზაციის პროცესისათვის.

დიაგრამა 3.9: ერასმუს/ტემპუსის პროექტებში მონაწილეობა



კვლევისას ყურადღება მიექცა ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, როგორიცაა თვით უნივერსიტეტში უცხოურენოვანი პროგრამების არსებობა, რომლებზეც შესაძლებელია უცხოელი სტუდენტების მოზიდვა განხორციელდეს. ასეთი სახის პროგრამებზე ინფორმაცია იძლება 7 უნივერსიტეტი და 3 სასწავლო უნივერსიტეტი. დანარჩენების შესახებ ასეთი სახის ინფორმაცია არ არსებობს. (იხ. დიაგრამა 3.10).


დიაგრამა 3.10 : უსდ-ში უცხოურენოვანი პროგრამების არსებობა



სადისერტაციო კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის საკითხები, რაშიც ძირითად როლს თამაშობს სტრატეგიების ჩამოყალიბება და მათი განხორციელება. შესაბამისად კვლევის ამ ეტაპზე გამოკვლეულ იქნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნაციონალიზაციის სტარტეგიების ხელმისაწვდომობა. უნივერსიტეტების უმრავლესობის ვებგვერდებზე მათი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. მხოლოდ 4 უნივერსიტეტის და 5 სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზეა მოცემული ზოგადი საუნივერსიტეტო სტრატეგია, რომელიც მოიცავს ინტერნაციონალიზაციის პუნქტებს. მიუხედავად ამისა, ეს სტრატეგიებიც არ არის დამუშავებული თანამედროვე სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპებით და უფრო სურვილების ჩამონათვალს წააგავს, ვიდრე დასაბუთებულ სტრატეგიას და მისი იმპლემენტაციის გეგმას. (იხ. დიაგრამა 3.11)


დიაგრამა 3.11: უსდ-ში ინტერნაციონალიზაციის

სტრატეგიების გებგვერდებზე გამოქვეყნება



ბოლო მონაცემი, რაც უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციას უპავშირდება და რომლის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გევგვერდის საშუალებით სავსებით შესაძლებელია, ეს არის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული აღმასრულებელი სტრუქტურული ერთეულის არსებობა უნივერსიტეტში, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებზე და პროექტებზე. 17 უნივერსიტეტების და 9 სასწავლო უნივერსიტეტს ასეთი სტრუქტურული ერთეულის შესახებ ინფორმაცია მოცემული აქვს საკუთარ გებგვერდზე. დანარჩენი უნივერსიტეტები არ აქვეყნებენ ამ ინფორმაცია. (იხ. დიაგრამა 3.12).

დიაგრამა 3.12 : უსდ-ში ინტერნაციონალიზაციის სტრუქტურული ერთეულის
არსებობა



ვებგვერდებზე 55 უნივერსიტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციაზე ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ცხადი გახდა, რომ მიღებული მონაცემები დიდწილად ასახავენ რეალურ ტენდენციებს ამ დარგის ინტერნაციონალიზაციის შესახებ საქართველოში, მაგრამ ამავე დროს შესაძლოა ზოგიერთ უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის არსებული დონე და მათ მიერ ამ ინფორმაციის საჯაროდ ვებზე განთავსება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს. შესაბამისად კვლევის მეორე ეტაპზე დაისახა მიზანი, ჩატარებულიყო გამოკითხვა უშუალოდ უნივერსიტეტში. ამ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩაითვალა სამიზნე აუდიტორია უფრო დავიწროებულიყო და გამოკითხვისთვის შეგვერჩია 28 უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის სასარგებლოდ არჩევანი შეჩერდა ორი მიზეზის გამო: პირველი, რადგანაც უმაღლესი განათლების დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული მოდელი ითვალისწინებს მოქმედებათა სპექტრს ყველა მიმართულებით, სასწავლო უნივერსიტეტებში საგანმანათლებლო პროგრამები შეზღუდულია საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების არსებობით და შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა ნაკლებად არის წარმოდგენილი, და მეორე, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით (ერასმუს პლუსის ოფისი) და უნივერსიტეტების ვებგვერდების ანალიზით ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტები ბევრად უფრო აქტიურად არიან ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, ვიდრე სასწავლო უნივერსიტეტები. როგორც მიმდინარე ნაშრომში მოცემული იყო (იხ. თავი 2), უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციისა და მათი სტრატეგიების გვრცების

მასშტაბით ჩატარებული კვლევებში, აქტიური რესპონდენტები იყვნენ უნივერსიტეტების საერთაშორისო ურთიერთობების ოფისები. შესაბამისად, შედგენილი კითხვარი დაეგზავნა ქართული უნივერსიტეტების საერთაშორისო სამსახურების ხელმძღვანელებს. როგორც აღინიშნა, კითხვარი შედგა კვლევების სპეციალური ვებპორტალის SurveyMonkey-ს მეშვეობით. აღნიშნული პორტალი იძლევა არა მარტო გამოხმაურების (პასუხების) შეგროვების საშუალებას, არამედ მისი საშუალებით შესაძლებელია მიღებული პასუხების დაჯგუფება, გრაფიკებისა და დიაგრამების აგება და ანალიზი.

კითხვარზე (იხ. დანართი 4) გაკეთებული ანოტაციის მიხედვით რესპონდენტის და უნივერსიტეტის ანონიმურობა დაცული იქნებოდა, თუ რა თქმა უნდა თვითონ უნივერსიტეტი არ გამოთქვამდა სურვილს რომ ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი ყოფილიყო ნაშრომის მკითხველისათვის. კითხვარი ასევე ითხოვდა პასუხს კითხვაზე, თუ რა იყო უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი. ამ კითხვაზე პასუხებმა მოგვცა საშუალება გაგვიცალკვებინა მონაცემები, რათა შემდგომში დასკვნების განზოგადება ყოფილიყო შესაძლებელი.

28 უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისს გაეგზავნა შესაბამის ბმული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, სადაც მათ შეეძლოთ შესულიყვნენ მიმაგრებულ ბმულზე და ეპასუხათ დასმულ შეკითხვებზე. იქ სადაც საერთაშორისო ოფისის ელექტრონული ფოსტის დადგენა ვერ მოხერხდა, ელექტრონული ფოსტა გაეგზავნა უნივერსიტეტის ძირითად ელ.ფოსტის მისამართზე თხოვნით, რომ მიეწოდებინათ შესაბამისი თანამდებობის პირებისათვის.


საბოლოო მონაცემებით, სულ მიღებულ იქნა 15 გამოხმაურება, აქედან 9 საჯარო უნივერსიტეტისაგან (სსიპ) და 6 კერძო უნივერსიტეტისაგან (შპს). აღსანიშნავია, რომ 12 პასუხი იყო ანონიმური, მხოლოდ სამ უნივერსიტეტს სურდა მათი უნივერსიტეტი დაფიქსირებულიყო კვლევის მასალებში. აღნიშნული უნივერსიტეტებია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

რადგანაც საქართველოს განათლების სამინისტროს მონაცემებით, ამჟამად (2014 წლის დეკემბერი) სულ 12 საჯარო უნივერსიტეტია (სსიპ), ხოლო დანარჩენი 16

– კერძო უნივერსიტეტი, კვლევის შედეგები მიზანშეწონილია განზოგადდეს საჯარო უნივერსიტეტზე, რადგან 9 საჯარო უნივერსიტეტის მონაცემი 12-დან (75% გამოხმაურება) ბევრად უფრო ზუსტად ასახავს უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის ზოგად ტენდენციებს, ვიდრე 6 კერძო უნივერსიტეტის მონაცემი 16-დან (38% გამოხმაურება). შესაბამისად კვლევის ამ ეტაპზე იგნორირებულ იქნა კერძო უნივერსიტეტებიდან მიღებული შედეგები და ანალიზი გაკეთდა საჯარო უნივერსიტეტზე (სსიპ). შესაბამისად ქვემოთ მოყვანილი მონაცემები და ანალიზი, მხოლოდ საჯარო უნივერსიტეტებს ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ არის თუ არა უნივერსიტეტის საერთაშორისო და რა არის მისი ინტერნაციონალიზაციის შესაბამისი დონე შესაძლოა განსხვავებულად შეფასდეს განსხვავებულ შემთხვევებში, საინტერესოა, თვით უნივერსიტეტი როგორ აფასებენ თავიანთ ინტერნაციონალიზაციას. ექვსი უნივერსიტეტი თვლის რომ ის საერთაშორისოა, სამს მიაჩნია, რომ ის არ არის საერთაშორისო უნივერსიტეტი. (იხ. დიაგრამა 3.13)


დიაგრამა 3.13: ინტერნაციონალიზაციის აღქმა უნივერსიტეტების მიერ



ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების არსებობაზე სამმა უნივერსიტეტმა განაცადა, რომ მათ გააჩნიათ სპეციალური სტრატეგია, ოთხ უნივერსიტეტში

აღნიშნული სტრატეგია არის საერთო-საუნივერსიტეტო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, ერთი უნივერსიტეტი ამჟამად არის სტრატეგიის დამუშავების პროცესში, ხოლო ერთი ჯერ-ჯერობით არ მუშაობს ამ სტრატეგიაზე (იხ. დიაგრამა 3.14).


დიაგრამა 3.14: ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების არსებობა



ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ უნივერსიტეტს არ აქვს ვებზე გამოქვეყნებული ინტერნაციონალიზაციის ცალკე სტრატეგია. მხოლოდ ორ საჯარო უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები გათვალისწინებული საერთო საუნივერსიტეტო სტრატეგიებში, რომლებიც ასევე არ არის შედგენილი სტრატეგიების შემუშავების სტანდარტების მიხედვით.

კვლევაში მონაწილე რვა უნივერსიტეტი აცხადებს, რომ სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ხუთი უნივერსიტეტი აცხადებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურული ერთეულიცაა ჩართული სტრატეგიების შემუშავებაში, ხოლო ერთმა უნივერსიტეტმა აღნიშნულ შეკითხვას არ უპასუხა (იხ. დიაგრამა 3.14). თუ შევადარებთ ლიტერატურაში დამუშავებულ მოდელებს და თეორიებს, საქართველოს უნივერსიტეტებში ძირითადად სტარტეგიების დამუშავება ხდება საერთო-საუნივერსიტეტო დონეზე და მასში ნაკლებად არიან ჩართულები ფაკულტეტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

დიაგრამა 3.15: ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების
შემუშავება



უნივერსიტეტებმა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიულ მიმართულებებად დაასახელეს:


- უცხოურენოვანი პროგრამების დამუშავება;
- საერთაშორისო პროექტები უცხოურ უნივერსიტეტებთან;
- უცხოელ პარტნიორებთან კონტაქტების დამყარება;
- ერთობლივი-სასწავლო შემოქმედებითი პროექტების განხორციელება;
- გაცვლითი პროგრამები;
- საერთაშორისო სტუდენტების მობილობისათვის ხელის შეწყობა;
- სტუდენტების ჩართვა პროცესებში;
- ერთობლივი/ორმაგი ხარისხის პროგრამები;
- უცხოელი სტუდენტებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა;
- მეწარმეობის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების განხორციელება;
- საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება;

- სასურველი ინფორმაციის მოძიება;
- საერთაშორისო კონფერენციები.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა უნივერსიტეტმა თავი შეიკავა სტრატეგიული მიმართულებების დასახელებისაგან. ზემოთ ჩამოთვლილ მიმართულებებს თუ დავაკვირდებით და გავაანალიზებთ, ზოგიერთი მათგანი შესაძლოა ჩაითვალოს სტრატეგიად. მაგალითად, გაცვლითი პროგრამების ჩამოყალიბება, ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის პროგრამების დაარსება, ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება და სხვა. თუმცა ბევრი მათგანი შესაძლოა იყოს ამ სტრატეგიების განხორციელების საშუალება. მაგალითად როგორიცაა სასურველი ინფორმაციის მოძიება, საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება, სტუდენტების ჩართვა პროცესებში, უცხოულ პარტნიორებთან კონტაქტების დამყარება და ა.შ.

უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესი მეტნაკლებად ყველა რგოლს და სტრუქტურას შეეხება. თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ თავიანთ უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პროცესში ძირითადად მონაწილეობს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა (7 უნივერსიტეტი), 6 უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურული ერთეული, ხოლო მხოლოდ 2 უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ პროფესორ-მასწავლებლებიც არიან ჩართული ამ პროცესში (იხ. დიაგრამა 3.16).


დიაგრამა 3.16: ინტერნაციონალიზაციის პროცესში მონაწილეობა



როგორც ჩანს, უნივერსიტეტები ინტერნაციონალიზაციას აღიქვამენ ძირითადად ადმინისტრაციულ პროცესად და მისი მართვას ახორციელებენ ცენტრალიზებულად.

უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების შემუშავებისა და მისი განხორციელების აუცილებელი კომპონენტია საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა, რადგანაც ინტერნაციონალიზაციის თითქმის ყველა მიმართულება უცხოურ უნივერსიტეტებთან კოლაბორაციას ეფუძნება. საქართველოში არსებულ საჯარო უნივერსიტეტებს ასეთი სახის ურთიერთობები დამყარებული აქვთ უცხოელ პარტნიორებთან. კვლევაში მონაწილე ორ უნივერსიტეტს პარტნიორული ურთიერთობები აქვს 100-ზე მეტ უნივერსიტეტთან, სამ უნივერიტეტს ჰყავს 50-მდე პარტნიორი, ორს – 30-მდე და დანარჩენ ორს – 10-მდე (იხ. დიაგრამა 3.17). აღნიშნული მონაცემები დაახლოებით იგივეა, რაც ვებგვერდების კვლევის შედეგადაა მიღებული. პარტნიორი უნივერსიტეტების რაოდენობრივი მაჩვენებელი შესაძლოა ამჟამად დიდი სარგებელის მომტანი არ იყოს უნივერსიტეტისათვის (იხ. დიაგრამები 3.18, 3.19, 3.20), მაგრამ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას ეფექტურად ახალი სტრატეგიების დამუშავებისა და განხორციელებისათვის.


დიაგრამა 3.17: საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები



სტუდენტთა გაცვლით პროგრამების არსებობა ინტერნაციონალიზაციის შესაფასებლად ერთეულთი ძირითადი მიმართულებაა. კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტებიდან სამ უნივერსიტეტს გააჩნია 21-ზე მეტი გაცვლითი პროგრამა

უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, ორ უნივერსიტეტს საერთოდ არ გააჩნია გაცვლითი პროგრამები, ორს აქვს 5-მდე გაცვლითი პროგრამა, ხოლო დანარჩენ ორს შესაბამისად 10-მდე და 20-მდე გაცვლითი პროგრამა თითოეულს(იხ. დიაგრამა 3.18).


დიაგრამა 3.18: სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები



საინტერესოა თუ როგორ სარგებლობენ სტუდენტები აღნიშნული გაცვლითი პროგრამებით. თუ დავაკვირდებით დიაგრამას 3.19, შევამჩნევთ, რომ საანგარიშო პერიოდში სამ უნივერსიტეტს არ გაუგზავნია არც ერთი სტუდენტი გაცვლითი პროგრამით, სამმა უნივერსიტეტმა გააგზავნა 10-მდე სტუდენტი, ხოლო ორმა უნივერსიტეტმა გააგზავნა 30-ზე მეტი სტუდენტი გაცვლითი პროგრამებით.


რაც შეეხბა უცხოელი სტუდენტების მობილობას გაცვლითი პროგრამების ფარგლებში საქართველოს უნივერსიტეტებში, აქაც დაახლოებით იგივე ტენდენციები იკვეთება (იხ. დიაგრამა 3.20). ორმა უნივერსიტეტმა მიიღო თცდაათზე მეტი უცხოელი სტუდენტი, ოთხმა უნივერსიტეტმა მიიღო ათამდე სტუდენტი, ხოლო სამ უნივერსიტეტს არც ერთი სტუდენტი არ მიუღია.

დიაგრამა 3.19: სტუდენტთა მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში



მხოლოდ ოთხი უნივერსიტეტი უნივერსიტეტი უთითებს, რომ მათ შეუძლიათ შესთავაზონ უცხოელ სტუდენტებს გაცვლითი პროგრამების ფარგლებში უცხოენოვანი კურსები თავიანთ უნივერსიტეტებში.


დიაგრამა 3.20: უცხოელი სტუდენტების მიღება გაცვლითი პროგრამებით



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის სინთეზური მოდელის მიხედვით, ამ მიმართულებით უნივერსიტეტის სტრატეგიის

ძირითადი მიმართულებაა უცხოელი სტუდენტების მოზიდვა რაგულარულ პროგრამებზე. შესაბამისად მათ უნდა შევუქმნათ მათთვის გასაგებ ენაზე სრული კურსის გავლის საშუალება. გამოკვლეული უნივერსიტეტებიდან 5 აცხადებს, რომ მათ შეუძლიათ შეათავაზონ საერთაშორისო სტუდენტებს სწავლა უცხო ენაზე: ოთხ უნივერსიტეტს შეუძლია შესთავაზოს სრული პროგრამა ინგლისურ ენაზე, ერთ უნივერსიტეტს - ინგლისურ და გერმანულ ენებზე, ხოლო ერთ უნივერსიტეტს - ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.


დიაგრამა 3.21: უცხოურენოვანი სრული კურსის არსებობა



აღსანიშნავია ორმაგი და ერთობლივი პროგრამების არსებობა. კვლევაში მონაწილე ორი უნივერსიტეტი აცხადებს, რომ მათ გააჩნიათ 3-3 ორმაგი ხარისხის პროგრამა, ხოლო ერთს გააჩნია 1 ორმაგი ხარისხის პროგრამა. მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი აკონკრეტებს ორმაგი ხარისხის პროგრამებში მონაწილეობის რაოდენობას – 12 სტუდენტი. რაც შეეხება გეოგრაფიულ არეალს, რესპონდენტები ორმაგი ხარისხის პროგრამების პარტნიორ უნივერსიტეტებს ასეხელებენ გერმანიაში, პორტუგალიაში, ავსტრიასა და საფრანგეთში.


საზღვარგარეთის უნივერსიტეტებტან ერთობლივი კვლევის საკითხებზე დასმულ შეკითხვას, ერთმა უნივერსიტეტმა უპასუხა, რომ მას გააჩნია ერთობლივი პედაგეგები 21-ზე მეტ უნივერსიტეტთან, ერთ უნივერსიტეტს არ აქვს ინფორმაცია ერთობლივი კვლევის შესახებ, ხოლო დანარცენი უნივერსიტეტები ჩართული არიან 5-მდე კვლევით პროექტებში (იხ. დიაგრამ 3.22).

დიაგრამა 3.22: ერთობლივი კვლევითი პროგრამები უცხოურ უნივერსიტეტებთან




რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობას, ექვსი უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ის გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, ხოლო სამი უნივერსიტეტი ამის შესახენ ინფორმაციას არ იძლევა (იხ. დიაგრამ 3.23)

დიაგრამა 3.23: საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა



ევროპული ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის კვლევებისას ვნახეთ, რომ ევროპული უნივერსიტეტების 59%-ს საერთაშორისო პროექტების განსახორციელებლად ცალკე გამოყოფილი სტრუქტურის არსებობა არ დასჭირდებიათ, საქართველოს რეალობაში კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტების 75%-ს ცალკე აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურული ერთეული. 25% პასუხობს, რომ მათ არ გააჩნიათ სტრუქტურული ერთეული, თუმცა სავარაუდოდ მას ითავსებს სხვა ერთეულები სპონტანურად, საჭიროებების დადგომის შემთხვევაში (იხ. დიაგრამ 3.24).

დიაგრამა 3.24: სტრუქტურული ერთეულის არსებობა



ამგვარად, მოცემული კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემები და მათი დამუშავება გვაძლევს საფუძველს გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები, აღმოვაჩინოთ ქართეული უმაღლესი სასწავლებლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის გამოწვევები და შევიმუშაოთ შესაბამისი რეკომენდაციები.

დასკვნები და რეკომენდაციები

შესაბამისი ლიტერატურის ანალიზმა, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული მოდელების შესწავლამ, ამ მოდელების საფუძველზე შექმნილმა ოეორიული და ემპირიული კვლევების ბაზამ, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის მონაცემების დამუშავებამ შესაძლბებელი გახადა ჩამოგვეყალიბებინა მეცნიერული ხასიათის შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთაც გააჩნიათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული დანიშნულება:

- უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია მსოფლიოს მეცნიერთა საზოგადოებისათვის შედარებით ახალ საკვლევ თემას წარმოადგენს. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ უნივერსიტეტებმა და სხვა უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ძალისხმევა განსაკუთრებით 1990-იანი წლებიდან გამოიჩინეს. შესაბამისად გაჩნდა ინტერესი მკვლევარებს შორის, რომ დამუშავებულიყო ინტერნაციონალიზაციის მეცნიერულად დადასტურებული მოდელები, რომლებსაც ექნებოდათ როგორც თეორიული საფუძველი შემდგომი კვლევებისათვის, ასევე პრაქტიკული დანიშნულება უნივერსიტეტების მენეჯმენტის პროცესში.
- უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაცია ცდება წმინდა საგანმანათლებლო მიზნებს და თანამედროვე ეტაპზე ის განიხილება, როგორც სტრატეგიული პროცესი, რომელიც ძალიან ახლოს დგას სხვა ბიზნესპროცესების სტრატეგიულ მენეჯმენტთან, რა თქმა უნდა დარგის სპეციფიკაციების გათვალისწინებით. თვით უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დეფინიციებშიც კი, სულ უფრო ხშირად აღინიშნება, რომ ეს არის სტრატეგიული პროცესი, რომელსაც მივყავართ დასახული მიზნის შესრულებამდე.
- სტარტეგიული მენეჯმენტის პროცესი გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის მკაფიო მიზნის ჩამოყალიბებას, უნივერსიტეტის შიგა რესურსებისა და გარემოს შეფასებას, სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებას, მათი იმპლემენტაციის გეგმის შემუშავებას და მონიტორინგისა და შეფასების სქემის

არსებობას. ბოლონიის სივრცის ქვეყნების უნივერსიტეტების უმეტესობას გააჩნია აღნიშნული სტრატეგიები, ან სტრატეგიები დამუშავების პროცესშია, მთლიანად ევროპის მასშტაბით უნივერსიტეტების მხოლოდ 1%-ს არ გააჩნია ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. საქართველოს საჯარო უნივერსიტეტებში 11%-ს ინტერნაციონალიზაციის მკაფიო სტარტეგია არ გააჩნია, 28 უნივერსიტეტიდან ვებგვედზე სტრატეგია გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ 4 უნივერსიტეტს და 27 სასწავლო უნივერსიტეტიდან – 5-ს. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვეყნებული სტრატეგიები არ არის შედგენილი სტრატეგიების შემუშავების კლასიკური სქემით, და სტრატეგიების ინტერნაციონალიზაციის ნაწილი დიდწილად უფრო სურვილებია, ვიდრე არგუმენტირებული სტრატეგიული მიმრთულებები. უნივერსიტეტებმა შეიძლება იხელმძღვანელონ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტრატეგიით, რომელიც სრულად აქმაყოფილებს სტარტეგიების შემუშავების კრიტერიუმებს.

- უსდ ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი მრავალწახნაგოვანი პროცესია, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც უნივერსიტეტების პასუხი გლობალიზაციის მზარდი გამოწვევებისადმი. საუნივერსიტეტო დონეზე გლობალიზაცია უნდა დავინახოთ ინტერნაციონალიზაციის კონცეფციაში, რაც გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის ისეთი პრაქტიკის დამკვიდრებას, სადაც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე, მრავალგანზომილებიანი ცვლილებების ეპოქის გარდაქმნები ყველა მიმართულებით, როგორიცაა ეკონომიკა, ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშუალებები, განათლება, პოლიტიკა და ა.შ. ინტერნაციონალიზაციის უნდა განვიხილოთ, როგორც ინვესტიცია მომავლის ეკონომიკაში, საკუთარი კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების ბაზრის ზრდა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა, მძლავრი ინსტრუმენტი პიროვნების მულტიკულტურულ გარემოში ადაპტაციისათვის.
- მიუხედავად გარკვეული გარემო საფრთხეებისა, ინტერნაციონალიზაციის პროცესს დადებითი შედეგები მოაქვს უნივერსიტეტის ინსტიტუციონალურ

ზრდაში, კვლევებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში, მეტი ფინანსების მოზიდვაში.

- უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ისეთი საკითხების მენეჯმენტს, კოორდინირებულად წარმართვას და მოგვარებას, როგორიცაა ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიული გეგმის შექმნა. სტარტეგია თავის მხრივ მიმართული იქნება ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაციისაცნ, რომელიც გულისხმობს ისეთი სისტემებისა და პროცესების დამკვიდრებას, რაც ხელს შეუწყობს და განავითარებს ინფრასტრუქტურას, გაცვლითი პროგრამებს, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, ერთობლივ კვლევებს და ა.შ. სტარტეგიების არსებობა ეხმარება უნივერსიტეტს იყოს უფრო აქტიური ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მიმართულებით, როგორიცაა პარტნიორული ურთიერთობების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, საერთაშორისო სარეიტინგო სიებში პოზიციის გაუმჯობესება, კოლაბორაციული პროგრამების ჩამოყალიბება და სხვა.
- მიდგომის მიხედვით, ინტერნაციონალიზაციის პროცესის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტებს შესაძლოა ჰქონდეთ ოთხი სხვადასხვა ტიპის სტრატეგია: სისტემატური ცენტრალური სტრატეგია, სპონტანური ცენტრალური სტრატეგია, სისტემატური მარგინალური სტრატეგია და სპონტანური მარგინალური სტრატეგია. თითოეული ამ სტრატეგიის არსებობა წარმოადგენს რეალობას ტანამედროვე უნივერსიტეტებში. ჩატარებული კვლევის შედეგად, შესაძლოა დაგასკვნათ, რომ ქართულ უნივერსიტეტებში სჭარბობს სისტემატური მარგინალური სტრატეგია, რაც გულისხმობს ცენტრალურ დონეზე ინტერნაციონალიზაციის საკითხების გადაწყვეტას, მათი აღმოცენების შემთხვევაში. როგორც წესი, ასეთი სტრატეგიისას გადასაჭრელი საკითხები და მიმართულებები შეზღუდული რაოდენობითაა. სხვაგვარი ზოგადი სურათია ევროპულ უნივერსიტეტებში, სადაც ინტერნაციონალიზაციისადმი მიდგომა უფრო წარმოადგენს სისტემატურ ცენტრალურ სტრატეგიას, სადაც მიმდინარეობს მუდმივი კოორდინირებული საქმიანობა ინტერნაციონალიზაციის

მიმართულებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია საქართველოს უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციის ეფექტური მენეჯმენტისათვის ჩამოყალიბდეს ისეთი გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიებზე სისტემატურ მუშაობას.

- მუშაობის რეჟიმის მიხედვით უსდ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები შესაძლოა დაიყოს ორ ნაწილად: რეაქტიული რეჟიმი და პროაქტიული რეჟიმი. რეაქტიული რეჟიმი გულისხმობს რეაქციის დონეზე საქმიანობის განხორციელებას, როგორც კი ინტერნაციონალიზაციის საკითხი აღმოცენდება. ასეთი რეჟიმით მუშაობისას ხშირად აღმოცენდება საკონფლიქტო საკითხები სტრატეგიის დამგეგმვასა და შემსრულებლებს შორის, რადგან პიროვნებები, ან სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც პირველად იწყებენ ინტერნაციონალიზაციის ამა თუ იმ საკითხში ჩართვას, ხშირად მტკიცნეულად რეაგირებენ შემდგა ეტაპზე მისი განხორციელების კოორდინაციის ან სხვა ეტაპების დელეგირებაზე. პროაქტიული რეჟიმის შემთხვევაში, წინასწარ ხდება სტრატეგიის დაგეგმვა უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე და წინასწარაა დადგენილი სტრატეგიის განხორციელების ყველა ეტაპის როლები, რაც კონფლიქტს და რეზისტენტობას თითქმის გამორიცხავს. რადგანაც ამ ეტაპზე ინტერნაციონალიზაციის რეაქტიული რეჟიმი დომინირებს, ქართული უმაღლესი სასწავლებლებისათვის, ისევე როგორც ზოგადად სხვა უნივერსიტეტებისათვის, მისაღებია პროაქტიული რეჟიმი, რაც მისცემს უნივერსიტეტებს საშუალებას წინასწარ გააანალიზონ და განსაზღვრონ ინტერნაციონალიზაციის ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება მათ მიზნებს, გარემოს შესაძლობლებებს და საკუთარ ძლიერ მხარეებს.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის საკუთარი ქცევითი მოდელის განსაზღვრა, რაც გულისხმობს საკითხის მნიშვნელობის გაცნობიერებას, მიზანსწრავებას, შესაბამის დაგეგმვას, გეგმის განხორციელებისა და შეფასების გზებისა და მეთოდების განსაზღვრას.

- არამარტო სტრატეგიის ჩამოყალიბება, არამედ მნიშვნელოვანია სტარტეგიების განხორციელების შეფასება. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ნაშრომში განხილული შეფასების მეთოდები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ორი მიზნით: პირველი, შეფასების სქემა შესაძლოა გამოვიყენოთ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის არსებული დონის განსაზღვრისათვის და მეორე, უკვე დაგეგმილი და შესრულებული სტრატეგიების შედეგების შესაფასებლად.
- შეფასების ერთ-ერთი მეთოდია მსოფლიო საუნივერსიტეტო რეიტინგებში უნივერსიტეტების არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგების სამ ძირითად ჩამონათვალში, საქართველოს არც ერთი უნივერსიტეტი არ არის შესული, უნივერსიტეტებისათვის მნიშვნელოვანია ამ რეიტინგების შედეგების მეთოდოლოგიის ცოდნა. აღნიშნული რეიტინგები ინტერნაციონალიზაციის კომპონენტებს ითვალისწინებენ პირდაპირ და ირიბად. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ პირდაპირი კომპონენტები, როგორიცაა უნივერსიტეტში საერთაშორისო სტუდენტებისა და ადგილობრივი სტუდენტების თანაფარდობა, უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების თანაფარდობა ადგილობრივებთან, საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად უურნალებში უცხოელ თანაავტორთან ერთად სტატიის გამოქვეყნება. აღნიშნული საკითხების შეტანა საუნივერსიტეტო სტრატეგიებში, საშუალებას მოგვცემს მომავალში ჩვენი უნივერსიტეტებიც ვიხილოთ საერთაშორისო რეიტინგებში. ეს სულაც არ არის მიუღწეველი ამოცანა, იმდენად რამდენადაც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებიდან (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი) ამ რეიტინგებში მოხვედრილია რამდენიმე უნივერსიტეტი.
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების განხორციელებისათვის მძლავრ იარაღს წარმოადგენს საუნივერსიტეტო ვებგვერდი. ერთ-ერთი სარეზიტინგო კვლევა სწორედ ვებგვერდების შეფასებას ისახავს მიზნად. ამ კვლევის შედეგები დაწვრილებითაა მოცემული ნაშრომში. ასევე, ავტორის მიერ ჩატარებულია უნივერსიტეტების და სასწავლო უნივერსიტეტების ვებგვერდების კვლევა. შესაძლოა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კვლევაში მონაწილე საქართველოს 55 უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დაწესებულების

ვებგვერდების დიდი უმეტესობა არ აქმაყოფილებს ინტერნაციონალიზაციისათვის საჭირო თანამედროვე მოთხოვნებს. ხშირია ისეთი პრობლემები, როგორიცაა ინგლისურ ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, არსებული საერთაშორისო პროგრამების განთავსება ვებგვერდზე, საჯარო უნივერსიტეტებისათვის სტრატეგიების საჯაროობა და ა.შ. ინტენაციონალიზაცია ზოგადად, კერძოდ კი საერთაშორისო პარტნიორებთან კონტაქტი, საერთაშორისო სტუდენტების მოძიება და მოზიდვა, გაცვლითი პროგრამების ჩამოყალიბება პრაქტიკულად შეუძლებელია გამართული ორენოვანი ვებგვერდის გარეშე. ასევე ის სტრატეგიები, რაც ვებგვერდებზეა განთავსებული არ ემთხვევა საჯარო უნივერსიტეტების გამოკითხვის შედეგად მიღებულ მონაცემებს. შესაბამისად, უნივერსიტეტებმა პასუხისმგებლობით უნდა შეხედონ ვებგვერდს და მასზე განთავსებულ ინფორმაციას და გამოიყენონ იგი როგორც მდლავრი საშუალება ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების იმპლემენტაციისათვის.

- განათლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. ისინი წარმოადგენენ უმაღლესი განათლების პოლიტიკაზე მძლავრი ზემოქმედების და ხელშემწყობ ფაქტორებს. 1990-ანი წლებიდან ამ ორგანიზაციებმა გააფართოვეს საქმიანობა. თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის განსაზღვრისა და სტრატეგიების განხორციელების თავარ მოთამაშებად განიხილებიან გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), მსოფლიო ბანკი (WB), ეკონომიკური კოოპერაციისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)და ევროკავშირი (EU). ისინი არათუ საზღვრავენ განათლების პოლიტიკას, არამედ აქტიურად არიან ჩართული პროექტების განხორციელებაში. მიუხედავად ამისა, ეს ორგანიზაციები არ ამცირებენ კრონულ დონეზე პოლიტიკის შემმუშავებელ და გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების როლს, როგორებიცაა განათლების სამინისტროები, განათლების სახადასხვა კრონული სააგენტოები, თვით უნივერსიტეტები და ა.შ. პოლიტიკის განსაზღვრასთან და პროექტებში ჩართვასთან ერთად, ამ ორგანიზაციებს

გააჩნიათ მძლავრი მონაცემთა ბაზები, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად დაეხმარება უნივერსიტეტებს საკუთარი სტრატეგიების შემუშავებაში და ინტერნაციონალიზაციის იმ ნიშეს მოძებნაში, რაც მათ შესაძლებლობებისა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით ღირსეულ საერთაშორისო ადგილს დაუმჯობეს ამ სფეროში.

- საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპავშირის პროგრამების გავლენა. მათ შორის განსაკუთრების აღსანიშნავია ERASMUS – ‘ევროპული საზოგადოების მოქმედების სქემა უნივერსიტეტის სტუდენტების მობილობისათვის’. პროგრამა, რომელიც დაარსებულია 1987 წელს ფოკუსირებულია კრედიტების ტრანსფერზე და უნივერსიტეტების თანამშრომლობაზე. ამ პროგრამის პროექტებში 2017-2013 წლებში 18-მა ქართულმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა. ეს პროექტები ძირითად შეეხებოდა აკადემიურ გაცვლებს. ასევე 1990-დან მოქმედებს ტრანსევროპული მობილობის სქემა უნივერსიტეტებისათვის – TEMPUS. პროგრამა სპეციალურ ფოკუსს ახდენდა ევროპავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ხელშეწყობაზე. ამ პროგრამის პროექტებში, რომლებიც ძირითადად ინსტიტუციონალურ ზრდას უწყობდა ხელს, საქართველოს მაშტაბით 27-მა უმაღლესი განათლების დაწესებულებამ მიიღო მონაწილეობა. 2014 წლიდან აღნიშნული პროგრამების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა ‘ერასმუს პლუს’-ის პროგრამა, რომლის ოფისი საქართველოში შენარჩუნებულ იქნა. საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებმა კარგად უნდა გააანალიზონ ამ პროგრამებისგან მიღებული შედეგები და გაითვალისწინონ ისინი, როგორც მათ სტრატეგიებზე ზემოქმედების დადებითი გარე ფაქტორები.
- უმაღლესი განათლების ერთიანი ევროპული სივრცე, რომელიც ბოლონიის პროცესის სახელწოდებით არის ცნობილი, ასევე მძლავრი დადგებითი გარე ზემოქმედების ფაქტორია ქართული უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციისათვის. ამ პროცესის მიზანს წარმოადგენს შეინარჩუნოს ეროვნული სისტემების მრავალფეროვნება, ამავე დროს უზრუნველყოს მათი თავსებადობა იმ გაგებით, რომ შესაძლებელი გახადოს მობილობა და გაცვლები მონაწილე ქვეყნების უმაღლესი განათლების დაწესებულებებს

შორის, რაც მიიღწევა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა- ECTS-ით. სისტემა საშუალებას აძლევს და უმარტივებს ამოცანას უმაღლესი განათლების დაწესებულებებს გააგზავნონ საკუთარი და მოზიდონ გაცვლითი პროგრამების სტუდენტები შესაბამისი კრედიტების აღიარებით.

- როგორც მეცნიერები, ასევე უნივერსიტეტის პრაქტიკოსი მენეჯერები, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის სფეროდ განიხილავენ ექვს მიმართულებას: უცხოელი სტუდენტების არსებობა, გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი ან ორმაგი ხარისხის პროგრამები, საერთაშორისო ქსელებში/ორგანიზაციებში გაწევრიანება, საზღვარგარეთ ფილიალების დაარსება და ერთობლივი კვლევები. ბუნებრივია, თითოეული ეს მიმართულება თანაბრად განვითარებული ვერ იქნება უნივერსიტეტში, თუმცა პრიორიტეტების დადგენა უნდა მოხდეს სტრატეგიების შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის სუსტი და ძლიერი მხარეების გათვალისწინებით ასევე გარემოდან მომავალი შესაძლებლობებისა და საფრთხეების გაანალიზებით.
- თანამედროვე მსოფლიოში განათლების საზღვარგარეთ მიღების მსურველთა რიცხვი იზრდება. 2012 წელს 4,3 მილიონი სტუდენტი სწავლობდა საზღვარგარეთ. სტუდენტთა დიდი რაოდენობა (57%) არჩევს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სწავლას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში – მხოლოდ 7%. ეს ტენდენცია ისტორიული ფაქტებითაც არის გამყარებული, რადგან სტუდენტები ტრადიციულად თავისუფალი სამყაროსაკენ უფრო მიიღებოდნენ, ვიდრე აგტორიტარულ თუ ტოტალიტარულ სოციალისტურ ბანაკში. შესაბამისად, დასავლეთის ქვეყნებში ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტთა მომსახურების უფრო დრმა ფესვები არსებობს და არცაა გასაკვირი, რომ ეს ქვეყნები იზიდავენ უკელაზე დიდი რაოდენობის სტუდენტებს. საქართველოს უნივერსიტეტებისათვის უფრო მნიშვნელოვანია განვიხილოთ საერთაშორისო სტუდენტების წარმომავლობის ქვეყნები. ამ ქვეყნები ათეულში შედიან ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი და ირანი. 2012 წლის მონაცემებით საქართველოში 1670 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა, რომელთაგან 585 იყო ინდოეთიდან, 7 ირანიდან და არც ერთი ჩინეთიდან. შესაბამისად, ქართული უმაღლესი განათლების

დაწესებულებების სტრატეგიებში გათვალისწინებული უნდა იყოს მეტი სტუდენტების მოზიდვის მიზნით საქმიანობების დაგეგმვა ამ სამი ქვეყნიდან და, რა თქმა უნდა, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან. პირველ რიგში, ამ მიმართულების ასათვისებლად საჭიროა ინგლისურენოვანი პროგრამების ჩამოყალიბება, მათი ხელმისაწვდომობა ვებგვერდების მეშვეობით უცხოელებისათვის და შესაბამისი მარკეტინგული კამპანიის წარმოება.

- უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციისათვის ასევე მნიშვნელოვანი მიმართულებაა კოლაბორაციული პროგრამები (ორმაგი ან ერთობლივი). ასეთი სახის თანამშრომლობა ზრდის უნივერსიტეტის იმიჯს, აყალიბებს პლატფორმას შემდგომი თანამშრომლობისათვის პარტნიორ უნივერსიტეტებთან და საშუალებას იძლევა მეტი ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტის მოზიდვისათვის. ორმაგ და ერთობლივ ხარისხის პროგრამებს სხვა დადგებითი მომენტებიც ახლავს როგორც უსდ-სთვის, ასევე მასში მონაწილე სტუდენტებისათვის, როგორიცაა დასაქმების შანსების გაზრდა კურსდამთავრებულებისათვის, კარიერული ზრდა, რაც მიიღწევა მათ მიერ მულტიკულტურულ გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარით. უნივერსიტეტები უპირატესობას ანიჭებენ ორმაგი ხარისხის პროგრამებს, როდესაც მონაწილე უნივერსიტეტები ცალკალკუ ხარისხს ანიჭებენ. ასეთი პროგრამები მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თვალსაზრისით შედარებით ადვილად განსახორციელებელია, ვიდრე ერთობლივი პროგრამები, სადაც სწავლის დასრულების შემდეგ მონაწილე უნივერსიტეტები გასცემენ ერთიან, საერთო დიპლომს. საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევით უნივერსიტეტების 84%-ს გააჩნია ორმაგი ხარისხის პროგრამები, ხოლო 33%-ს ერთობლივი პროგრამები, უნივერსიტეტების 64% ახალი კოლაბორაციული პროგრამების დაგეგმვის სტადიაშია. რაც შეეხევა ქართულ უნივერსიტეტებს, მათ ორმაგი ხარისხის პროგრამების არსებობის შესახებ ვებგვერდზე მწირი ინფორმაცია აქვთ განთავსებული, ხოლო საჯარო უნივერსიტეტების გამოკითხვის 9 გამოხმაურებიდან მხოლოდ სამი ადასტურებს ასეთი პროგრამების არსებობას. შესაბამისად ეს სართაშორისო განათლების ინსტიტუტის მიერ მოცემული საერთო მაჩვენებელთან შედარებით ძალიან

დაბალია. უნივერსიტეტებმა უნდა გააძლიერონ ამ მიმართულებიზაც მუშაობა. მათ ამის განხორციელება შეუძლიათ არსებული ინგლისურენოვანი პროგრამების ბაზაზე, ან ახალი კურიკულუმის მომავალ პარტნიორებთან ერთად შემუშავებით სპეციალურად კოლაბორაციული პროგრამებისათვის. განსაკუთრებით ასეთი პროგრამების შემუშავება მიზანშეწონილია ბიზნესისა და მენეჯმენტის ასევე საინჟინრო სპეციალობებისათვის, რადგან საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის მონაცემებით, უნივერსიტეტების უმრავლესობას მსოფლიოს მასშტაბით ამ სპეციალობებში სურს ასეთი კოლაბორაციული პროგრამების შემუშავება.

- ინტერნაციონალიზაციის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ქსელური ურთიერთობები. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში წევრობა საშუალებას აძლევს უნივერსიტეტებს ადვილად მოძებნონ ქსელის შიგნით პარტნიორები ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორული ურთიერთობები საქართველოს უნივერსიტეტებსს მსოფლიოს ბევრ უმაღლესი განათლების დაწესებულებასთან და ასოციაციასთან გააჩნია, მათი ურთიერთობების დადგებითი შედეგი ხილული არ არის, რაც იმას გულისხმობს, რომ უნივერსიტეტების ქსელურ ურთიერთობასა და მის პრაქტიკულ სარგებელს შორის უნდა დადგინდეს კავშირი. ასეთი კვლევის ჩატარება უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად ფოკუსირება მოახდინოს იმ პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაზე, რომელთაგანაც მაქსიმალური შედეგის მიღება შეუძლია და ამით დაზოგოს როგორც ადამიანური, ასევე ფინანსური რესურსები.
- გაცვლითი პროგრამები წარმოადგენენ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. გაცვლითი პროგრამების ჩამოყალიბება შედარებით ადგილად განსახორციელებელია და ამ პროგრამების წარმატებაზე შესაძლოა დაფუძნდეს პარტნიორი უნივერსიტეტების შემდგომი პროექტები. ევროპავშირის ქვეყნებისათვის გავცლითი პროგრამების მხარდაჭერა პრიორიტეტს წარმოადგენს. ევროპის მასშტაბით 2012-13 წლისათვის 1987 წლის შემდეგ გაცვლითი პროგრამების მონაწილე სტუდენტთა რაოდენობამ 3

